ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№029 (12 099)

6 თებერვალი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

## გოგუა: ზაფხულამდე ტრამში, ჰართსის იმედით

4

იტალია ქაოსში

## რას იტყვის მთავრობა?

წინასწარი გადაწყვეტილება: მაყურებელი მხოლოდ ოთხ სტადიონზე...

6

## კაპელო ყველაფრისთვის მზადაა

მადრიდში მოთმინების ფიალა ავსებულია

7

## გვინდა, მაგრამ არ შეგვიძლია

ინტერვიუ ოტმარ ჰიტცფელდთან

8

## ვინ შეცვლის ჰიტცფელდს: მოურინიო თუ ულიე?

# დღეს რაღაც მოხდება...

**ვერსია:** მინგე ახალგაზრდულში აღარ იმუშავებს. გერმანელს ხორვატი პეტარ სეგრტი შეცვლის

გუშინ **რალფ მინგემ** საქართველოს 21-წლამდელები არ ავარჯიშა. ეს მისია ნაკრები გუნდების სელექციონერმა, ხორვატმა **პეტარ სეგრტმა** იკისრა და ერთობ ხალისიანადაც წარმართა საწვრთნელი პროცესი. მინგე კი მხოლოდ ეროვნული გუნდის ვარჯიშზე გამოჩნდა და ჩვეულებრივ, **კლაუს ტოპმიოლერს** ეხმარებოდა...

როცა საქმეში ჩახედულ ხალხს ახალგაზრდულ ნაკრებში მოსალოდნელ ცვლილებებზე ვეკითხებოდით, არც არავინ ადასტურებდა და არც არავინ უარყოფდა - ყველაფერს ხვალ გაიგებთო. "ხვალ", ანუ დღეს, აღმასკომის სხდომაა. ერთი ის ვიცით, რომ **კახა ცხადაძეს** დისკვალიფიკაციას მოუხსნიან. დანარჩენსაც ვნახავთ...

# კალაძეც გამოგვაკლდა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## კლაუს ტოპმიოლერი: არა მარტო ღირსეული თამაში, არამედ მოგებაც

მზადება თურქეთთან მატჩისთვის. ვარჯიშები და კომენტარები 2-3

## რუმინეთს გავუსწარით, ტონგასაც!

გუშინ გამოქვეყნდა IRB-ის რეიტინგი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგს მიაღწია. ბუქარესტში 20:17 გამარჯვების შემდეგ ჩვენებმა ორი საფეხურით წინ წაიწიეს, გაუსწრეს ტონგას და რუმინეთს. საქართველოს ნაკრებს 66.93 ქულა აქვს, რუმინეთს კი ჩვენთან მარცხის შემდეგ 66.76 გაუხდა. მათ მეთხუთმეტედან მეთექვსმეტე ადგილზე ჩაინაცვლეს, ტონგელებს კი ჩვენი ყოფილი, მე-17 ადგილი დარჩათ 66.04 ქულით. საქართველოს ნაკრების საუკეთესო პოზიცია რეიტინგში აქამდე მე-16 ადგილი იყო.

## საუკეთესო შედეგი არსებობის ისტორიაში

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ნაკრები. მზადების პირველი დღე

# კლაუს ტოპმიოლერი: გამარჯვება ამ შემადგენლობითაც შეგვიძლია

## დემეტრაძეც აქაა, კალაძე გამოგვაკლდა, კანკავაც?

თურქეთთან ამხანაგური მატჩისთვის ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა მზადება გუშინ დაიწყო. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **კლაუს ტოპმიოლერმა** გუნდი ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" 15 საათზე შეკრიბა, 18 საათისთვის კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართა წვრთნა.

**ნუკრი რევიშვილი, გიორგი ლომაია, გრიგოლ ჭანტურია, გიორგი შაშიაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე, ზაალ ელიავა, ლადო ბურდული, ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ჯაბა კანკავა, გოგიტა გოგუა, დავით მუჯირი, დავით სირაძე, მიხეილ აშვეთია** - გუშინდელ ვარჯიშზე აი, ეს 16 ფეხბურთელი იყო მწვრთნელების განკარგულებაში.

ნელი სირბილი მოედნის გარშემო, გაწელვითი ვარჯიშები და კვადრატები – ასეთი იყო მიმდევრობა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. მერე **მამუკა აბუსერიძემ** მეკარეები ცალკე ავარჯიშა. სხვათა შორის, კვადრატების თამაშში ნაკრების მწვრთნელები, **კლაუს ტოპმიოლერი, რალფ მინგე** და **ბესიკ ფრიდონაშვილიც** ჩაერთვნენ.

სამწუხაროდ, წვრთნის დაწყებიდან 10-15 წუთში ვარჯიშის დატოვება იძულებით მოუხდა ჯაბა კანკავას.

*"ვერაფრით ვხვდები რა მჭირს. ფეხები დამძიმებული მაქვს. სირბილი კი არა, სიარულიც კი მიჭირს... არ ვიცი, შევძლებ თუ არა თამაშს. ის კი ცხადია, რომ ახლა ვარჯიში არ შემიძლია და მწვრთნელებმა დასვენება მირჩიეს"*, - გვითხრა დაღონებულმა კანკავამ, რომელმაც მოედანი კი დატოვა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, გული და სული მინდორზე რჩებოდა.

ჯაბა კანკავასთან დაკავშირებით ისიც შევიტყვეთ, რომ ის დიდი ფიზიკური დატვირთვების გამო შეაწუხა ტკივილებმა - "დნეპრის" მთავარ მწვრთნელ **ოლეგ პროტასოვს** შეგირდები ძალზე დაუტვირთავს. ერთი სიტყვით, თურქთა წინააღმდეგ ჯაბას თამაში გამორიცხული არა, მაგრამ საეჭვო კია.

მალევე დარჩენილ 15 ფეხბურთელს "კარლ ცაისის" ახალწვეულები, მეკარე **გიორგი ლომაია** და ფორვარდი **მიხეილ აშვეთია** გამოეყვნენ. მწვრთნელმა მათ მოედნის გარშემო ნელი სირბილი დაავალა. საამისო მიზეზი ის გახლდათ, რომ აშვეთიასა და ლომაიას გუშინწინ, იენელთა გუნდში სადებიუტო მატჩი ჰქონდათ, თამაშის შემდეგ კი პირდაპირ თბილისს გამოემგზავრნენ. გადაღლილი ფეხბურთელები მწვრთნელებმა აღარ დატვირთეს. დუეტმა მცირე ხანს ირბინა, მერე კი გასახდელს მიაშურა. მალევე, იმავე მიზეზითა და მწვრთნელთა მითითებით, "პანიონისის" ნახევარმცველმა **ლევან ცქიტიშვილმაც** გასახდელისკენ გასწია.

*"მართალია არაერთი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლია, მაგრამ ჩვენი ძალების რწენა და იმედი უფრო მეტია. ამ შემადგენლობითაც შეგვიძლია ღირსეულად დავუხვდეთ ძლიერ მეტოქეს. ვფიქრობ საინტერესო და დაძაბული თამაში იქნება და სასურველი შედეგისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ"*, - გვითხრა ცქიტიშვილმა.

საწვრთნელი პროცესის დასკვნით ნახევარში მწვრთნელებმა ფეხბურთელები ორად გაყვეს და ნახევარ მოედანზე ორკარა ათამაშეს. მერე იყო კარში დარტყმები, რასაც ფლანგური კომბინაციების დამუშავება მოჰყვა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, კარში დარტყმებით სრულდებოდა.

დანაკლისის გამო უკმაყოფილო გახლდათ ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, რომელიც წვრთნას თვალს ადევნებდა.

**ლევან კობიაშვილის, ოთარ მარცვალაძისა** და **შოთა არველაძის** გამოკლების შემდეგ, დარჩენილ კონტინგენტს ორი ფეხბურთელი, კაპიტანი **კახა კალაძე** და ფორვარდი **გიორგი დემეტრაძე** აკლდა. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, გუნდს "ბასაში" აეროპორტიდან მომავალი **გიორგი დემეტრაძე** შეუერთდა. რაც შეეხება კახა კალაძეს, თურქეთან მისი თამაში გამორიცხულია.

ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ნაკრების თავკაცსა და ფეხბურთელებს კომენტარისთვის მივმართეთ:

### კლაუს ტოპმიოლერი:

- სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეროვნულ გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლია. თუმცა თურქეთთან ამ შემადგენლობითაც შეგვიძლია არა მარტო ღირსეულად თამაში, არამედ მოგებაც. ამის დასტურად ურუგვაისთან ნოემბრის მატჩიც გამოდგება. მჯერა, მოედანზე გასული თითოეული ფეხბურთელი მაქსიმუმს გაიღებს და საკუთარ წვლილს შეიტანს ნაკრების წარმატებულ და შედეგიან თამაშში".

### გოგიტა გოგუა:

- ბიჭები გვაკლია, მაგრამ ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან გამოძახებულნი და მათ კარგი შანსი აქვთ თავის გამოჩენის. ვფიქრობ, კარგი თამაში გამოვა.

### დავით მუჯირი:

**- ტრავმის გამო დიდი დრო გაგიცდა, ახლა როგორ ფორმაში ხარ?**

- რა თქმა უნდა დიდი დრო გამიცდა, მაგრამ ფორმას თანდათან ვიბრუნებ. იმის გათვალისწინებით რამდენი ხანი გამიცდა, ცხადია, რომ თურქეთთან ძირითადში არ ვიქნები. მწვრთნელს ვესაუბრე და სავარაუდოდ მეორე ტაიმში მომეცემა თამაშის შანსი.

**- კარს მომდგარ მატჩზე რას იტყვი?**

- თურქებს უნდა მოვუგოთ. ეს მაინც ამხანაგური თამაშია, ამაზე მნიშვნელოვანი შოტლანდიასთან მატჩია და აქცენტი სწორედ იმ თამაშზე უნდა გავაკეთოთ.

### ზურაბ ხიზანიშვილი:

- ბევრი ფეხბურთელი გვაკლია კობი, ასათიანი, არველაძე... მართალია ამ ფეხბურთელების გარეშე ძნელია თამაში, მაგრამ მაინც უნდა მოვიგოთ.

**- თავს როგორ გრძნობ, რამე ხომ არ გაწუხებს?**

- ნორმალურად ვარ, ეგაა ცოტა საზარდული მაწუხებს."ბლექბერნში" სწორედ ამის გამო გამოვტოვე ბოლო ორი თამაში.

დღეს ქართველებთან ერთად თურქებიც ივარჯიშებენ. მანამდე კი 17:30 საათზე ეროვნულ სტადიონზე პრესის წინაშე საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი და ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცი წარდგებიან. 18 საათზე კი ჯგვაროსნები მატჩისწინა ვარჯიშს გამართავენ. რაც შეეხება მეტოქეს, **ფათიჰ თერიმის** გუნდი ეროვნულზე 18:45 საათზე ივარჯიშებს.

**დავით ცაბაძე**
**ავთო ცეცხლაძე**
**ალექსანდრე კოტორაშვილის**
ფოტოები

კახა კალაძე

მორიგი დანაკლისი

# კალაძე თურქეთთან თამაშს გამორიცხავს

## არა კაპიტანი, ვიცე-კაპიტანი

ეროვნული ნაკრების გუშინდელ ვარჯიშმა გუნდის კაპიტან **კახა კალაძის** გარეშე ჩაიარა. მის შესახებ არაერთგვაროვანი ცნობები მოვიპოვეთ. ზოგი ამბობდა, რომ კალაძის თამაში 7 თებერვლის ამხანაგურ მატჩში საეჭვოაო, ზოგმა გვითხრა, კახა გუნდს ხვალ შეუერთდებაო.

*"სულ ერთი კვირაა რაც ვარჯიშს შევუდექი. ჯერ კიდევ არ ვარ მწყობრში და სამწუხაროდ, თურქეთის ნაკრებთან ვერ ვითამაშებ. ძალიან კი მინდა თამაში, მაგრამ ექიმებიც არ მიშვებენ, რადგან შიშობენ ტრავმამ არ შემახსენოს თავი.*

*ისე კი თანაგუნდელების გასამხნევებლად მაინც მინდა თბილისში ჩამოსვლა. ალბათ, შევძლებ და სამშაბათს თუ არა, ოთხშაბათს გამთენიისას მაინც გამოვემგზავრები თბილისისკენ"*, - გვითხრა გუშინ მილანში დაკავშირებისას კახა კალაძემ.

ასე რომ, ნაკრებს თურქების წინააღმდეგ კაპიტანი კახა კალაძე და ვიცე-კაპიტანი **ლევან კობიაშვილი** არ ეყოლება და გუნდის გაყვანაც სათამაშოდ სხვას მოუწევს.

**დავით ცაბაძე**

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge



# ახალგაზრდული მინგეს გარეშე

ნაკრებმა ხორვატი სპეციალისტის პეტარ სეგრტის ხელმძღვანელობით ხალიასიანად ივარჯიშა

15 საათზე დანიშნული ვარჯიში "მიხეილ მესხზე" ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. პირველი, რაც თვალში გვეცა, სტადიონზე **რალფ მინგეს** არყოფნა იყო. მის ნაცვლად, გუნდი საქართველოში არცთუ დიდი ხნის წინ გამოჩენილმა ხორვატმა **პეტარ სეგრტმა** ავარჯიშა. იქვე იყო 19-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი **ჰაინც ტოპმიოლერიც**, რომელიც წვრთის პროცესში, ფაქტობრივად, არ ჩარეულა და მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით დაკმაყოფილდა.

თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ ვარჯიშმა მეტად ხალისიან ატმოსფეროში ჩაიარა, რაც სეგრტის მეთოდების დამსახურებაა. ხორვატმა სპეციალისტმა ვარჯიში ტრადიციული წრეზე სირბილით დაიწყო. ფეხბურთელები მალე გამხიარულდნენ, რადგანაც, სეგრტის მითითებით, რიტმული ტაშით განაგრძეს სირბილი.

ამის შემდეგ ყურადღება მთლიანად ბურთთან მუშაობას დაეთმო. მწვრთნელმა მოთამაშეები ორად გაჰყო და აქცენტი სწრაფ გადაცემებზე გააკეთა. ამის პარალელურად, მეკარეები, **თევდორაძე, კვასხვაძე** და **მაკარიძე ასლან ბალაძის** მეთვალყურეობით ითელებოდნენ.

მოგვიანებით, საერთო საქმეში უკვე გოლკიპერებიც ჩაერთვნენ და ორმხრივი თამაში მთელ მოედანზე გაჩაღდა. სეგრტმა გუნდები ასე გაჰყო (შეცდომა არ გეგონოთ, "ლურჯებში" ათმა კაცმა ითამაშა):

"ყვითლები": **კვასხვაძე – მჭედლიშვილი, ღვინიანიძე, ხუბუტია, ფოფხაძე – გრიგალაშვილი, დვალიშვილი (მერებაშვილი), ბჟალავა, კობახიძე – ჭელიძე, ჟღენტი.**

"ლურჯები": **თევდორაძე – გ. კაშია, გვაძაბია, თომაშვილი, ელბაქიძე – მერებაშვილი (დვალიშვილი), ბენაშვილი, ნავალოვსკი, ხორგუაშვილი – კახელიშვილი.**უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქეთთან შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში "ყვითლების" აბსოლუტური უმრავლესობა მოხვდება, ოღონდ ძირითადი მეკარე, ალბათ, **რევაზ თევდორაძე** იქნება.

ორმხრივი თამაში ხორვატმა რამდენიმეჯერ შეწყვიტა, ხანმოკლე პაუზებისას იგი თარჯიმნის საშუალებით, ფეხბურთელებს ახალ-ახალ მითითებებს აძლევდა. ორმხრივის მეორე ნანილში ნაკრების წევრები პერსონალურ მეურვეობაზე გადავიდნენ. ერთადერთი გოლი სწორედ დროის ამ მონაკვეთში გავიდა, **სანდრო კობახიძის** კუთხურის შემდეგ, კარის ბადე **მათე ღვინიანიძემ** შეარხია.

ვარჯიში სირბილით დასრულდა. ფეხბურთელები გასახდელში ხალისიანი განყობით გავიდნენ. ახალგაზრდულმა მოედანზე დაახლოებით საათნახევარი დაყო.

ფაქტობრივად, გამორიცხულია თურქეთის წინააღმდეგ **რატი წინამძღვრიშვილის** თამაში. მან კოჭი ანთალიაში, "ამერის" რიგებში გამართულ საკონტროლო მატჩში დაიზიანა. რატი მსუბუქად დატვირთეს, იგი ძუნძულით შემოიფარგლა. დანარჩენ ამერელებს რაც შეეხება, ისინი კლუბის ხელმძღვანელობამ ანთალიური შეკრებიდან დაუბრკოლებლად გაათავისუფლა. ასევე მოიქცა "დინამოსა" და "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბიც.

ღვინიანიძეს რაც შეეხება, გადაწყდა, რომ ამ ეტაპზე იგი ეროვნულ ნაკრებში არ იქნება და 7 თებერვალს ახალგაზრდულს დაეხმარება.

ვარჯიშის შემდეგ სეგრტს მინგეს არყოფნისა და მისი გააქტიურების მიზეზი ვკითხეთ, რაზედაც მან თავაზიანად და ორაზროვნად მოგვიგო, ფედერაციაში ერთ საკითხზე მუშაობენ და ყველაფერს მალე გაიგებთო...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფედერაციის ალმასკომი

# მინგეს სეგრტი შეცვლის?

## ცხადაძის საკითხზეც იმსჯელებენ

დღეს, 12 საათზე, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა შედგება, რომელზეც მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელებენ. რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დღის წესრიგში სამი საკითხია...

ერთ-ერთი განსახილველი საკითხი ბოლნისის "სიონის" დისკვალიფიცირებული მთავარი მწვრთნელის, **კახა ცხადაძისთვის** სასჯელის შეწყვეტაა. ამის თაობაზე ალმასკომს წერილობით მიმართა ბოლნისერმა კლუბმა.

როგორც ყოველთვის, ბოლო საკითხადაა შეტანილი "სხვადასხვა".

ახლა კი მთავარი. გუშინ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ხორვატმა **პეტარ სეგრტიმ** ავარჯიშა. ხორვატი შარშან შემოდგომაზე **კლაუს ტოპმიოლერის** სანაკრებო შტაბში მწვრთნელობსერვირად დაინიშნა. სეგრტის გამოჩენამ გარკვეული კითხვები გააჩინა. ხმებიც კი გავრცელდა, 21-წლამდელთა თავკაცის პოსტზე მინგეს სეგრტი შეცვლის, მაგრამ რალფ მინგე კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწედ მაინც დარჩებაო.

თავად სეგრტმა კი "ლელოსთან" საუბარში მოკლედ და ორაზროვნად განაცხადა, მე ბევრს ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი მალე გახდება ცნობილიო.

ვითარებაში გარკვევის მიზნით ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცს** დავუკავშირდით.

*"ეროვნულ ნაკრებს ვიდეოანალიზი ჰქონდა. რალფ მინგე სწორედ ამით იყო დაკავებული და 21-წლამდელთა ვარჯიშს პეტარ სეგრტი ხელმძღვანელობდა. სეგრტი სანაკრებო შტაბის წევრია და გუნდის ვარჯიშიც ამიტომ ჩაატარა...*

*სანაკრები შტაბში რაიმე გადაადგილებებს ხომ არ უნდა ველოდოთ? ჯერჯერობით, ამ წუთისთვის, არაფერი გვაქვს გადაწყვეტილი",* - გვითხრა ახალკაცმა.

კვამლი უცებცხლოდ არ ჩნდებაო, ნათქვამია და ჩვენი ინფორმაციით, მინგეს პოსტზე სეგრტის დამტკიცება წესით დღეს გასამართი ალმასკომის სხდომის პრეროგატივა იქნება.

სანაკრებო შტაბთან მიმართებაში ერთსაც გაცნობებთ. ამ ცოტა ხნის წინ ვნერდით, **ზაურ სვანაძე** ფედერაციის მწვრთნელის ამპლუაში შესაძლოა სანაკრებო შტაბში მოგვევლინოსო. თავად სვანაძემ "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა, რომ შვედურ კლუბთან მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლომდე მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს. თუმცა თუკი ფედერაცია მისით დაინტერესებულია და ოფიციალურ მიწვევას გაუგზავნის, კლუბის ხელმძღვანელობა, რომელიც 8 თებერვალსუნდა შეიკრიბოს, ამ საკითხზეც იმსჯელებს. თავად ფედერაციის პრეზიდენტმა შემდეგი გვითხრა:

*"მართლაც მონდომებულები ვართ, რომ ზაურ სვანაძე ჩვენს სანაკრებო შტაბში ვიხილოთ. მის კლუბში ფედერაციიდან უკვე გავაგზავნეთ ოფიციალური მოწვევა. ისიც დავწერეთ, რომ ზაურ სვანაძის მოქმედი კონტრაქტის შესახებ ინფორმირებულნი ვართ. შვედური კლუბის ხელმძღვანელობას კონკრეტული თარიღებიც მივუთითეთ, ანუ ის დღეები, როცა მათი თანხმობის შემთხვევაში, სვანაძე ჩვენს ნაკრებთან ერთად იქნება. შვედები ჩვენს წინადადებას განიხილავენ და პასუხსაც გვაცნობებენ. რამდენადაც ვიცი, ნაკრების შტაბში მათი გუნდის მწვრთნელის მუშაობა, შვედებისთვისაც პრესტიჟული უნდა იყოს. ერთი სიტყვით, შვედეთიდან ზაურ სვანაძის საკითხთან დაკავშირებით პასუხს ამ დღეებში ველით".*

ასე რომ, გავრცელებული ხმა გადაჭრით ვერავინ უარყო. თუმცა ზემოთნახსენები ვერსიით მოვლენათა განვითარება ჩანს. ეჭვს ისიც აღვივებს, რომ კლაუს ტოპმიოლერმა გუშინ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, მაგაზე ხვალ ვისაუბროთო. მოუცლელობის მიზეზით კომენტარი არც რეზო არველაძეს გაუკეთებია.

**დავით ცაბაძე**
**გოტფრიდ ლენცი**



რალფ მინგე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

გიორგი ნავალოვსკი, სანდრო კობახიძე და ალექსი ბენაშვილი



www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge


ფოტო: www.gff.ge

საქველმოქმედო აქცია

## სტუმრობა კოლონიაში

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით საქველმოქმედო აქცია გაიმართა. ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიას ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, იუსტიციის მინისტრი **გია ქავთარაძე**, ეროვნული ნაკრების თავკაცი **კლაუს ტოპმიოლერი** და ფეხბურთელები, **ზურაბ ხიზანიშვილი** და **დავით მუჯირი** ეწვივნენ. მათ კოლონიაში მყოფ არასრულწლოვანებს ფედერაციის ეგიდით გამოსული წიგნები და ჟურნალები, ასევე ფედერაციის სიმბოლიკიანი მაისურები, შარფები და ბურთები აჩუქეს. მერე კი კოლონიის საფეხბურთო მოედანზე ხიზანიშვილმა და მუჯირმა არასრულწლოვნებთან ბურთიც გააგორეს.

სტუმრები დამხვდურებმა თბილად მიიღეს და ეს საკუთარ სიტყვაში კლაუს ტოპმიოლერმაც აღნიშნა:

*"მადლობელი ვარ ასეთი დახვედრისთვის. იმედი მაქვს, ეს არასრულწლოვნები კოლონიიდან გასვლის შემდეგ ცხოვრების ნორმალურ წესსა და რიტმს დაუბრუნდებიან და სამშობლოსთვის კარგი მოქალაქეები, პატრიოტები იქნებიან... რაღა თქმა უნდა ეროვნულ გუნდსაც აქტიურად უგულშემატკივრებენ".*

*"კლაუს ტოპმიოლერის სურვილს სრულად ვეთანხმები. მჯერა, ეს ჭაბუკები პატიოსანი, პატრიოტი და კარგი მოქალაქეები იქნებიან", ეს უკვე ნოდარ ახალკაცმა თქვა.*

არასრულწლოვანთა კოლონიის ბინადრები კმაყოფილნი დარჩნენ სტუმრების ვიზითით და მათი მისამართით კეთილგანწყობაც არ დაუმალავთ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

## ჭელიძეს არც უშვებენ და არც ყიდიან

მოსკოვის "ლოკომოტივმა" თურქეთში მეორე შეკრება დაიწყო. სამწუხაროდ, ამჯერადაც ვერ მოხვდა ძირითად გუნდში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **გიორგი ჭელიძე**. ის დუბლებთან ერთად, ასევე თურქულ შეკრებაზე გაუშვეს.

გიორგი ახლა თბილისშია და საქართველოს ახალგაზრდულში თურქებთან მატჩისთვის ემზადება. ჭელიძეს გული წყდება, რომ ძირითადის მიღმა დატოვეს.

"მეც არ ვიცი, რა მოხდა და დუბლებში რატომ გადამიყვანეს. ახალი მწვრთნელი, ბიშოვეცი კარგად არ მიცნობს, მაგრამ ასეთ უნდობლობას არ ველოდი. თუ ფეხბურთელი არ მოსწონს, უნდა გასინჯოს, ბიშოვეცმა კი არც გამისინჯა, შეკრებაზე წასვლამდე ერთი საათით ადრე მითხრა, არ მოდიხარო. დავინახე, რომ "ლოკომოტივში" გაჩერებას აზრი არ ჰქონდა და ჩემმა მენეჯერმა კლუბის მონახვა დაიწყო. კრასნოდარის "ყუბანისა" და დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ვარიანტები სავსებით რეალური იყო, მაგრამ სიომინმა გაშვებაზე უარი მითხრა. მისი თქმით, კლუბი ჩემი უკრაინაში გაშვების წინააღმდეგი იყო, მინდა რუსეთში დარჩე და გიყუროთო. კრასნოდარის "ყუბანი" კი ჩემს არენდას არ თანხმდებოდა, შესყიდვა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამაზეც უარი მივიღე, გაყიდვაც არ უნდათ. მოკლედ, დღევანდელი ვითარებით, ისევ "ლოკომოტივში" ვრჩები. სანერვიულოა, ჩემს ასაკში დუბლებში დარჩენა. მე ძირითადში, უფრო მაღალ დონეზე თამაში მსურს. თუმცა, რა ვქნა, "ლოკომოტივის" ხელმძღვანელები არ მიშვებენ", - ლელოსთან საუბარში აღნიშნა ფორვარდმა.

**მერაბ მამულაშვილი**

გიორგი ჭელიძე (მარცხნივ)

ნუგზარ სუარიძის ფოტო

კლუბები მეორე წრის წინ

## ლეანდრო ზესტაფონს უახლოვდება

### იმერლები დღეს მოსკოვის ლოკომოტივს გაეჯიბრებიან

ანთალიურშეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა" გუშინწინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. მისი მეტოქე რუმინული "კონკორდია ჩიაჟნა მიხაილეშტი" იყო. შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. მოწინააღმდეგე ტიტულოვანი ნამდვილად არ გახლდათ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ იმერელთა ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე გამოუცდელმა ფეხბურთელმა ითამაშა, შედეგი უდავოდ დამაკმაყოფილებელია.

"ზესტაფონის" სასტარტო თერთმეტეული ასეთი იყო:

**ჭანტურია, ხიდეშელი, ღონღაძე, ხუმარაშვილი, ბ. ნოზაძე, ჯანელიძე, პარამონოვი, დაუშვილი, გორგიაშვილი, ლეანდრო, ფიფია.**

შეცვლაზე შევიდნენ: **რ. კვასხვაძე, თოდუა, რ. ონიანი, ჭელიძე, საჯაია, ნ. კვასხვაძე.**

როგორც "ზესტაფონის" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, შეხვედრის პირველი ტაიმი ქართველთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ანგარიში გასინჯვაზე მყოფმა ბრაზილიელმა ფორვარდმა **ლეანდრომ** გახსნა.

მეორე ნახევრიდან უკვე რუმინელებმა იმძლავრეს და "ზესტაფონის" კარში ორი გოლი ერთმანეთის მიყოლებით გაიტანეს. **თემურ მახარაძემ** გამოცდილი მოთამაშეები მოედანზე სწორედ ამის შემდეგ გაიყვანა, რამაც შედეგი მალე გამოიღო – ზესტაფონელები საგრძნობლად გააქტიურდნენ და **დავით ჯანელიძემ** ანგარიში გაათანაბრა. მან ლეანდროს პასი გამოიყენა. ბრაზილიელი მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა ყოფილა.

მომდევნო ამხანაგურს "ზესტაფონი" დღეს, მოსკოვის "ლოკომოტივის" წინააღმდეგ გამართავს. შეხვედრა თბილისის დროით საღამოს რვის ნახევარზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ვეტერინართა გრაფიკი შეიცვალა

წესით და რიგით, თურქულ შეკრებაზე მყოფ "ვიტ ჯორჯიას" პირველი საკონტროლო მატჩი გუშინ უნდა გაემართა, მაგრამ ბელარუსულ "გომელთან" თამაში ჩაიშალა. ამის მიუხედავად, საქართველოს ვიცე-ჩემპიონები მაინც ხუთ თამაშს ჩაატარებენ. ვეტერინარები შეხვედრათა სერიას ხვალ დაიწყებენ. მათი პირველი მეტოქე ყაზახეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასული "ორდაბასი" იქნება.

**ნესტორ მუმლაძის** შეგირდები ამ გუნდებს ეთამაშებიან:
8 თებერვალი: **მაკედონიის ჩემპიონი "რაბოტნიჩკი".**
11 თებერვალი: **რუმინული "სპორტული".**
12 თებერვალი: **ბელარუსული "გროდნო".**
15 თებერვალი: **ასევე ბელარუსული "ნაფტანი".**
"ვიტ ჯორჯია" საქართველოში 17 თებერვალს ბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზაალ ელიავა და გოგიტა გოგუა ნაკრების ვარჯიშზე

ლეგიონერი

## გოგუა ჯოშში

**გოგიტა გოგუას** აგრერიგად განელილ სატრანსფერო ამბავს, შესაძლოა, დროებით მაინც დაესვას წერტილი. ის, რაც ვერ გვარდება ბრიტანეთში, ადვილად გვარდება რუსეთში. "ჰართსის" მწვრთნელი **ვალდას ივანაუსკასი** ქართველი ნახევარმცველის გადაბირებას ზაფხულში შეეცდება, მანამდე კი გოგუა რუსეთში მიიღებს სათამაშო პრაქტიკას.

როგორც შევიტყვეთ, წინასწარი შეთანხმება მიღწეულია რუსეთის პრემიერლიგელ "ტომთან". 23 წლის ნახევარმცველი რუსეთში 8 იანვარს გაემგზავრება და გუნდს შეუერთდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ლაშა ჯაკობია

ლეგიონერები

## ჯაკობია არსენალს ვერ გაუყვა

### ბარაბაძე დნეპრს დაუბრუნდა

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი **ლაშა ჯაკობია** კიევის "არსენალში" დარჩა. ლაშა ხარკოვის "მეტალისტს" ჰყავდა განათხოვრებული, მერე დაბრუნება მოინდომა, მაგრამ თავად იუარა ხარკოვში წასვლა და **ალექსანდრ ზავაროვთან** მუშაობა არჩია.

ამჟამად კიეველები ისევ თურქეთში, ანთალიაში ემზადებიან, მაგრამ ჯაკობია ამჯერად გუნდს ვერ გაჰყვება. ლაშა დღემდე მკურნალობს და მისთვის ჩვეულებრივი დატვირთვები არ შეიძლება.

სამაგიეროდ, მომჯობინდა და დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად კვიპროსში გაემგზავრა 18 წლის თავდამსხმელი **რეზო ბარაბაძე**.

**ოლეგ პროტასოვის** სიაში იგი პირველ შეკრებაზე ვერ მოხვდა. როგორც გავარკვიეთ, რეზო გუნდის შეცვლაზე ფიქრობდა, ამასობაში დაშავდა და მცირე ხნით მოსამზადებელი ეტაპი გაუცდა. საკითხი უკვე გადაწყვეტილია, ბარაბაძე მომჯობინდა და "დნეპრში" დარჩება.

**მერაბ მამულაშვილი**

## გვაზავა ნალჩიკში დაბრუნდა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნალჩიკის "სპარტაკში" ერთი ქართველი მაინც დარჩება. **ლევან გვაზავა**, რომელიც შარშანდელი რუსული პრემიერლიგის დასრულების შემდეგ, ახალი გუნდის ძიებაში იყო, ნალჩიკელებს დაუბრუნდა და ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიის" წინააღმდეგ საკონტროლო მატჩშიც ითამაშა. "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **იური კრასნოჟანმა** იგი მოედანზე მე-60 წუთზე შეუშვა. შეხვედრის შემდეგ ამ სპეციალისტმა ქართველი ნახევარმცველის გვარი გუნდის საკვანძო ფეხბურთელთა ჩამონათვალში მოიხსენია.

მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. ანგარიში ნალჩიკელებმა გახსნეს, პირველი ტაიმის მიწურულს კი ვლადივოსტოკელებმა თანაფარდობა აღადგინეს.

"ლუჩის" ახალწვეულ **ალექსანდრე ჩიხრაძეს** რაც შეეხება, მან თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პირველ ტაიმში ითამაშა, რის შემდეგაც ჩეხი **მარეკ ჩეხით** შეცვალეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ულენცმა ტორპედოს წერილი დაუსვა: ალარ მჭირდებით!

**რალფ მინგემ** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მოსკოვის "ტორპედოს" ნახევარმცველი **ბექა ულენტი** გამოიძახა. ნახევარი წლის უთამაშებელი ფეხბურთელი მოსკოვში ახლახან გაემგზავრა.

*"9 იანვარს "ტორპედოს" ძირითადი და მეორე გუნდის ფეხბურთელები ერთად შევიკრიბეთ. ამ დროისთვის კლუბის სახელზე თბილისიდან ჩასული იყო საქართველოს ნაკრების ექიმის, ვალერი ახალკაცის წერილი, სადაც თბილისში ჩატარებული მკურნალობის შესახებ აცნობებდა. "ტორპედოს" ექიმმა ეს არ გაითვალისწინა, ისევ თავისებურად გადაწყვიტა და შედეგად ისევ მცირე ტრავმა მივიღე - 17 იანვარს ფეხი ამტკივდა. დახმარება მოსკოვის "ლოკომოტივის" ექიმს, ზურაბ ორჯონიკიძეს ვთხოვე და მაშინ გადავწყვიტე – ფეხი რომ მოშირჩება, მოსკოვის "ტორპედოში" არაფრის დიდებით აღარ დავრჩებიმეთქი. ეს გუნდის ყოფილ პრეზიდენტ მიშინს ვუთხარი, რომელიც ახლა სამეურნეო დარგის ხელმძღვანელია. უარი მივიღე, მაგრამ "ტორპედოსკენ" გახედვა არ მსურს და ამას უკვე შეეგუვნენ. ფეხბურთელებს რომ ვერ მკურნალობენ, იმ გუნდში გაჩერება არ შეიძლება. თუ დამიჯერებთ, მოსკოვის "ტორპედოსგან" მარტო სახელი დარჩა, საქმე ისე მიდის, პირველ ლიგაშიც პრობლემები შეექმნებათ."*

ბექამ ტრავმა უკვე მოირჩინა და ტრენაჟორებში დატვირთვების შემდეგ, ახლახან ბურთთან ვარჯიშიც განაახლა.

სამწუხარო ისაა, რომ ბექას ზაფხულში "ტორპედოსგან" თავის დაძვრენის შანსი მიეცა და ამ შესაძლებლობით ვერ ისარგებლა. მას ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსში" გადასვლას სთავაზობდნენ, მაგრამ ლატვიაში ჩასული ბალტიისპირული გუნდით ვერ მოიხიბლა და უკეთესის იმედად, მოსკოვში დაბრუნდა.

ვნახოთ, რა მოხდება თურქეთთან მატჩის შემდეგ. ტრავმა აღარ აწუხებს და, სავარაუდოდ, ითამაშებს კიდეც. ჰოდა ვინ იცის, რა თვალით შეხედავენ.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

## ზარიაში კიდევ ერთი ქართველია

ლუგანსკის "ზარია" ანთალიაში ემზადება. გასინჯვაზე ჩასულმა **ლევან მელქაძემ** ვლადიკავკაზის "ალანიასთან" საკონტროლო მატჩი ითამაშა. უკრაინელებმა 3:0 მოიგეს.

ქართველმა თავდამსხმელმა დასაწყისშივე მცირე ტრავმა მიიღო. ამის მიუხედავად, მოედანზე ბოლომდე იყო. თავად ბურთი არ გაუტანია, მაგრამ ანგარიშზე საგოლე გადაცემა ჩაიწერა.

ლუგანსკელთა რიგებში კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდა, **გიგლა ახალაია**, რომელიც "ზარიაში" ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ თამაშობდა. ეს ის პერიოდია, როდესაც გუნდის პრეზიდენტი თბილისის "მერანის" ყოფილი მეპატრონე **იური სევასტიანოვი** გახლდათ და მაშინ „ზარიაში“ "გოლეადორის" ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი ირიცხებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლევან მელქაძე

## სიტუაცია ქართულ კლუბებში

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯაია, ნაჭყებია (ამერი), სირბილაძე, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), გიგაური (დინამო), ბერუაშვილი (ტორპედო) | თბილისი |
| ვიტ ჯორჯია | დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო), | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი) | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა, სევასტოპულო | მესხი (ჩიხურა), ნაჭყებია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.), გრბოვიჩი | ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, თურქეთი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა (?), გრიგალაშვილი, მახარაძე (?) ნავალოვსკი (ოლიმპი), ნერგაძე, გიგაური (ოლიმპი) | დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრმკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე | ბაკურიანი, ანთალია |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტნაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე (ჩიხურა) სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია | დსთ-ის თასი, თბილისი |
| დოჰომოტივი | ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო) | ურეკი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) | ბორჯომი |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი (დინამო), თედორაძე (ჩიხურა) | თბილისი, გურჯაანი |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | — | — |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი, ლობჟანიძე, ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დიღა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი), | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი, | თელავი |



# პანკალი: ჩემპიონაბი? ჯერ არ ვიცი

**იტალიურ სტადიონებზე ძალადობა დიდი ხნის პრობლემაა და მთავრობაც მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი გადაჭრის გზებს ეძებს. თუმცა ეს გზები ეფექტური არ არის. ამის დასტურია, თუნდაც ბოლო ერთ კვირაში განვითარებული მოვლენები...**

2001 წელს, -შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა **ჯუზეპე პიზანუმ** სპეციალური კანონპროექტი შეიმუშავა. პარლამენტში დამტკიცების შემდეგ, სპორტულმა მედიამ მას "პიზანუს კანონი" შეარქვა. კანონში გათვალისწინებული ზომები იტალიური სტადიონების ევროპული უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავდა მიზნად. ამ იდეების ხორცშესხმისთვის კლუბებს სხვადასხვა მოთხოვნა წაეყენათ, მაგრამ, რეალურად, კანონი დღემდე არ ამოქმედებულა, რადგან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ადგილობრივმა პრეფექტურებმა კლუბებს ვადები გადაუწიეს. სხვათა შორის, "პიზანუს კანონის" ამოქმედებას თავიდანვე ბევრი არარეალურად მიიჩნევდა, მაგრამ კატანიური ტრაგედიის შემდეგ, მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ ამ კანონით გათვალისწინებული ნორმების განუხრელი შესრულება იქნება. თავად მოთხოვნები კი ასეთია: დანომრილი სკამები, ტრიალა კარები, ვიდეოთვალი გარე და შიდა პერიმეტრზე, გარე განათება, წინასწარი გაფილტვრის ზონა (ბარიერები სტადიონიდან მითითებულ დისტანციაზე), სახელობითი ბილეთები (პასპორტის საფუძველზე გაცემული), პოსტი სათანადოდ აღჭურვილი უსაფრთხოების ოფიცრებისთვის (სპეციალური ოპერატიული ჯგუფები). ამ ნორმებს, სადღეისოდ, სერია A-ში მხოლოდ ოთხი სტადიონი აკმაყოფილებს: რომის "ოლიმპიკო", ტურინის "ოლიმპიკო", ფლორენციის "არტემიო ფრანკი" და პალერმოს "რენცო ბარბერა". კი, მაგრამ "სან სირო"? იკითხავთ, ალბათ. მას და "ლუიჯი ფერარისს" (გენუა) მხოლოდ ბარიერები აკლიათ წინასწარი გაფილტვრის ზონისთვის. აღსანიშნავია, რომ "პიზანუს კანონი" მხოლოდ იმ სტადიონებისთვის არის გათვალისწინებული, რომელთა ტევადობაც 10 ათასზე ნაკლებია. მისი დაუყოვნებლივ ამოქმედების შემთხვევაში, მხოლოდ ამ ოთხ სტადიონზე იქნება შესაძლებელი თამაშების განახლება, დანარჩენ კლუბებს კი დახურულ სტადიონებზე მოუწევთ თამაშების გამართვა, ან კიდევ, იძულებულნი იქნებიან, დასაშვებ მაყურებელთა რაოდენობა... ერთი კაცით (9 999) შეამცირონ.

"პიზანუს კანონის" ამოქმედებასთან ერთად, მთავრობა, სპორტის მინისტრის **ჯოვანა მელანდრის** ინიციატივით, კიდევ არაერთი მკაცრი ნაბიჯის გადადგმას აპირებს. კერძოდ: სასჯელის გამკაცრება სტადიონზე ჩადენილი კანონდარღვევებისთვის, კლუბებსა და "ულტრასების" დაჯგუფებებს შორის ყოველგვარი კავშირის განყვეტა და მათთვის გასვლით თამაშებზე დასწრების აკრძალვა.

■■■

გუშინ, ამ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა სპეციალური სხდომა, რომელსაც იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა "პალაცო კიჯიში" უმასპინძლა. შეხვედრას ესწრებოდნენ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოადგილე **ენრიკო ლეტა**, შინაგან საქმეთა მინისტრი **ჯულიანო ამატო**, სპორტის მინისტრი **ჯოვანა მელანდრი**, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **ლუიჯი სკოტი**, სპორტული მართლმსაჯულების უწყების შეფი **ჯოვანი ლოლი**, კრიმინალური პოლიციის უფროსი **ჯანი დე ჯენარო**, თავად ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჯანი პეტრუჩი**, ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი **რაფაელე პანიოცი** და, რა თქმა უნდა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომისარი (ანუ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი) **ლუკა პანკალი**.

ორსაათიანი მსჯელობა სწორედ იმ საკითხების გარშემო წარიმართა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. დღის წესრიგში დგება სტადიონების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს უკვე გარდაუვალია, თუკი იტალიელებს უნდათ, რომ ფეხბურთზე იარონ. შესაბამისად, მიღებულია ე.წ. შუალედური გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს საფეხბურთო მატჩების ჩატარებას ზემოთ ხსენებულ ოთხ სტადიონზე ქომაგთა თანდასწრებით, ხოლო სხვა არენებზე ცარიელი ტრიბუნების წინაშე. კიდევ ერთი პრინციპული საკითხი, რაზეც მყარად შეთანხმდნენ, სტუმარ გულშემატკივრებზე ბილეთების გაყიდვის აკრძალვაა. ამ და სხვა წინადადებით წარდგება "პალაცო კიჯიში" თავმოყრილი საზოგადოება მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ სხდომაზე, რომელიც ოთხშაბათს გაიმართება. შემდეგ კი ფეხბურთის ფედერაცია საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს. პროდის კაბინეტი, ალბათ, მოიწონებს ამ ნაბიჯებს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული დამატებით მთავრობამაც გადაწყვიტოს ამა თუ იმ ტიპის გადაწყვეტილების კუთრებით საკანონმდებლო და პოლიციური კუთხით.

მიუხედავად ტრაგედიისა, ხალხს ფეხბურთი უკვე ენატრება და სხდომის შემდეგ, ჟურნალისტებმა საგანგებო კომისარ პანკალის სწორედ ამაზე ჰკითხეს - როდის დაბრუნდება კალჩო? პასუხი ასეთი იყო: *"საჭიროა ტექნიკური დრო იმისთვის, რათა ჩემპიონატები განახლდეს. მაგრამ, ვიდრე არ შედგება შეხვედრა მინისტრთა კაბინეტში, მანამდე ვერაფერს გეტყვით. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას".*

**გუშინ იმსჯელეს, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. ოთხშაბათს, შეხვედრა მთავრობაში, ვერდიქტი ამის შემდეგ**

# მატარეზე: სიკვდილი საფეხბურთო ინდუსტრიის ნაწილია

**შეიძლება, საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი სპორტული მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს**

იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა **ანტონიო მატარეზემ** ერთ-ერთ რადიოსთან საუბარში სენსაციური განცხადებები გააკეთა, რამაც ოლიმპიური კომიტეტის აღშფოთება გამოიწვია. ამ უკანასკნელმა სასწრაფოდ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომლითაც კატეგორიულად დაგმო მატარეზეს მოსაზრებები და მათ შეურაცხმყოფელი უწოდა. აი, რა განაცხადა ლიგის პრეზიდენტმა:

*"ფეხბურთის თამაში ვერ შეწყდება, ადამიანების სიკვდილი ამ სისტემის ნაწილია. ჩვენ, ყველანი, დამწუხრებულები ვართ, მაგრამ სანახაობა უნდა გაგრძელდეს. ფეხბურთი იტალიაში ერთ-ერთი მთავარი ინდუსტრიაა, საფეხბურთო სისტემაში არსებული სიკვდილის ფაქტები, სამწუხაროდ, ამ დიდი საფეხბურთო მოძრაობის ნაწილია და სამართალდამცავები მის გაკონტროლებას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. ფეხბურთი არასოდეს არ უნდა გაჩერდეს. ეს ფუნდამენტური პრინციპია. მაგალითისთვის, შეიძლება, რომ რომელიმე ინდუსტრია თავის საწარმოებს ხურავდეს და მერე აღებდეს, ისიც, კაცმა არ იცის, როდის"?*

იტალიური პრესის ცნობით, მატარეზე რისკავს, რომ სპორტული მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს, სპორტული პრინციპების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისთვის. ლიგის პრეზიდენტის ნათქვამს იტალიის პრემიერ-მინისტრი **რომანო პროდიც** კი გამოეხმაურა: *"კატეგორიულად მიუღებელია მსგავსი შინაარსის განცხადები, თითქოს ის, რაც მოხდა, გარდაუვალი ყოფილიყო. ეს აბსურდული პოზიციაა".*

**გოგა ახალაძე**

გუნდესლიგა. გამოხმაურება

# შალკე საჩემპიონოდ მზადაა

## ეს გუნდი ვერცხლის სინს ვერდერზე მეტად იმსახურებს!

"შალკეს" მიერ ბრემენის "ვეზერშტადიონზე" ნაჩვენები თამაში და მიღწეული შედეგი (2:0 **ლევან კობიაშვილის** გუნდის სასარგებლოდ) "ბილდმა" ერთი, მაგრამ მრავლისმეტყველი სიტყვით შეაფასა: საჩემპიონო! კვირის შემდეგ ამ მოსაზრებას აბსოლუტურად ყველა გერმანული გამოცემა, ყველა ექსპერტი და მიმომხილველი იზიარებს - "შალკემ" ბრემენში მართლაც გრანდიოზული ფეხბურთი წარმოადგინა და ჭკვიანური ტაქტიკით, უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა.

S04-ის ქება აბსოლუტურად გამართლებულია, რადგან **მირკო სლომკას** გუნდმა ბრემენში მართლაც საჩემპიონო თამაში აჩვენა. თავად განსაჯეთ, ბოლო ერთი წლის მანძილზე "ვეზერშტადიონზე" გამარჯვება თვით "ბარსელონამ", "ჩელსიმ" და "ბაიერნმაც" კი ვერ მოახერხეს. "შალკემ" კი, ერთი შეხედვით შეუძლებელი რამ ძალიან მარტივი სტრატეგიით მოახერხა და სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად, სამქულიანი უპირატესობით ჩაუდგა სათავეში. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სლომკას გუნდს უკვე თერთმეტმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

*"ვერდერი" შემტევ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ამაზე არავინ დავობს და "მუსიკოსებმა" კვირასაც ზუსტად ასე ითამაშეს - გვიტევდნენ. მაგრამ ჩვენ "ვერდერის" შემტევ და უდავოდ ლამაზ ფეხბურთს ბრძოლა დავუპირისპირეთ და მონდომების ხარჯზე დავამსხვრიეთ მითი იმის შესახებ, რომ შაფის გუნდი უძლეველია. აბსოლუტურად დამსახურებულად მოვიგეთ."* - განაცხადა აღფრთოვანებულმა **კევინ კურანიმ** საფინალო სასტვენის შემდეგ.

ბრძოლისუნარიანობა, დალაგებული, უშეცდომო ფეხბურთი და უდიდესი მონდომება - აი, სულ ეს იყო "შალკეს" წარმატების ფორმულა. გელზენკირხენელები ძალიან კარგად იდგნენ დაცვაში - **მარსელო ბორდონმა** და **მლადენ კრსტაიჩმა მიროსლავ კლოზესა** და კომპანიას ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს. კობიაშვილის არყოფნაში, ნახევარდაცვაში **ფაბიან ერნსტს ზლატან ბაირამოვიჩი** შეუნყვილდა და ამ წყვილმაც შესანიშნავად ითამაშა - **დიეგოს** და **ბოროვსკის** თავის გამოჩენის შანსი არ მისცემიათ.

*"როცა ბრემენში 2:0-ს მოიგებ, შეგიძლია, თავი ბედნიერად ჩათვალო. მეც ბედნიერი ვარ. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ისეთმა შედეგიანმა და კარზე დაგეშილმა გუნდმა, როგორიც "ვერდერია", ჩვენს კართან მომენტები თითქმის საერთოდ ვერ შექმნა. არადა, სათამაშო უპირატესობას სწორედ ბრემენელები ფლობდნენ, ჩვენ კი შანსს კონტრშეტევებზე ვეძებდით. ყველა ფეხბურთელმა საუცხოოდ ითამაშა."* - ეს კი სლომკას სიტყვებია.

სიმართლე ითქვას, მირკოს ზემოთ ხსენებული ტაქტიკის მოფიქრებით ამერიკა არ აღმოუჩენია. "ვერდერის" წინააღმდეგ თამაშის დროს თითქმის ყველა გუნდი ასე იქცევა ხოლმე - ბრემენულ გუნდს მოედნის ცენტრს უთმობს და პრესინგს მხოლოდ საკუთარ მოედანზე ეთამაშება. მთავარი ის არის, რომ ამას შედეგი თითქმის არასდროს მოაქვს - ბრემენელები მაინც ახერხებენ ხოლმე გოლების გატანას. "შალკესთან" კი ეს ვერ მოახერხეს, თანაც სეზონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატჩში, რომელმაც, შესაძლოა, სულაც გერმანიის ჩემპიონატის ბედი გადაწყვიტა.

მიუხედავად ამისა, გელზენკირხენულ კლუბში "ვერცხლის სინზე" ჯერ არავინ საუბრობს, რადგან ყველამ იცის, რომ წინ კიდევ 14 ტურია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ფაქტი ის არის, რომ ამიერიდან "შალკეს" შეუძლია, თავისი ბედი თვითონვე აკონტროლოს. მთავარია, რომ "ხუმარებმა" ქულები უაზროდ არ დაკარგონ. თუმცა გელზენკირხენულ კლუბს ამის საფრთხე ალბათ არც ემუქრება, რადგან ბუნდესლიგის გუნდებიდან ამ სეზონში ყველაზე სტაბილური სწორედ "შალკეა".

მიუხედავად იმისა, რომ "ვერდერს" ორივე გოლი **პეტერ ლოვენკრანდსმა** გაუტანა (განსაკუთრებით ლამაზი პირველი გოლი იყო, როცა

პეტერ ლოვენკრანდსი

დანიელმა **ლინკოლნის** ჩაწოდების შემდეგ მაკრატელა დაარტყა), გერმანული პრესისგან მასზე მეტი ქება მაინც კურანიმ დაიმსახურა, რომელიც მეორე წრეში არანორმალურად კარგად ასპარეზობს. როგორც იცით, კევინი გერმანიის ნაკრებშიც დააბრუნეს, რამაც, როგორც ჩანს, თავდაჯერება და მოტივაცია შემატა. კურანიმ კვირას მიმდინარე სეზონში უკვე მე-8 საგოლე პასი გააკეთა, რის გამოც სლომკამ იხუმრა, ფლეიმეიქერის პოზიციაზეც უნდა მოვსინჯოო. 8 გოლი და 8 საგოლე პასი - აი, კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ კევინი აზრზე მოვიდა. მოკლედ, კვირის შემდეგ გელზენკირხენულ კლუბში ყველაფერი იდეალურადაა. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ასეთ მნიშვნელოვან გამარჯვებაში კობიაშვილმა თავისი წვლილი ვერ შეიტანა და გუნდს ტრავმის გამო ყველაზე კარგ მომენტში დააკლდა.

არ დაგავიწყდეთ, რომ "შალკემ" "ვერდერს" პირველ წრეშიც მოუგო (ასევე 2:0). ამრიგად, "ბილდის" დასკვნას უსიტყვოდ უნდა დავეთანხმოთ: დღევანდელი გადასახედიდან გერმანიის ჩემპიონობას ყველაზე მეტად სწორედ კობის გუნდი იმსახურებს...

**გოტფრიდ ლენცი**

ვარსკვლავი

# ლემპარდს ამერიკა შესთავაზეს

## ჩიკაგოში წლიურ 12 მილიონად: ფრენკი პენსიაში გასვლას ჯერ არ აპირებს...

"ჩიკაგო ფაიერმა" **ფრენკ ლემპარდს** ამერიკაში გადასვლის შემთხვევაში თვეში 1 მილიონი დოლარი შესთავაზა. კლუბის მესვეურებს სჯერათ, რომ თანხის მოძიებაში სპონსორები დაეხმარებიან. ლემპარდს სპონსორული კონტრაქტი აკავშირებს "ადიდასთან". გერმანული გიგანტი MLS-ის მთავარი პარტნიორია. "ადიდასი" მათ შორისაა, ვისაც ყველაზე მეტად სურს ამერიკაში ევროპული ფეხბურთის პოპულარიზაცია. ამერიკა უზარმაზარი ბაზარია. ამ ბაზრის დაპყრობაში "ადიდასსა" და მის პარტნიორებს ფეხბურთის უპირველესი ვარსკვლავები უნდა დაეხმარონ. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. "ლოს ანჯელეს გალაქსიმ" საარაკო კონტრაქტი გაუფორმა **დევიდ ბექჰემს**. იქნება თუ არა ლემპარდი შემდეგი? ძნელი წარმოსადგენია. ფრენკს "ჩელსისთან" კონტრაქტი 2008 წელს უმთავრდება. ფიფას ახალი კანონმდებლობით, მას შეუძლია, ხელშეკრულება 8 მილიონ გირვანქად გამოისყიდოს. თუ ლემპარდი კონტრაქტს არ გააგრძელებს, არა ერთი ევროპული გრანდის სამიზნე გახდება. თავად განსაჯეთ: ფეხბურთელი, რომლის საბაზრო ღირებულება 25 მილიონი გირვანქაა, სულ რაღაც 8 მილიონად შეიძლება გაიყიდოს. ჩიკაგოელთა დაინტერესებაც ამით უნდა ავხსნათ, მაგრამ ბექჰემისგან განსხვავებით, ლემპარდი დიდი ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ აპირებს. თანაც, თუ მას "ჩელსის" დატოვება მოუნდება, "ბარსელონას" კონტრაქტი გამზადებული აქვს. ფრენკს არასოდეს დაუმალავს, რომ "არისტოკრატების" შემდეგ "ბარსა" მისი მეორე ყველაზე საყვარელი კლუბია - ბევრწილად კატალონიელი გერლფრენდის გავლენით.

გოლი რეალის კარში

რეალი. მოთმინების ფიალა აივსო

# რაჭრა დაიბარებს კალდერონმა ხელქვეითები?

## ლევანტესთან მარცხის შემდეგ მადრიდში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, გამორიცხული არ არის, კალდერონმა კაპელოს შეაწმინდოს ხელი...

"სანტიაგო ბერნაბეუზე" კატასტროფა მოხდა. სამეფო კლუბმა მორიგი საშინაო მარცხი იწვნია. მთლიანობაში კი **ფაბიო კაპელოს** ბიჭებმა ამ სეზონში მეშვიდედ წააგეს. "ლევანტესთან" განცდილი ფიასკო მადრიდელი გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებით, მტკივნეული აღმოჩნდა. ის, რაც საფინალო სასტვენის შემდეგ "ბერნაბეუს" ტრიბუნებზე ხდებოდა, სიტყვებით არ გადმოიცემა. ინჩადამ ხელმძღვანელობას ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყო. "გადადექი, **კალდერონ!**" - აი, ამ ლოზუნგით იყო გაერთიანებული ათიათასობით ადამიანი. პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თანამდებობა არ დატოვოს. თუნდაც ამისთვის კაპელოს გადაყენება დასჭირდეს. ჯერ კიდევ ორი დღის წინათ სენიორ კალდერონი ხმამაღლა და ამაყად ამბობდა, კრიზისზე საუბარი სისულელეა, კაპელოს კი სამუშაოს დაკარგვა არ ემუქრებაო. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სულ რაღაც 48 საათში განწყობა რადიკალურად შეიცვალა. პრეზიდენტის მოთხოვნით, კვირას გვიან ღამით "სანტიაგო ბრნაბეუზე" "რეალის" ოფისში დირექტორთა საბჭოს ექსტრემალური შეხვედრა გაიმართა. შეკრებილი მაღალჩინოსნების მსჯელობის ერთადერთ საგანს მთავარი მწვრთნელის გადაყენების საკითხი წარმოადგენდა. სამეფო კლუბის მმართველებმა შექმნილი სიტუაცია გააანალიზეს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვეს. მათ უნდა გადაეწყვიტათ, რა უფრო კარგი იქნება გუნდისთვის, იტალიელის დარჩენა, თუ კონტრაქტის გაწყვეტა. სამწუხაროდ, კრების დასრულების შემდეგ პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსულმა ჩინოსნებმა პრესისთვის არანაირი განცხადება არ გააკეთეს, მათ მხოლოდ ის დაადასტურეს, რომ კაპელოს მომავალზე საუბრობდნენ. ესპანელი მიმომხილველების ვარაუდით, თუ კალდერონს იტალიელის გაშვება ცხოვრებას გაუადვილებს, ანუ საზოგადოებაში მომძლავრებულ აგრესიას ამ ნაბიჯის გადადგმით ოდნავ მაინც განმუხტავს, ის, რა თქმა უნდა, არ დახანებს და სინიორ ფაბიოს კარისკენ დელიკატურად მიუთითებს. როგორც ამბობენ, ყველაფერი ამ კვირაში გაირკვევა. შესაძლოა, აპენინელს მაქსიმუმ კიდევ ერთი შანსი მიეცეს. საკმარისია, პირენეულმა გრანდმა ერთი თამაშიც დათმოს, აპენინელს ეშმაკიც ვეღარ უშველის. უნდა გითხრათ, რომ ესპანეთის დედაქალაქში სიტუაცია მართლაც იძაბება. გულშემატკივრები ნერვული აფეთქების ზღვარზე არიან. ემოციების ღიად გამოხატვას, თვით ჟურნალისტებიც არ ერიდებიან...

### კაცი, რომელმაც არაფერი იცის რეალის კულტურის შესახებ

"ბერნაბეუს" ყველაფერი ყელში ამოუვიდა. რა არის ეს ყველაფერი?! გიპასუხებთ: კაპელო, ბროლის ლოჟაში მოკალათებული, თავშიხელნაშენი **დევიდ ბექჰემი**, რამონ კალდერონის უტიფარი სახე, წაგება და შეურაცხყოფა. **რონალდოს** გაშვებას დირექტორატსა და სამწვრთნელო შტაბში ოვაციები მოჰყვა. თითქოს, ბრაზილიელი იყო დამნაშავე. ის კი ცივ მილანში დაბრუნდა, "როსონერის" 99-ნომრიანი მაისურა მოირგო და ალბათ, ჯერაც არ იცის რა მოხდა "ბერნაბეუზე". ან იცის და ირონიულად იღიმება. იქნებ, გული შესტკივა. მან ხომ წასვლის დღეს თქვა, "რეალი" ჩემი სახლიაო. უდავოა, კაპელომ ამ კლუბის კულტურის შესახებ არაფერი იცის, ის სტერეოტიპული შეხედულებებით ხელმძღვანელობს და ირგვლივ ყველაფერს ანგრევს. დანგრევაა და სხვა არაფერი, როცა სეზონში შვიდ თამაშს ასე უმტკივნეულოდ, იდიოტურად წააგებ. როცა ჯერ "ვილიარეალი" მოგჭრის თავს, შემდეგ კი რეაბილიტაციის ნაცვლად გულშემატკივრებს "დესერტად" "ლევანტესთან" მარცხს შესთავაზებ. ამ კაცისთვის ყველაფერი სულერთია. **გალიანიმ** კალდერონს ბანდიტი უწოდა, სამეფო კლუბს კი ყაჩაღთა ბანდა. განა შეიძლება, ამაზე დიდი შეურაცხყოფა ვინმემ მოგაყენოს?! კაპელომ ეს ფაქტი არაფრად ჩააგდო და რონალდოს შესაძენად მადრიდში ჩამოსულ გალიანისთან ერთად რესტორანში ისადილა. პრეზიდენტი ფაქტის წინაშე დადგა. სამწუხაროდ, ის ადეკვატურ შეფასებას მოერიდა და მწვრთნელი ბანალური მოტივით გაამართლა, თურმე სენიორ ფაბიო **კაკას** ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებას აწარმოებდა. ბოდიშს ვიხდით, მაგრამ ამგვარ მოლაპარაკებაში მთავარი მწვრთნელები როდის მერე მონაწილეობენ? კალდერონს კაპელოსთან მკაცრად დალაპარაკების შეეშინდა. შემდეგ ისიც თქვა, გალიანიმ პირადად მომიხადა ბოდიში იმისთვის, რომ ბანდიტი მიწოდაო. თავად იტალიელს მედიის საშუალებებით ბოდიში არ მოუხდია. ამის შესახებ მხოლოდ ჩვენმა პრეზიდენტმა გვითხრა. ასე რომ, ეს არ არის ნამდვილი ბოდიში და სერიოზული პრობლემის მოგვარება.

"ბერნაბეუს" ყელში ამოუვიდა უაზრო გადაწყვეტილებები. **ხოსე ანტონიო რეიესი** მთელ დროს მოედნის მიღმა მოთელვასა და მსუბუქ ვარჯიშში ატარებს. ამ საქმეს **ბაპტიშტაც** ხომ ჩინებულად გაართმევდა თავს? მაშ რა საჭირო იყო მათი გაცვლა და "არსენალისთვის" დამატებით მილიონობით ევროს გადახდა?

სენიორ კაპელო, გვერწმუნეთ, არანაირი პირადი მოტივი არ გვამოძრავებს. ნუ იფიქრებთ, რომ მაინცა და მაინც თქვენი პერსონა გვაღიზიანებს. არამც და არამც. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ განვრთნის სამეფო კლუბს. მივილებთ ყველას, ვინც დიდ გამარჯვებებს მოგვიტანს. შესაბამისად, ყველას, ვინც თავს მოგვჭრის კრიტიკის ქარ-ცეცხლში გავატარებთ. ასე რომ, გნებავთ კაპელო იყავით, გნებავთ **დელ ბოსკე**... თუმცა სენიორ **ვისენტეს** სახელის ამ სტატიაში ხსენება დიდი უმადურობაა, მან ხომ სასახელო ისტორია შექმნა. ნადით, კაპელო. წადით, მანამ "ბერნაბეუზე" თეთრი ცხვირსახოცების ფრიალი კატანაში განვითარებულ მოვლენებში არ გადაზრდილა.

უცნაური, მე ვიტყოდი, კურიოზული ნოსტალგია მიპყრობს. "რეალისა" და "ლევანტეს" წინა დაპირისპირება მადრიდელთა ფანტასტიკური გამარჯვებით დასრულდა. რონალდოს (2), **ოუენის**, **ფიგუშა** და ბექჰემის გოლებმა ხალხს უდიდესი სიხარული მოუტანა. პრობლემები მაშინაც თავზესაყრელად იყო, მაგრამ ვინმეს რომ ეთქვა, "ლევანტე" "ბერნაბეუზე" მოიგებსო, სასაცილოდაც არავის ეყოფოდა. ახლა კი თქვენი გაუგებარი მუშაობის წყალობით, ათიათასობით ინჩასი სტადიონზე ეჭვებითა და წინასწარ გამზადებული სპროტესტო პლაკატებით მიდის. ხალხი თამაშის დაწყებამდე უკვე იმაზე ფიქრობს, რომ შეიძლება "რეკრეატივოსთან", "ვილიარეალთან", "ლევანტესთან" წააგონ და ტრიბუნისკენ მართლაც ყოველმხრივ მომზადებულები მიდიან. ყოველი შემთხვევისთვის ერთ ხელში "რეალის" ყელსახვევი უჭირავთ, მეორეში კი პლაკატი, რომელზეც წერია, წადით, წადით, წადით!!!

ნუ გგონიათ, რადგან მწვრთნელი ხართ, ყველაფრის უფლება გაქვთ, ჩვენ კი უფლებააყრილები გახლავართ. ნურას უკაცრავად! მორჩა, ნამდვილი მადრიდისტა ჩუმად ვეღარ იქნება, მომავალ ტურში ან ბექჰემს ძირითად შემადგენლობაში დააბრუნებთ და "ანოეტაზე" მოიგებთ, ან ნახვალთ. თქვენისთანები მოდიან და მიდიან, ჩვენ კი "რეალის" სიყვარული დაბადებიდან შემოგვეჭრა გულში. მამაჩემი, ბაბუაჩემი და ბაბუაჩემის მამა სამეფო კლუბის ინჩასები იყვნენ. ისინი ფულს იხდიდნენ, იმისთვის, რომ "ბერნაბეუზე" სიხარულს დაესადგურა. ხალხის ნება დღესავით ნათელია, ან ტიტულებს მოგვიტანთ და კოლოსალურ ხელფასს ამით აანაზღაურებთ, ან სხვას დაუთმობთ ადგილს. ვინ არის ეს სხვა? მე **შუსტერს** ან დელ ბოსკეს დავნიშნავდი.

მიუხედავად ყველაფრისა, დეპრესიაში არ ჩავვარდები. "რეალი" გაციებით მეტია, ვიდრე კაპელო, კალდერონი და **მიატოვიჩი**. "რეალს" ათიათასობით სოსიო ჰყავს. ეს არის ჯანმრთელი ხალხი, რომელიც არასოდეს შეეგუება გუნდის დაჩაჩანაკებას და საჭირო მომენტში იმხელა ხმაზე დაიღრიალებს, რომელიც ირგვლივ ყველაფერ მავნეს წალეკავს. ზედაპირზე კი სამეფო კლუბის სიყვარული დარჩება.

**Hasta siempre, Fabio!** მშვიდობით და ბოდიშსაც ნუ მოითხოვთ ჩვენგან. პირიქით, თავად გაქვთ ბოდიში მოსახდელი იმისთვის, რომ მოთმინება დაგვაკარგვინეთ...

**ტომას რონსერო**
დიარიო ასი

***P.S.** გუშინ "რეალის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა პრესის წინაშე განაცხადა, რომ ფაბიო კაპელოს კლუბის ხელმძღვანელობისგან სრული ნდობა აქვს.*

# ფაბიო კაპელო: ცხოვრებაში ყველაფრისთვის მზად უნდა იყო



ფაბიო კაპელო

**- რატომ თამაშობს "რეალი" ასე ზანტად?**

- ექვსი-შვიდი საგოლე მომენტი გვქონდა. გარდა ამისა, სამი პენალტი არ დაგვინიშნეს. უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა მითხრა, რომ წესები დაირღვა და მსაჯმა ეს არ შეამჩნია. არადა, ის იქვე იმყოფებოდა. შეუძლებელია, არ დაენახა. "ლევანტემ" ერთადერთხელ დაარტყა კარში, ისიც 11-მეტრიანის ნიშნულიდან და გაგვიტანა. ამის შემდეგ მთელი გუნდი დაცვაში ჩადგა და მძლავრი პრესინგი მოგვიწყო. ერთხელ ძელს გავარტყით, რამდენჯერმე თამაშგარის ზღვარი ერთი ან ორი სანტიმეტრით გადავლახეთ. მოკლედ, ამ შეხვედრაში ყველაფერი ვნახეთ.

**- მე გკითხეთ, "რეალი" ამდენად ზანტად რატომ თამაშობდა-მეთქი?**

- თქვენ მკითხეთ, მე კი გიპასუხეთ.

**- როგორ ფიქრობთ, ამ წაგების შემდეგ კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა?**

- შედეგი ცალსახად უარყოფითია, მაგრამ ამჯერად ფეხბურთელებთან არაფერი მაქვს სასაყვედურო. გასახდელში გულწრფელად ვისაუბრეთ. მათ არ ესმით, რატომ ჩამოდიან მსაჯები ისეთი განწყობით, რომ პენატლებს არ დაგვინიშნავენ და ყველანაირად შეგვიშლიან ხელს. მართლაც, მოდიან და იმას აკეთებენ, რაც მოესურვებათ. თუნდაც, მათ გადაწყვეტილებას რეალობასთან არანაირი შეხება არ ჰქონდეს. რა დაგიმალოთ, მეც ვერაფერი გამიგია.

**- თქვენ თუ არ იცით, მე გეტყვით. ალვარეს ისკიერდო ბარსელონაში დაიბადა. მისი ოჯახი "ბარსას" ქომაგობს. სავარაუდოა, რომ თავად არ ბიტრიც კატალონიელთა ინჩაა. დავუშვათ, პენალტი მართლაც უსამართლოდ არ დანიშნა, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ამითაც ვერ გაიმართლებთ თავს. უბრალოდ, უნდა გაგეტანათ. ისკიერდო ლეგალურად შეგდებულ ბურთს ვერ გააუქმებდა. ყველაფერი თქვენს თავს უნდა დააბრალოთ და მსაჯისკენ ხელი არ უნდა გაიშვიროთ...**

- დიდაქტიკისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ.

**- მოდით, ჩვენს საუბარს ცინიზმის კორიანტელად ნუ გადავაქცევთ. როგორც პროფესიონალებმა, საქმეზე ვიმსჯელოთ. სენიორ კაპელო, რისი თქმა გსურთ, "ლევანტესთან" მარცხი მსაჯის ბრალია?**

- არა, ამას არ ვამბობ. მწვრთნელი ვარ და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. უბრალოდ ის გითხარით, რომ არბიტრმა სამი პენალტი მოგვპარა.

**- როგორ ფიქრობთ, მსაჯები მიზანმიმართულად გებრძვიან?**

- ეს არ მიგულისხმია. ვიმეორებ, მხოლოდ ერთი ფაქტი აღვნიშნე, ალვარეს ისკიერდომ 100-პროცენტიანი პენალტები არ დაგვინიშნა. ბიჭებმა მთხოვეს, პრესკონფერენციაზე თავი არ შემეკავებინა და ყველაფერზე ღიად მესაუბრა. შევეცადე, ბიჭები ყოველმხრივ გამემხნევებინა. საფინალო სასტვენის შემდეგ ისინი მკვდრებს ჰგავდნენ.

**- თანამდებობიდან გადადგომა აზრადაც არ მოგსვლიათ?**

- არა. ადრეც ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ "რელში" კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დარჩენა მსურს.

**- იმედია, ყურებში საცობები არ გქონიათ და მოისმინეთ "ბერნაბეუზე" რაც ხდებოდა. არავის ახსოვს, ტრიბუნებზე ბოლოს ასე როდის უსტვენდნენ...**

- დიახ, მოვისმინე. ხალხმა სამართლიანი პრეტენზია გამოხატა. მათ ყველა უფლება ჰქონდათ იმისთვის, რომ ესტვინათ. სხვათა შორის, ულტრასებისგან (ფაშისტურად განწყობილი ფანები) სერიოზულ პრობლემებს ველოდი, თუმცა რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მათ თანადგომა გამომიცხადეს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის...

**- გასაოცარი ის არის, რომ ჯერ კიდევ შაბათს ულტრასების წინააღმდეგ მკაცრ სანქციებს ითხოვდით, ახლა კი მადლობას იხდით.**

- როცა მავიწროებენ, თავს ვიცავ. ხოლო, როცა მეხმარებიან მადლობას ვიხდი.

**- როგორ ფიქრობთ, ხალხს მოთმინების ფიალა აევსო?**

- ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ წარმატებები მოვიპოვოთ. ზოგჯერ გამოგვდის, ზოგჯერ არა. ვიმეორებ, "ლევანტესთან" მატჩში ხუთზე მეტი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერც ერთი გამოვიყენეთ. სამი პენალტი მოგვპარეს. შედეგად, საშინაო მარცხი ვიწვნიეთ. რა გაეწყობა, ეს ფეხბურთია.

**- ზედიზედ ორი მარცხი იგემეთ. გარდა ამისა, ბოლო რვა შეხვედრაში მხოლოდ ოთხი გოლი გაიტანეთ. არ ღელავთ?**

- პრობლემების შესახებ ჩემზე კარგად არავინაა ინფორმირებული. იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ მრავალი საგოლე მომენტის გამოყენება ვერ მოვახერხეთ.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ფეხბურთელების შესაძლებლობები ჯეროვნად ვერ შეაფასეთ და შემადგენლობის დაკომპლექტებისას შეცდომები დაუშვით?**

- არა, ასე არ ვფიქრობ. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ტრავმების გამო სერიოზული პრობლემები გვაქვს. რობერტო კარლოსი, მარსელო და სისინიო ვერ გვეხმარებიან.

**- ასეა თუ ისე, კატასტროფული სიტუაცია შეიქმნა. დამნაშავე თქვენ ხართ? რონალდო გაუშვით, ბექჰემს ყურადღებას არ აქცევთ...**

- თუ ვინმეს აქ დარჩენა უნდა, შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი ნებისმიერ წამს მიეცემა. მე მათ ვერაფერს მოვუხერხებ, ვისაც სხვა კლუბთან გამზადებული კონტრაქტები აქვთ. ეს არის და ეს...

**- გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა პრეზიდენტისა და თქვენს გადადგომას ითხოვს. ნუთუ, საზოგადოების აზრს არანაირ ყურადღებას არ აქცევთ?**

- ვიმეორებ, მსურს აქ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დავრჩე. იმედია, არავინ ფიქრობს, რომ სამსახურის დაკარგვის მეშინია. უბრალოდ, ღრმად მწამს, რომ ჩვენ დიდი წარმატებების მიღწევა შეგვიძლია.

**- გაგიკვირდებათ, კალდერონმა რომ გადაგაყენოთ?**

- კალდერონი პრეზიდენტია. ასე რომ, გადაწყვეტილებების მიღება მისი პრეროგატივაა.

**- მზად ხართ, მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარებისთვის?**

- ცხოვრებაში ყველაფრისთვის მზად უნდა იყო...

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ბექჰემმა დღეს თამაშის გარეშე მოგიგოთ?**

- ბექჰემი პირადად მე ვერაფერს მომიგებს. ის ჩემამდე სამი წლის განმავლობაში თამაშობდა და განსაკუთრებული წარმატებებისთვის არ მიუღწევია. ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი, ფეხბურთელების მყისიერი პროგრესია. დრო არ გვაქვს, ამიტომ თამაშიდან თამაშამდე უნდა მოვუმატოთ. ჩემს მიერ შემუშავებულ ტაქტიკაში ეჭვი არ შემაქვს. მჯერა, ეს წარმატებული ტაქტიკაა.

**- ტაქტიკა, რომელშიც ბექჰემი და რონალდო ვერ ხვდებიან?**

- არც ის პერიოდი იყო წარმატებული, როცა ეს ბატონები სისტემატურად ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობდნენ. გაიხსენეთ "დეპორტივოსთან" ამასწინათ გამართული დაპირისპირება და ყველაფერს თავად მიხვდებით.

**- მიატოვიჩთან, ან კალდერონთან ხომ არ გისაუბრიათ?**

- არა, ჯერ საამისო საშუალება არ მომცემია. პრესკონფერენციაზე მოსვლა იმიტომ დავაგვიანე, რომ გასახდელში შევყოვნდი. ბიჭებს ვესაუბრებოდი. იმედია, გჯერათ და არ ფიქრობთ, რომ გატყუებთ.

**- ფეხბურთელები მხარს გიჭერენ?**

- ყოველ შემთხვევაში, ვერავინ იტყვის, რომ ისინი ჩემს წინააღმდეგ არიან.

**- ხომ არ გგონიათ, რომ თქვენმა პროექტმა კრახი განიცადა?**

- დასკვნების გამოტანა ნაადრევია. ჩემპიონთა ლიგასა და პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შანსი გამოვიყენოთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ ოტმარ ჰიტცფელდთან

# იმპოტენცია: გვინდა, მაგრამ არ შეგვიძლია

## გენერალი გეგმებს ცვლის, მესამე ადგილი და ჯანმრთელობა...

**რუგორც გაირკვა, "ნიურნბერგის" ბოსები "ბაიერნს" ტყუილად არ ემუქრებოდნენ, ჰიტცფელდი ორ დღეში ვერაფერს შეცვლის, ასე რომ, ოტმარს დებიუტს ჩავუმწარებთო. ჩაუმწარეს კიდეც - ჰანს მაიერის ერთ მუშტად შეკრულმა კოლექტივმა დანაწევრებულ რეკორდმაისტერს სულ კუდით ქვა ასროლინა და არც მეტი, არც ნაკლები, 3:0 მოუგო. მაგრამ აქ მთავარი არც ანგარიშია, არამედ ის, რომ "ნიურნბერგმა" "ბაიერნს" ყველაფრით აჯობა. ჰიტცფელდმა კრახი მშვიდად მიიღო. თუმცა გაბრაზებას აზრი არ ჰქონდა - ყველა მიხვდა, რომ ოტმარს "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში რიგით მეორე დებიუტი სხვანაირად წარმოედგინა. კვირას 58 წლის სპეციალისტმა "ბილდ ამ ზონთაგს" და "შპიგელს" ინტერვიუები მისცა. ორივე ინტერვიუ შევაჯარეთ და ერთობლივი სახით გთავაზობთ.**

**- ჰერ ჰიტცფელდ, რა დაემართა პარასკევს "ბაიერნს"?**

- არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. უბრალოდ ჩავიძირეთ. ფეხბურთელები აბსოლუტურად ყველა მოძრაობას აგვიანებდნენ. ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს, უზომოდ ბევრი. ეს განსაკუთრებით დაცვას ეხება, კონკრეტულად კი დაცვის ცენტრს, რომელიც ძალიან უდისციპლინო და ქაოტურია. ლუსიო ზედმეტად ხშირად ერთვება შეტევებში, იგივეს ვიტყოდი ვან ბუიტენზეც. გაოგნებული დავრჩი, ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ორივე ერთად მიდიოდა წინ. არადა, ცენტრალური მცველები არიან. ასეთი ქმედებები ტაქტიკურად ყოვლად გაუმართლებელია.

**- კიდევ რაში ხედავთ პრობლემას?**

- გუნდი ოდნავადაც არაა თავდაჯერებული. მაგალითად, შვაინშტაიგერს მხოლოდ საკუთარ თავთან აქვს პრობლემები. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ გრანდიოზული ფეხბურთის ჩვენება არ შეგვიძლია, მაგრამ ამ მხრივ ვერც ვერაფერს შევცვლით. უბრალოდ, არსებული პოტენციალი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**- არაა გამორიცხული, რომ "ბაიერნში" დაბრუნებას უკვე ნანობდეთ...**

- ისე არაა თითქოს მე მეგონა, რომ მოვიდოდი თუ არა, ყველაფერი ავტომატურად შეიცვლებოდა. ვიცოდი, რომ რთული საქმე მელოდა. და ამაში პარასკევს უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი.

**- პარასკევამდე ამბობდით, მჯერა, "ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი გახდებაო. კიდევ გჯერათ?**

- მებრძოლ ადამიანს ყოველთვის უმაღლესი მიზნები უნდა ჰქონდეს. მაგრამ მიზანი რეალური უნდა იყოს. ჩვენი მიზანი მესამე ადგილზე გასვლაა, ანუ, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება.

**- იყო თუ არა ნიურნბერგში განცდილი მარცხი (0:3) თქვენი კარიერის ყველაზე დიდი და სანინელი იმედგაცრუება?**

- ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დღე ჩემს სამწვრთნელო კარიერაში. ხომ გეუბნებით, ვიცოდი, რომ წინ რთული საქმე მელოდა, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რთული იქნებოდა. თუმცა ეს მაინც არ იყო ყველაზე დიდი იმედგაცრუება. 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი არასდროს დამავიწყდება. ყველაზე მეტად გული სწორედ იმ წაგებამ მატკინა. მას მერე რაღა უნდა გამიკვირდეს?

**- ბევრი მიიჩნევს, რომ "ბაიერნის" წაგება აბსოლუტურად ლოგიკური იყო, რადგან "ნიურნბერგმა" უბრალოდ გაცილებით უკეთ ითამაშა...**

- სრული სიმართლეა. ამ წაგებას მხოლოდ ერთი პოზიტიური მხარე აქვს და კერძოდ ის, რომ სუსტი წერტილები ძალიან ნათლად გამოჩნდა. პარასკევს ღამის ორ საათზე ამ შეხვედრის ჩანაწერს ვუყურე. ახლა ყველაფერი უნდა გავაანალიზო და ფეხბურთელებს თავიანთ შეცდომებზე კონკრეტულად მივუთითო. კრთი სიტყვით, ინტენსიური მუშაობაა საჭირო.

**- მაინც რას ეტყვით ფეხბურთელებს, რა დაინახეთ პარასკევს, ღამის ორ საათზე?**

- დავიწყოთ იმით, რომ გუნდი გუნდს არ ჰგავს. ყველა ცალ-ცალკეა. მართალია, მე ვიცი, რომ ცალ-ცალკე ყოველი მათგანი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ შედეგი მაინც გუნდურ თამაშს მოაქვს. თუ ერთი შეცდომას უშვებს, მეორე არ ეხმარება - ეს უბრალოდ დაუშვებელია. ისე იქცევიან, თითქოს ერთმანეთის მტრები იყვნენ. კომბინაციებს ძალიან ნელა ათამაშებენ და ხშირად არაზუსტ პასებს აკეთებენ. არცერთს არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ დრიბლინგი განახორციელოს, ან მინიმუმ ერთი მოწინააღმდეგის მოტყუება მაინც სცადოს. ეს "ბაიერნი" უბრალოდ არ იკბინება!

**- იქნებ ფიქრობთ, რომ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი გასაგდებია?**

- არა, ასე არ ვფიქრობ. გუნდი თავდაჯერებული არაა. მათ უნდათ, მაგრამ არ შეუძლიათ, თითქოს ბლოკირებულები არიან.

**- საინტერესოა ის, რომ ოლივერ კანი სამარცხვინო წაგებებს ძალიან მშვიდად ხვდება. დაგვეთანხმებით, ეს ძალიან მოულოდნელია, რადგან კანი ყოველთვის ფეთქებოდა ხოლმე...**

- ოლი ნიურნბერგში ძალიან შემეცოდა, რადგან ვერაფერს გააწყობდა. არადა, ერთ თამაშში სამი გოლის გაშვება მისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთია. როგორც ვხედავ, კანს ახალი იმიჯი აქვს და ამ ბოლო დროს "ბაიერნში" უფრო სულიერი მამის, პედაგოგის როლს თამაშობს. ვისურვებდი, რომ იმიჯი შეიცვალოს და ისევ ის "ვულკანი" გახდეს, ადრე რომ იყო. ვისურვებდი, რომ წარუმატებელი მატჩის შემდეგ გასახდელში ძველებურად შემოაბოტოს, ბუცები ისროლოს და თანაგუნდელები გალანძღოს. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე ასეც იქნება.

**- კანის გარდა კიდევ ვინ არის გადამწყვეტი ფიგურა?**

- რა თქმა უნდა ვილი სანიოლი, რომელიც ცუდ ფორმაშია, მაგრამ მჯერა, მალე მოუმატებს. ულა-პარაკოდ ოუენ ჰარგრივსი და მარკ ვან ბომელი. ასევე დანიელ ვან ბუიტენი, რომელიც "ჰამბურგშიც" ლიდერი იყო და ლუსიო. როგორც დაცვის ბურჯს, ლუსიოს, პირველ რიგში, კარის დაცვა, უკანა ხაზში სტაბილურად დგომა ევალება და არა არანორმალურივით წინ და უკან სირბილი. "ბაიერნის" დაცვაში ამდენი ხვრელი არ უნდა იქმნებოდეს.

**- თქვენ "ბაიერნი" ისევ კლასიკურ 4-4-2-ს დაუბრუნეთ. რატომ გააკეთეთ ეს, იმიტომ, ხომ არა, რომ გინდოდათ გეთქვათ, გუნდს ფლეიმეიქერი არ ჰყავსო, ან იქნებ მიგაჩნიათ, რომ სტაბილურობა მხოლოდ ამ ტაქტიკით დაბრუნება?**

- უფრო ორივე. მინდა, რომ ნახევარდაცვა უფრო სტაბილური და ამასთან მარტივი გახდეს, რადგან სირთულეებისთვის ჯერ გუნდი მზად არ არის.

**- შვაინშტაიგერსა და პოდოლსკიზე რას იტყოდით?**

- პოდოლსკის ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. ჩვენ ეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით. მაგრამ ეს პოტენციალი პირველ რიგში ვარჯიშებზე უნდა გამომამჟღავნოს. შვაინშტაიგერმა კი უნდა შეიგნოს, რომ რაც უფრო გაიზრდება, მით უფრო ხშირად მოუწევს კრიტიკის მოსმენა და მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება. ეს პირველი ფაზაა მის კარიერაში, როცა აკრიტიკებენ და არ მიკვირს, ამასთან შეგუება რომ გაუჭირდა. აქამდე ის ყველასათვის საყვარელი შვაინი იყო და ჯერ ვერ შეეგუა იმას, რომ ფეხბურთში ყველაფერი ერთი თამაშით, ან თუნდაც ერთი მომენტით იზომება და არა მუდმივად ღიმილიანი, მეგობრული სახით. ფაქტი ის არის, რომ შვაინის ვენდობი. მარცხენა ფლანგზე იმიტომ გადავიყვანე, რომ ასე მივიჩნიე მართებულად. თორემ ფლეიმეიქერობაც შეუძლია. ბასტიანმა თავის თავზე უნდა იმუშავოს.

**- იანვარში რომ დაბრუნებულიყავით, ხელმძღვანელებს ახალი ფეხბურთელების შეძენას მოსთხოვდით?**

- არ ვიცი, შესაძლოა. მაგრამ ახლა ამას აზრი აღარ აქვს - სატრანსფერო ფანჯარა დახურულია და ჩვენც ველარავის ვიყიდით. ახლა უნდა ვეცადო, რომ ამ შემადგენლობიდან მაქსიმუმი გამოვწვი. ოთხშაბათს გერმანიის ნაკრებს თამაში აქვს, რაც ძალიან მახარებს. ვიმედოვნებ, რომ ჩემი ფეხბურთელები გერმანიის ნაკრებიდან უფრო თავდაჯერებულები დაბრუნდებიან.




ოტმარ ჰიტცფელდი

**- ფრანც ბეკენბაუერს უნდა, რომ "ბაიერნში" მუშაობა ზაფხულის შემდეგაც განაგრძოთ. კაიზერი გრანდიოზულ ცვლილებებსა და ახალი "ბაიერნის" აშენებას გეგმავს. ნუთუ ეს არასაკმარისი მოტივაციაა?**

- დიდი ცვლილებები უბრალოდ აუცილებელია. მაგრამ ეს ახლა არ მაინტერესებს, რადგან ყოველდღიურობაზე ვარ კონცენტრირებული. "ბაიერნში" დაბრუნებას იმ პირობით დავთანხმდი, რომ მხოლოდ ზაფხულამდე ვიმუშავებდი. მიზეზი ისაა, რომ დასვენებული ვარ და მართლა გამიხარდა, როცა ჰიონესმა დამირეკა და დაბრუნება შემომთავაზა. არ ვიცი, რა იქნება ზაფხულის შემდეგ. სიმართლე გითხრათ, სატელევიზიო ექსპერტად მუშაობა ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მინდა, რომ ზაფხულიდან ამ საქმეს დავუბრუნდე.

**- ნუთუ "ბაიერნში" მართლა ასე ცოტა ხნით დაბრუნდით?**

- დიახ.

**- არის თუ არა კონტრაქტში პუნქტი, რომელიც გერმანიის ჩემპიონობისთვის პრემიის მიღებას ითვალისწინებს?**

- რა თქმა უნდა, არის.

**- "ბაიერნის" თავკაცის რანგში, ჩემპიონთა ლიგის ბოლო შეხვედრა "რეალთან" გქონდათ, 2004 წლის მარტში. დაბრუნდით და პირველი მატჩიც "რეალთან" გექნებათ...**

- (იცინის) ჰო, საკმაოდ კურიოზული მომენტია. მაშინ ძალიან ცოტა დაგვაკლდა, მადრიდებელი რომ გაგვეგდო. სამაგიეროდ, ახლა შეგვიძლია, შური ვიძიოთ. ფეხბურთელებმა კი უნდა დამანახონ, რომ "რეალთან" შეხვედრაში თამაშის ღირსები არიან. მაგრამ ჩემპიონთა ლიგა ჯერ მაინც შორსაა. ახლა მხოლოდ "არმინიასთან" და "ალემანიასთან" მატჩებზე ვარ კონცენტრირებული.

**გოტფრიდ ლენცი**



ყოზე მოურინიო

ბაიერნი

# ვინ შეცვლის ჰიტცფელდს: ულიე თუ მოურინიო?

მაშ ასე: **ოტმარ ჰიტცფელდი** სეზონის დასრულების შემდეგ "ბაიერნთან" კონტრაქტის გაგრძელებას ამ ეტაპზე კატეგორიულად გამორიცხავს. ასე რომ, თითქმის ცნობილია: მიუნხენური გიგანტის ბოსებს ზაფხულისთვის ახალი მწვრთნელის ძებნა მოუწევთ, რადგან ძალიან ცოტა, უფრო კი მიზერულია იმის შანსი, რომ ოტმარი რეკორდმაისტერში დარჩეს. არადა, ჯერ **ფრანც ბეკენბაუერმა** გამოთქვა გენერალთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი, მერეკი **ული ჰოინესმაც**, მაგრამ უშედეგოდ. არცაა გასაკვირი, სხვადასხვა ექსპერტები ჰოინესს, **რუმენიგეს** და ბეკენბაუერს სულ უფრო და უფრო რომ აკრიტიკებენ.

მაგალითად, "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **თომას ბერთოლდი** ფიქრობს, რომ **მაგათის** გაშვება და ჰიტცფელდის დაბრუნებაც ისეთივე მცდარი გადაწყვეტილება იყო, როგორიც ჰიტცფელდის დატოვების სურვილია. *"იმედს ვიტოვებ, რომ "ბაიერნის" შეფები ვაჟკაცობას გამოიჩენენ და ზაფხულში ცნობილ, წარმატებულ და უბრალოდ დიდ მწვრთნელს მიიწვევენ."* - ამბობს 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი. ბერთოლდი მართალია: თუ ჰიტცფელდი მიუნხენში არ დარჩება, ფაქტია, რომ ბავარიული გუნდის შეფებს რეკორდმაისტერისთვის შესაფერისი მწვრთნელის ძებნა უცხოეთში მოუწევთ, რადგან გერმანიაში არცერთი "დიდი მწვრთნელი" არ არის უმუშევარი. მაგალითად, სანამ ჰიტცფელდის დაბრუნება გადაწყვეტილად გამოცხადდებოდა, რამდენიმე გამოცემამ "ბაიერნთან" მიმართებაში **სვენ-გორან ერიქსონისა** და **ჟერარ ულიეს** გვარები გააჟღერა.

ერიქსონზე რა მოგახსენოთ, მაგრამ "კიკერის" ცნობით, ჰიონესისა და რუმენიგესთვის სასურველ მწვრთნელთა სიაში პირველ ადგილზე "ლიონის" თავკაცი ულიე გახლავთ. ფრანგ სპეციალისტს "ლიონთან" ისეთი კონტრაქტი აქვს გაფორმებული, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია მისი შეწყვეტა. 59 წლის ულიეს სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ მან ძალიან კარგად იცის გერმანული ენა, შესაბამისად, "ბაიერნის" ფეხბურთელებთან ურთიერთობა არ გაუჭირდება. თანაც, ჟერარი დისციპლინის მოყვარულ მწვრთნელად ითვლება, ანუ, ზუსტად ისეთად, როგორიც რეკორდმაისტერის შეფებს სურთ. ინგლისურმა გამოცემა "თაიმსმა" კი, "ბაიერნთან" მიმართებაში **ჟოზე მოურინიო** ახსენა. ხსენებული გამოცემა გუშინდელ ნომერში წერდა, რომ ჰიონესი უკვე დაუკავშირდა "ჩელსის" პორტუგალიელი თავკაცის მრჩეველ **მენდესს**. "ბილდის" ცნობით, პირველი მოლაპარაკების შედეგი ასეთია: არც უარი, არც თანხმობა, მოლაპარაკებები გაგრძელდება. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ მოურინიომ "ბილდს" უთხრა, თუ ოდესმე გერმანიაში სამუშაოდ გადავალ, მხოლოდ "ბაიერნს" გავწვრთნიო.

### კიკერი: ალთინთოფი ბაიერნს შეუთანხმდა!

ექსპერტები "ბაიერნის" შეფების სატრანსფერო პოლიტიკასაც აკრიტიკებენ. ისინი ჰიონესს და რუმენიგეს ახალწვეულებს უწუნებენ და თითქმის ყველა თანხმდება იმაზე, რომ **ბალაკის, ზე რობერტოსა** და **ლიზარაზუს** შეცვლა ვერ მოხერხდა. არაერთხელ დაგვიწერია, რომ ზაფხულში "ბაიერნში" დიდი საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი. ცნობილია, რომ მიუნხელები **ფრანკ რიბერით**, **ლუკა ტონით** და **არიენ რობენით** არიან დაინტერესებულები. ჰიტცფელდის დანიშვნის შემდეგ ამ მოსალოდნელ ტრანსფერებზე არაფერი თქმულა, სამაგიეროდ, "კიკერმა" "ბაიერნის" ერთ საიდუმლოს ახადა ფარდა.

ხსენებული გამოცემა გუშინდელ ნომერში იტყობინებოდა, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელები უკვე მოურიგდნენ "შალკეს" თურქ ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფს** და რომ 24 წლის შუამარბი, რომელსაც ნახევარდაცვის ნებისმიერ პოზიციაზე და მარჯვენა მცველად შეუძლია თამაში, მომავალი სეზონიდან რეკორდმაისტერის მაისურას მოირგებს. ჰამითს გელზენკირხენულ კლუბთან ხელშეკრულების ვადა სეზონის ბოლოს ეწურება და ამრიგად, "ბაიერნისთვის" ის უფასო იქნება. ოფიციალური ვერსიით, ეს ტრანსფერი ჯერ გადაწყვეტილი არ არის და როგორც მიუნხენური კლუბის შეფები ამბობენ, ჰამითისგან საბოლოო პასუხს აპრილის ბოლოსკენ ელიან, მაგრამ "კიკერი" გვარწმუნებს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და რომ ალთინთოფი "ბაიერნს" უკვე შეუთანხმდა სამწლიან კონტრაქტზე.

ცნობილია, რომ ჰამითს "შალკეში" კონტრაქტის გაგრძელებას 2011 წლამდე სთავაზობდნენ. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით "შალკეს" უფრო აქვს გაისად ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივა, ვიდრე "ბაიერნს", თურქ ნახევარმცველს მაინც მიუნხენში გადასვლა გადაუწყვეტია. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ჰამითს "შალკეს" ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ. მართალია, ტყუპისცალმა მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგის 19 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ აქედან 11-ჯერ შეცვლაზე შევიდა, სასტარტოში კი მხოლოდ 8-ჯერ იყო გამწესებული. რაც არ უნდა ალოგიკურად ჟღერდეს, "ბაიერნში" მას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის უკეთესი შანსი ექნება, რადგან რეკორდმაისტერის ერთადერთი მარჯვენა ნახევარმცველი **ჰასან სალიჰამიჯიჩი**, ზაფხულში "იუვენტუსში" გადადის.

**გოტფრიდ ლენცი**

მილანი. ახალი ამბები

# რონალდო, ვახშამზე ბერლუსკონისთან

## პრეზიდენტმა ფენომენი საკუთარ ვილაში გაიცნო

იმ დროს, როცა **ფაბიო კაპელო** „ბერნაბეუზე" „ლევანტესთან" აგებდა, **რონალდო სილვიო ბერლუსკონის** არკორეს ვილაში სტუმრობდა. ბერლუსკონი დღემდე კაპელოს დიდი თაყვანისმცემელია, კაპელო კი ის მწვრთნელია, რომელმაც რონალდოს ხაზი გადაუსვა და აიძულა, მადრიდიდან წასულიყო. ვინ დარჩა მოგებული? რონალდო, ჯერჯერობით ყოველ შემთხვევაში. „ბერნაბეუზე" გულშემატკივარი თეთრ ცხვირსახოცებს აფრიალებდა და კაპელოს გაგდებას მოითხოვდა, „მილანის" პრეზიდენტის ვილაში კი ამ დროს ყველა კარგ განწყობაზე იყო და იღიმოდა. ეს ბერლუსკონისა და ბრაზილიელის პირველი შეხვედრა იყო, ამ მოვლენას „გაძეტა დელო სპორტმა" გუშინ სპეციალური სტატია მიუძღვნა:

*„მაგრამ ეს არ არის ზეიმი, იტალიური ფეხბურთისთვის ასეთ რთულ მომენტში ნამდვილად არ გვეზეიმება,"* – განმარტა ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** არკორეში ჩასვლამდე და იქვე ხაზგასმით დასძინა, რონალდოსა და პრეზიდენტის შეხვედრა კატანიაში მომხდარ მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე იყო დაგეგმილიო. ბერლუსკონი ბრაზილიელს პირადად ჯერ არ იცნობდა, „მილანური" ტრადიციის მიხედვით კი, ყველა დიდი შენაძენი პრეზიდენტს ვახშამზე უნდა წარუდგინონ. ასე მოხდა, რომ კვირა საღამოს არკორეს ვილას პატარა მილანური ჯგუფი ეწვია: ვიცე-პრეზიდენტი გალიანი, გენერალური დირექტორი **არიედო ბრაიდა**, გუნდის მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი**, რონალდო და მისი აგენტი **ფაბიანო ფარა**. ფორვარდი სპორტულად იყო ჩაცმული: არავითარი სმოკინგი და ელეგანტური ტანისამოსი, მით უმეტეს, რომ საქმე ოფიციალურ ვახშამს არ ეხებოდა. არკორეს ვილის მზარეულები ჟურნალისტებს დიდად წყალობენ და ამიტომ ძნელი სათქმელია, სტუმრებს რა კერძებით გაუმასპინძლდნენ.

**წონა**. საკვებსა და კალორიებს რაც შეეხება, ისე ჩანს, რომ „მილანში" არავინ ნერვიულობს რონალდოს წონაზე, განსხვავებით მადრიდელებისგან, სადაც ეს თემა წლების მანძილზე დიდი დისკუსიის საგნად იყო ქცეული. გუნდის კულისებიდან გამოსული ხმების თანახმად, ორი დღის წინათ, ვარჯიშის შემდეგ, ერთ თანაგუნდელს წელზევით შიშველი რონალდოსთვის მუცელზე ხუმრობით უჩქმეტია და უთქვამს: „არ მესმის, როგორ ამბობენ, რომ მსუქანი ხარ: ახლა მობილურს ავიღებ, სურათს გადაგიღებ და მერე იმ ჟურნალისტებს გავუგზავნი, ვინც წერს, რომ ღიპიანი ხარ". პრივატულობასთან დაკავშირებული მოსაზრებებით ეს გეგმა აღარ განხორციელდა: ჩვენს დროში ფოტებთან და მობილურ ტელეფონებთან ხუმრობა სარისკო საქმეა.

**გარემო**. მილანში ჩასვლის შემდეგ რონალდო ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, დაწყებული კარლო ანჩელოტით, რომელმაც მასთან ერთად ჯერ კიდევ კონტრაქტის გაფორმებამდე ივახშმა. მწვრთნელი დარწმუნდა, რომ ბრაზილიელი მეტისმეტად მონდომებული და მოტივირებულია. „ფენომენი" ძალიან მოეწონათ „მილანელოს" თანამშრომლებსაც – მათ, ვინც ოფისებსა თუ სავარჯიშო მოედნებთან მუშაობს. ამბობენ, რომ რონი ძალიან გულღია, სიმპათიური და უშუალო ბიჭია. იგივე ითქმის თანაგუნდელებზეც, რომლებიც ყველაფრისთვის არიან მზად, ოღონდ კი ბრაზილიელს თავისი ფენომენალური ნიჭის ხელახლა გამოვლენაში დაეხმარონ. გალიანი არაერთხელ შეეცადა, რომ კაპელოსა და რონალდოს შორის მილანიდან გაგრძელებული ვერბალური დაძაბულობა განემუხტა. პრეზენტაციის დღეს ვიცე-პრეზიდენტმა ასეთი ფრაზა თქვა: *„ყველამ იცის, რომ ფაბიოს ძალიან ახლოს ვიცნობ. რამდენიმე დღის წინათ მან მითხრა, ტექნიკის მხრივ რონალდო ყველაზე ძლიერი ფეხბურთელია, ვისთანაც ოდესმე მიმუშავიაო"*. ამის მიუხედავად, ბრაზილიელმა კარგად იცის, ვინ არის მისი მილანში გადაბარგების მიზეზი. კვირას „ლევანტესთან" შეხვედრის დასასრული თუ ნახა, ნამდვილად არ დაღვრიდა ცრემლებს დონ ფაბიოსთვის ცხვირწინ აფრიალებული თეთრი ცხვირსახოცების დანახვაზე.

**პერსპექტივები**. რონალდოსა და მისი ახალი პრეზიდენტის საუბარი გულღია და მეგობრული იყო. ისაუბრეს ფეხბურთზე, იტალიური ფეხბურთის პრობლემებსა და სამომავლო პერსპექტივებზე. ბერლუსკონიმ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „მილანისთვის" ჩემპიონთა ლიგური საგზურის მოპოვება. პრეზიდენტის მხრიდან ეს ფორმალური ვალდებულება იყო, თორემ რონალდოს უკვე აქვს საკმარისი მოტივაცია და ნამდვილად არ სჭირდება იმის შეხსენება, რატომ და რისთვის შეიძინეს. მისი მთავარი მიზანი ევროპულ სარბიელზე დაბრუნებაა. მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლას სექტემბრამდე ვერ შეძლებს *„იმ რამდენიმე წუთის გამო, რომელიც ამ ტურნირზე „რეალის" მაისურით ვითამაშე"*, როგორც თავად აღნიშნა პირველ მილანურ პრესკონფერენციაზე.

**სურვილები**. „ინტერთან" ერთად რონალდო ორჯერ იყო ახლოს სკუდეტოსთან, მაგრამ უფრო თვალშისაცემი ისაა, რომ არასოდეს მოუგია ჩემპიონთა ლიგა. ამიტომ ამ მიზნის მიღწევას ახლა იმ გუნდთან ერთად აპირებს, ვისაც, ბერლუსკონის საყვარელი ფრაზა რომ გავიმეოროთ, „ევროპაში გამარჯვების ამბიცია სისხლში აქვს". შეუძლებელია, რომ ბერლუსკონი არ აფასებდეს ახლადშენაძენი ვარსკვლავის დიდ მონდომებას. რონალდო ახალგაზრდა აღარაა, მაგრამ განზე დგომას არ აპირებს.

**გოგა ახალაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

### ბერლუსკონი კაკას, რონალდოსა და რონალდინიოს ტრიოზე ოცნებობს, ფენომენი პრეზიდენტს კვერს უკრავს...

რონალდოსა და სილვიო ბერლუსკონის შეხვედრისას მხარეებმა რონალდინიოს საკითხი განიხილეს. მოგეხსენებათ, რონალდინიო "მილანის" გავლენიანი პრეზიდენტის მორიგი სამიზნეა. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ბერლუსკონი კაკა-რონალდო-რონალდინიოს ტრიოზე ოცნებობს. მან "როსონერის" ამბიციური გეგმები გადმოულაგა. რონალდომ კი კვერი დაუკრა, ერთმანეთს შევავსებთ და "მილანს" დიდ საქმეს გავუკეთებთო.

რონალდინიოზე მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც ისაუბრა. მისი თქმით, თუ ბრაზილიელი ფლეიმეიქერი "ბარსელონას" დატოვებს, აუცილებლად როსონერიში ჩაირიცხება, მაგრამ საქმეც ის არის, რომ გალიანი რონალდინიოს აბარგებას ეჭვით უყურებს: *"ვერ წარმომიდგენია, მან "ბარსა" დატოვოს, მაგრამ თუ ჩემი ვარაუდი არ გამართლდება, გარწმუნებთ, "მილანს" ვერავინ შეეცილება. ვიმეორებ, არა მგონია, "ბარსელონასავით" მდიდარი კლუბი მილიონებს დახარბდეს, მაგრამ პრეზიდენტ ბერლუსკონისგან მითითება მიღებული მაქვს. ჩვენ მზად ვართ, ვიმოქმედოთ."*

ესპანური სააგენტოების მტკიცებით, რონალდინიოს ნაკრებიდან წასვლა სურს. დღეს ბრაზილია პორტუგალიას ლონდონში ("ემირიტსზე") ეთამაშება. მატჩამდე რონალდინიო სელესაოს თავკაც დუნგას უნდა შეხვედროდა.

რონალდინიო ფორმაში არ არის. ორწელიწადნახევარია, ის თითქმის შეუსვენებლად თამაშობს. ნაკრების ამხანაგური შეხვედრები რონის უკანასკნელ ენერგიას აცლის. თანაც დუნგა სულ უკმაყოფილოა და შეგირდს საჯაროდ აკრიტიკებს. რონის არ მოსწონს მწვრთნელის მისდამი დამოკიდებულება, არც მისი აგდებული ტონი სელესაოს სხვა ვარსკვლავების მისამართით. მის ნებაზე რომ იყოს, ის ნაკრებს დაუყოვნებლივ დატოვებდა, მაგრამ რონალდინიოს წასვლა ასე ადვილი არ არის. მის უკან მილიონობით ფანი დგას, ამას გარდა, შესასრულებელია სპონსორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. ის, რომ "ნაიკმა" ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციასთან სარფიანი კონტრაქტი გააფორმა, ბევრწილად რონალდინიოს დამსახურება გახლდათ. ნაიკი ხომ რონის პირადი სპონსორიცაა.

### დღეს ლივერპულს გაყიდიან

დღეს "ლივერპული" ამერიკელთა საკუთრება უნდა [illegible] - **ჯორჯ ჯილეტ-უმცროსი** და **ტომ ჰიკსი** მერსისაიდელთა აქციებს 470 მილიონ გირვანქად შეიძენენ. ამ ანგარიშით, "ლივერპულის" ერთი აქცია 5 ათას გირვანქაზე მეტი ღირს, არადა, მოლაპარაკებების დაწყებამდე მისი საბაზრო ღირებულება 200 გირვანქას არ აღემატებოდა. გარიგების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მთავარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** შემადგენლობის გასაძლიერებლად ასტრონომიულ თანხას მიიღებს. "მირორის" მტკიცებით, აგვისტოს ტრანსფერებისას ესპანელი 150 მილიონ გირვანქას დახარჯავს. ამჟამად ლივერპულელთა აქციების 51.6 პროცენტს კლუბის თავმჯდომარე **დევიდ მურსი** ფლობს. ამ პაკეტში მას 88 მილიონ გირვანქას გადაუხდიან.

### კასანო რეკობას ნაცვლად

"ინტერი" "რეალს" **ანტონიო კასანოს** ტრანსფერზე მოურიგდა. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, მადრიდელები 2.5 მილიონ გირვანქას მიიღებენ. გარიგება სეზონის დასრულებისთანავე შედგება. კასანო "ინტერში" **ალვარო რეკობას** შეცვლის. ურუგვაელმა ვერც ნელს მოახერხა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება. არადა, გუნდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა. რეკობას შეძენის სურვილი ჯერ არავის გამოუთქვამს. კასანოს მომავალი მილანური ტრანსფერის თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

### რუნი ითამაშებს, ჰარგრივსი ვერა

"ტოტენჰემთან" მატჩში (0:4) "მანჩესტერს" **უეინ რუნი** დაუშავდა. ახალგაზრდა თავდამსხმელმა ფეხი იტკინა და 64-ე წუთზე შეცვალეს. ექიმები შიშობდნენ, რომ ის ესპანეთთან ხვალინდელ მატჩში ვერ ითამაშებდა, მაგრამ პესიმისტური პროგნოზები უსაფუძვლო აღმოჩნდა. რუნი მზადაა. მართალია, "იუნაიტედის" მწვრთნელებს სურთ, რომ ის მინიმალურად დაიტვირთოს, მაგრამ **სტივ მაკლარენს** ფეხბურთელის გამოძახებაში ხელს ვერავინ შეუშლის.

მაკლარენს ბაიერნელი **ოუენ ჰარგრივსი** ვერ დაეხმარება. "ნიურნბერგთან" პარასკევის მატჩი (0:3) პირველი იყო, რომელიც ინგლისელმა ნახევარმცველმა გამოჯანმრთელების შემდეგ ჩაატარა. ის მწვრთნელს ტელეფონით ესაუბრა და უთხრა, რომ ნაკრებისთვის მზად არ იყო.

### რუმენიგე, ბუნდესლიგის პრეზიდენტი?

გერმანიის საფეხბურთო ლიგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და ბუნდესლიგის პრეზიდენტის, **ვერნერ ჰაკმანის** გარდაცვალების შემდეგ, ამ პოსტებზე მისი მოადგილე, **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერი** მუშაობს. უახლოეს მომავალში DFL ახალ ბოსს აირჩევს და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** მზადაა, საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს. "ბაიერნის" ბოსი პირველი და მეორე ბუნდესლიგების კლუბების მეთაურად? უცნაური პერსპექტივაა, თუმცა მიუნხენური გიგანტის შეფს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მათ შორისაა თვით **ფრანც ბეკენბაუერიც**.

*"გამიხარდება, თუ კალეს აირჩევენ. ამ თანამდებობაზე რუმენიგე საუკეთესო ვარიანტია. კალეს უდიდესი რეპუტაცია აქვს მთელს ევროპაში და მჯერა, ბუნდესლიგის პრეზიდენტობისთვის იდეალური კაცია."* - აცხადებს ბეკენბაუერი. ჯერ არაა გარკვეული, თუ როდის შედგება კენჭისყრა. სავარაუდოდ, ეს აგვისტოში მოხდება.

მოსალოდნელი გარიგება

# ანრი 25 მილიონად?

## ბარსელონისა და რეალის გარდა, საქმეში ჩართვას ინტერიც აპირებს...

"სანდი ექსპრესის" ცნობით, "არსენალის" დირექტორატმა **ტიერი ანრის** გაყიდვა გადაწყვიტა. თუ მომავალ ზაფხულს "ბარსელონა" ან "რეალი" 25 მილიონ გირვანქას გადაიხდიან, თავდამსხმელს ლონდონიდან აბარგება მოუწევს. ტაბლოიდი გვაუწყებს, რომ თანხას უკანასკნელ პენსამდე არსენ ვენგერს გადასცემენ. მას კი შემადგენლობის გადახალისება შეეძლება. სენსაციურ ინფორმაციას დაუყოვნებლივ მოჰყვა გამოხმაურება. "მირორმა" "ექსპრესის" სტატიაზე კომენტარის გასაკეთებლად პირადად ანრის მიმართა: *"მე კლუბის ერთგული ვარ. თქვენ იცით, რომ ჩემი გული "არსენალს" ეკუთვნის. ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია."*

"მიდლსბროსთან" მატჩის მეორე დღეს ტიერი დუბაიში გაფრინდა. მეგოლფე **ტაიგერ ვუდსსა** და ჩოგბურთელ **როჯერ ფედერერთან** ერთად, ის ჯილეტის სარეკლამო რგოლში უნდა გადაეღოთ. დუბაიდან ანრიმ პარიზისკენ გასწია, რათა ნაკრების შეკრებაზე მისულიყო. ხვალ საფრანგეთი არგენტინას ეთამაშება. კითხვაზე, იცოდა თუ არა ვენგერმა მისი დუბაური ვოიაჟის ამბავი, ტიერიმ მიუგო: *"კვირას დასვენების დღე მქონდა. დასვენების დღეს კი ადამიანები იმას აკეთებენ, რაც მოესურვებათ. თანაც დამიჯერეთ, მსგავი საქმისთვის შორს წასვლა ძალიან იშვიათად მიწევს."*

"სანდი ექსპრესის" ინფორმაციამ იტალიამდეც ჩააღწია. როგორც ირკვევა, ფრანგი ვარსკვლავი მარტო ესპანურ გრანდებს არ აინტერესებთ. **მასიმო მორატიმ** ემისრებს დაავალა, გადაამოწმონ, სიმართლეა თუ არა ის, რაც ანრის შესახებ დაიწერა. "გაძეტა დელო სპორტი" იხსენებს, რომ "ბარსელონას" ტერის 25 მილიონად შეძენა ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდა, მაგრამ ფეხბურთელისგან უარი მიიღო. კატალონიელმა პრეზიდენტმა, შეიძლება, აღარ ისურვოს მოლაპარაკებების თავიდან გამართვა. მორატის "ინტერის" ფრანგი ვარსკვლავის, **პატრიკ ვიეირას** იმედიც აქვს. თუ ვიეირა მილანელებს ანრის ტრანსფერში დაეხმარება, ამაგს აუცილებლად დაუფასებენ. რა უნდა გააკეთოს პატრიკმა? "გაძეტა" კითხვას მარტივად პასუხობს: ვიეირა ხშირად უნდა ესაუბროს მეგობარს ტელეფონით და ათასჯერ გაუმეოროს, თუ რა მშვენიერია ცხოვრება მილანში.

ტიერი ანრი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კრისტიანო რონალდო: სეზონის ბოლოს ვიტყვი

## პორტუგალიელი ვარსკვლავი კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობს, სკოლარი მას ბარსელონას ურჩევს...

კვირას "მანჩესტერ იუნაიტედმა" "ტოტენჰემს" 4:0 მოუგო. **კრისტიანო რონალდომ** ანგარიში საკამათო პენალტით გახსნა. მიმდინარე სეზონში ეს მისი მე-15 გოლი გახლდათ. პორტუგალიელმა მთავარ მწვრთნელს ნიძლავი მოუგო. შეთანხმება ასეთი იყო: თუ რონალდო 15 ბურთს შეაგდებდა, **სერ ალექსი** 400 გირვანქას მიუთვლიდა, თუ არადა, ფეხბურთელს ფული აქეთ ექნებოდა გადასახდელი. ფერგი: *"შეიძლება, პენალტებს არ უნდა ვითვლიდეთ, მაგრამ ნახევარმცველისთვის 15 გოლი უკვე შესანიშნავი შედეგია. როგორც ჩანს, ჯიბეზე ხელის გაკვრა მომიწევს."*

ამასობაში, პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** შეგირდს "მანჩესტერიდან" აბარგება ურჩია. დიდი ფილის აზრით, რონალდოსთვის იდეალური იქნებოდა "ბარსელონაში" თამაში: *"მისი კარიერის პირველი ეტაპი მთავრდება. მან დიდი ფეხბურთისთვის საჭირო ცოდნა უკვე შეიძინა. კრისტიანო გარემოს გამოსაცვლელად მზადაა. "ბარსა" მას დიდი სიამოვნებით წაიყვანდა. ეს ქალაქი საკუთრივ კრისტიანოსთვისაც იდეალური იქნებოდა. ბარსელონაში თბილი კლიმატია და ბევრი მზე და თითქმის არასოდეს ცივა ისე, როგორც ინგლისში. დიდი გუნდი და შესანიშნავი ქალაქი საკმარისია იმისთვის, რომ ფეხბურთელმა გაათმაგებული ენერგიით ივარჯიშოს და ითამაშოს."*

რონალდოს "მანჩესტერიდან" წასვლის შესახებ არაფერი უთქვამს, ის კი აღიარა, რომ კონტრაქტის განახლებას არ ჩქარობს: *"იუნაიტედის" შემოთავაზება მაგიდაზე მიდევს. კლუბი მზადაა, დღესვე გადახედოს ჩემი კონტრაქტის პირობებს, მაგრამ სეზონის ბოლომდე ალბათ არაფერი გადაწყდება. ჩემი აგენტი არაფერ შუაშია. გადაწყვეტილებას მე ვიღებ. არ დაგიმალავთ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, როცა აგრესიის ნიაღვარი დამატყდა თავს, რამდენჯერმე ვიფიქრე "იუნაიტედის" დატოვებაზე, მაგრამ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ვთქვი, რომ გამოწვევა უნდა მივიღო და დავრჩე. არაფერსაც არ ვნანობ, რადგან კარიერის საუკეთესო სეზონს ვატარებ. ამ წუთში ჩემი გუნდი ევროპაში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. მე კი პრემიერლიგის მოგებაც მინდა, ასოციაციის თასისაც და ჩემპიონთა თასისაც. ოდნავადაც არ გამიკვირდება, თუ სამივე ტიტულს დავეუფლებით. ასეთი თამაშით "იუნაიტედი" ყველაფერს იმსახურებს."*

ლუიშ ფელიპე სკოლარი და კრისტიანო რონალდო

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჰაინცე ქალბატონის სამიზნეში

## ტურინელებს ლივერპულელი სისოკოც მოუნდათ

ბოლო ცნობების თანახმად, „იუვენტუსი" მზადაა, **გაბრიელ ჰაინცეს** სანაცვლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს" 5,7 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. „ბიანკონერი" სერია A-ში დასაბრუნებლად ემზადება და ყველაზე მეტად დაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს, რადგან სადღეისოდ ყველაზე მეტი პრობლემა ამ რგოლში აქვს. 28 წლის არგენტინელ მცველს „იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება წლეულს ძალიან უჭირს და რამდენიმე თვის უკან ტურინელების სამიზნეში მოექცა. ჰაინცე სამი სეზონის მანძილზე „პარი სენ ჟერმენის" ღირსებას იცავდა, „მანჩესტერში" კი 2004 წელს გადავიდა. ინგლისური „ნიუს ოფ ზე უორლდის" მიხედვით, „ბებერ ქალბატონს" 5,7 მილიონი გირვანქა გამზადებული აქვს და მანჩესტერელების დაყოლიებაზე უკვე მუშაობს. *„გაბრიელმა იცის, რომ დიდიე დეშამს ის ძალიან მოსწონს, ამასთან, „იუვენტუსში" თამაში მისთვის ოცნების ახდენა იქნება* – ამბობს ჰაინცესთან დაახლოებული პირი – *მანჩესტერში წელს საქმე კარგად არ მისდის და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ტრანსფერი მის კარიერას სასიკეთოდ წაადგება".*

დიდიე დეშამი ჰაინცეს დიდ თაყვანისმცემლად ითვლება. იტალიური პრესის ცნობით, ფრანგი მწვრთნელი „იუვეს" ხელმძღვანელობას სთხოვდა, რომ არგენტინელი იანვარის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ეყიდა. *„ჰაინცე ბრწყინვალე ფეხბურთელია, ის ნამდვილი ლიდერია, ამასთან ევროკავშირის პასპორტიც აქვს, რაც მის ტრანსფერს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის,"* – განაცხადა ცოტა ხნის წინათ დეშამმა.

ჰაინცეს გადაბირებით პსჟ და „მილანიც" არიან დაინტერესებულნი. „იუვემ" კი „აიაქსთან" უკვე მოაგვარა **ზდენეკ გრიგერას** ტრანსფერის საკითხი. ჩეხი მცველი ტურინულ გუნდს ზაფხულიდან შეუერთდება. „ქალბატონის" სამიზნეში „პალერმოს" ცენტრალური მცველი **ანდრეა ბარძალიცაა**, თუმცა ჰაიცესთან შედარებით, სიცილიელის ფასი გაცილებით მაღალია.

ამასობაში, "იუვენტუსი" "ლივერპულთან" მოლაპარაკებების განახლებასაც აპირებს. ტურინელებს მალელი ნახევარმცველის **მომო სისოკოს** შეძენა უნდათ. "ქალბატონი" არგენტინელი **ხავიერ მასკერანოს** ტრანსფერზე მუშაობდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა "ლივერპულში" გადასვლა არჩია. მასკერანოს მისვლამ სისოკო პოზიციები საგრძნობლად შეასუსტა. ასე რომ, "იუვეს" კომპენსაციის სახით, შეიძლება, აფრიკელი ვარსკვლავი ერგოს. თუ ტურინელები სერია A-ში დაბრუნდებიან, **დიდიე დეშამი** აუცილებლად მოითხოვს სისოკოს შეძენას. მას მოედნის ცენტრში ისეთი ფეხბურთელი სჭირდება, რომელიც ბურთს დაიჭერს და თამაშს გაშლის.



მარცხნიდან: პინი ზაჰავი, რიო ფერდინანდი და მათი საერთო მეგობარი ენდი უოტკინსი

# სუპერაგენტი

## ვინ არის პინი ზაჰავი?

**ეს ადამიანი რუს ოლიგარქებს ინგლისური ფეხბურთის უძრავი ქონების შესყიდვაში ეხმარება, მოთამაშეებს კარიერის შექმნაში, კლუბებს ფულის შოვნასა და, რა თქმა უნდა, ხარჯვაში. პინი ზაჰავი, პირველი და ერთადერთი საფეხბურთო აგენტია, რომელიც არავის ემალება...**

### როცა საიდუმლო გამოაშკარავდება...

ოქტომბრის ბოლო კვირა. დღის მეორე ნახევარი. **პინი ზაჰავი** ლონდონის ერთ-ერთ ფეშენებელურ კერძო კლუბ "ამბასადორში" შეხვედრაზე მიდის. იქ მას საქმიანი საუბარი ელის ირანული წარმოშობის ინგლისელ ბიზნესმენ **კია ჯურაბჩიანთან**, რომელიც "ვესტ ჰემის" ყიდვას აპირებს. მაგიდაზე მობილური ტელეფონები, დღიურები, შამპანურით სავსე ჭიქა და ბელგიური შოკოლადის კანფეტები დევს.

ბიზნესპარტნიორები კუბურ სიგარებს ეწევიან და განიხილავენ "ვესტ ჰემის" ხელისუფლებაში გაჭიანურებული ცვლილებების პროცესს. ამასთან, ზაჰავი ორივე მობილურზე ზარებს იღებს და თავისუფლად გადადის მშობლიური ივრითიდან პორტუგალიურზე, გერმანულსა და ინგლისურზე, გეგმავს მომავალ მოგზაურობებსა და შეხვედრებს. *"თუ ისინი რივერპლეიტელ ბიჭში 15 მილიონ ევროს მომცემენ, ყველაფერი შესაძლებელია. მაგრამ იცოდეთ, ფასი ყოველდღე მატულობს",* - აფრთხილებს ის მოსაუბრეს, შემდეგ კი ღიმილიანი სახით ყვება ახალგაზრდა არგენტინელი ფეხბურთელის მოკლე ბიოგრაფიას. ამასობაში, ჯურაბჩიანი "ბენფიკის" პრეზიდენტს ახსენებს და ზაჰავის ეკითხება, რამდენი ადგილი სჭირდება "არსენალი"-ცსკა-ს საჩემპიონთალიგო მატჩზე დასასწრებად...

გაბატონებული აზრის მიუხედავად, რომ ფეხბურთში ფინანსურ ოპერაციებს გამჭვირვალობა აკლია და დიდ საიდუმლოს წარმოადგენს, ეს ორი კაცი საუბრისას თავისუფლად გრძნობს თავს. ზაჰავისა და ჯურაბჩიანთან ერთად გატარებული დროის განმავლობაში, ისინი ზრდილობიანი, მხიარული და გულღია ჩანდნენ. როცა ზღურბლზე გამოჩნდა "კორინთიანისის" თავდამსხმელი **კარლუშ ალბერტუ**, რომელმაც **ჟოზე მოურინიოს** მწვრთნელობის პერიოდში "პორტუსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ზაჰავი სთხოვს მას, დაელოდოს, სანამ ჯურაბჩიანთან სათქმელს დაასრულებს. ის არ გაურბის ჟურნალისტებთან საუბარს, რადგან ადრე თავადაც ამ პროფესიის მსახური იყო...

### ჟურნალისტობიდან მედიამაგნატობამდე

1981 წლის ნოემბერი, ბელფასტი. ისრაელის ნაკრები ჩრდილოეთ ირლანდიასთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის ემზადება. იმ პერიოდში, ზაჰავი ისრაელის უდიდესი გაზეთის "იედოთ აჰრონოთის" სპორტული ჟურნალისტი, სასტუმროში საკუთარი ნომრის საწოლზე ზის და სიგარას ეწევა. გვერდით მოკალათებულა **იოსი მელმანი**, ასევე თამაშის გასაშუქებლად ჩასული, ოღონდ ისრაელის დიდფორმატიანი გამოცემა "ჰა'არეცის" ლონდონელი კორესპოდენტის რანგში. *"იოსი, - მიმართავს მას ზაჰავი, - დაიმახსოვრე და ისწავლე ჩემგან: ყოველ ოთხ-ხუთ წელიწადში გაზეთებს ვიცვლი".*

"ედიოთში" მუშაობის დაწყებამდე, 36 წლის ზაჰავი სპორტული გამოცემა "ჰადაშოთ ჰასპორტის" კორესპოდენტი იყო და იქიდან მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის მერე წავიდა. კოლეგის რჩევა-დარიგების შემდეგ კი, ოთხი წელი იმუშავა "იედოთში" და "ჰადაშოთს" მიაშურა. მელმანი 25 წლის წინანდელ გაკვეთილს იხსენებს: *"ჰადაშოთ ჰასპორტი" ისრაელში ძალიან პოპულარული იყო. პინი მეუბნებოდა: "იოსი, როცა სამუშაო ადგილს იცვლი, კომპენსაციასა და უფრო დიდ ხელფასს იღებ". სწორედ მაშინ ვკითხე: "ფულის შოვნა გაინტერესებს?" მან გაოცებულმა შემომხედა: "რა თქმა უნდა, მთელი ცხოვრება მარტო სპორტული კორესპონდენტი ხომ არ ვიქნები?!" და, გადაიხარხარა"...*

მას შემდეგ, როგორც ამბობენ, ზაჰავიმ 65 მილიონ გირვანქას მოუყარა თავი. ეს საკმარისია იმისთვის, რომ პენსიაზე გახვიდე და საკუთარ თავს კომფორტით ცხოვრების უფლება მისცე. მაგრამ პინის, ერთ-ერთი კომპანიონის აზრით, ძალიან უყვარს ამჟამინდელი საქმიანობა. ის საფეხბურთო საქმეების შეუდარებელი მცოდნეა. ეს ის ადამიანია, ვისაც ყოველგვარი გარიგების წამოწყება, პირობების შეთანხმება და ხელშეკრულების გაფორმება შეუძლია - ფეხბურთელის ტრანსფერი იქნება ეს, მწვრთნელის მიერ სამუშაო ადგილის შეცვლა, რომელიმე კლუბის ყიდვა-გაყიდვა თუ სხვა. ზაჰავი, პირდაპირ თუ ირიბად, ინგლისში მსგავსი მოვლენების უშუალო მონაწილეა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მის გარეშე არცერთი სერიოზული გარიგება არ ხდება. ზაჰავის, ალბათ, საფეხბურთო სამყაროში ნაცნობთა ყველაზე დიდი წრე ჰყავს. *"დიახ, ძალიან ბევრს ვიცნობ, - იღიმება, - რადგან დღემდე არავისთვის იმედი არ გამიცრუებია. ყველაფერს პატრონსად, ყოველგვარი ხრიკების გარეშე ვაკეთებ. ენდეთ ჩემ სიტყვას".*

ზაჰავის აღმასვლა თანამედროვე ფეხბურთის გლობალურ მოვლენად გადაქცევას დაემთხვა. აქ სიმდიდრე და გავლენა მატულობს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვის გაბერვითა და ჩემპიონთა ლიგის ახალი ფორმატიდან გამომდინარე. ტელეტრანსლაციისა და სპონსორებისგან მიღებული შემოსავლის მკვეთრმა ზრდამ ეროვნული ჩემპიონატების იერსახე შეცვალა. ინგლისური პრემიერლიგა კი, მისი დამსახურებით, მსოფლიოში უმდიდრესი გახდა.

ზაჰავი ბოლო წლების რიგ სკანდალურ მოვლენათა უშუალო მონაწილე გახლავთ. მაგალითად ისეთის, როგორიცაა 2002 წელს **რიო ფერდინანდის** გადასვლა "ლიდსიდან" "მანჩესტერ იუნაიტედში", რაც "წითელ ეშმაკუნებს" 30 მილიონი გირვანქა დაუჯდათ; ანდა, 2003 წლის ივლისში **სვენ გორან ერიქსონისა** და 2005 წლის იანვარში **ეშლი კოულის** საიდუმლო მოლაპარაკება "ჩელსისთან". ფერდინანდი და კოული მათივე ძველი კლუბების დაუძინებელ მტერთა რიგებში აღმოჩნდნენ, რამაც გულშემატკივრები უკიდურესად აღაშფოთა. ერიქსონი კი, "ჩელსისთან" მოლაპარაკების პერიოდში, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი იყო... თუმცა, რაც არ უნდა ყოფილიყო, ზაჰავი ყოველთვის პოულობდა გამოსავალს. აგენტის სტატუსით ის ისრაელშია რეგისტრირებული, ამიტომ, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის იურისდიქციას არ ექვემდებარება. **პიტერ კენიონმა, ჯონათან ბარნეტმა** (კოულის აგენტი), მოურინიომ და "ჩელსიმ" კი დისციპლინარული სანქციები მიიღეს მას შემდეგ, რაც ეს შეხვედრები გახმაურდა. საფეხბურთო ასოციაციამ და პრემიერლიგამ ზაჰავი ვერ გამოააშკარავეს. თუმცა ასოციაციამ საჭირო ცვლილება შეიტანა საკუთარ წესდებაში, მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით.

ბოლო დროს, ზაჰავიმ, რომლის მეგობართა წრეში შედის ისრაელის პრემიერ-მინისტრი **ეჰუდ ოლმერტი** და ქნესეთის ყოფილი სპიკერი და, ალბათ, ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი **რეუვენ რივლინი**, საკუთარი ინტერესების არეალი კიდევ უფრო განავრცო. **ელიი აზუსთან**, ისრაელში რამდენიმე რუსულენოვანი გამოცემის მფლობელთან ერთად, ზაჰავი მედიაკონცერნ "ჩარლტონის" მფლობელიცაა. სწორედ მას ეკუთვნის ისრაელში ინგლისური პრემიერლიგის მატჩებისა და ეროვნული ელიტდივიზიონის თამაშების ტრანსლირების უფლება. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი ისრაელში მხოლოდ ფასიანი ტელეარხებით გადასცეს, ზაჰავის პოპულარობის დონე მკვეთრად დაეცა...

*(გაგრძელება მომდევნო ნომერში)*

მოამზადა **დავით ჩუგინიძემ**

საქართველოს
GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

## ჯაზაზი ქალი შინ გაუშვეს

გუშინ საქართველოს ქალთა ნაკრებმა, ბოლნისში, ქალთა კლუბ „ნიკეს“ ბაზაზე მორიგი შეკრება დაიწყო. ქალები 24-25 თებერვალს, ჰამბურგის მსოფლიოს სუპერთასისთვის ემზადებიან და გერმანიაში ალბათ 20 თებერვალს გაემგზავრებიან. ქართველებთან ერთად შეკრებაზე აზერბაიჯანის გუნდიც იმყოფება.

ნაკრების თავკაცმა **გოდერძი ველიჯანაშვილმა** უკვე დაასახელა შემადგენლობა, რომელიც ჰამბურგში იჭიდავებს: **დუსკა ქერიმოვა** (57), **ანა ძაძამია** (63), **ენძელა სოლოღაშვილი** (70), **ლია გვიანიძე** (78), **ირინა ლეონიძე** და **მარიამ ჩადუნელი** (მძიმე).

ველიჯანაშვილს შესუსტებული შემადგენლობა მიჰყავს, რადგან ზოგს ასვენებს, თუმცა ნაკრებში ერთი ცვლილება სულ სხვა ფაქტორმა გამოიწვია - უზბახეთიდან გადმოყვანილი **აიმან კალიევა** (52) სამშობლოში გააბრუნეს, რადგან აქაურ სავარჯიშო რეჟიმთან შეგუება გაუჭირდა. ძირითადი მიზეზი რელიგიური ყოფილა - ქრისტიანული ქვეყანაში ვარჯიში კალიევას თურმე ხელს უშლიდა ისლამური რიტუალების აღსრულებაში, ამიტომ სამშობლოში გაუშვეს. მაგრამ თუ ფორმაში ჩადგება და დაბრუნების სურვილსაც გამოთქვამს, პრობლემას არ შეუქმნიან.

ჩვენებისთვის უმთავრესი საზრუნავი 7-8 აპრილს ბელგრადში ჩასატარებელი ევროპის პირველობაა და ჰამბურგის ტურნირიც ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია. იქ გამოსვლის შემდეგ ქალები მზადებას შეკრებებით გააგრძელებენ.

ევროპის პირველობის შემდეგ ჩვენებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება - სალიცენზიო ტურნირები და მსოფლიო ჩემპიონატი. პირველი სალიცენზიო შეჯიბრება 28-29 აპრილს დანიურ ვეიენში გაიმართება, ამას ერთ კვირაში მოსკოვის სუპერთასი მოჰყვება, მესამე ტურნირი კი 19-20 მაისს ლისაბონში გაიმართება. ამ სამეულს მსოფლიო პირველობა მოჰყვება - 15-16 სექტემბერს რიო დე ჟანეიროში, სადაც ყოველ წონაში 6-6 საგზური გაიცემა. შემოდგომაზე სამი მომდევნო სალიცენზიო ტურნირია - სექტემბრის ბოლო ორ კვირაში ტალინსა და როტერდამში, 13-14 ოქტომბერს კი სოფიაში. ამით წლევანდელი სეზონიც დამთავრდება.

დასასრულ, შეგახსენებთ, რომ ჰამბურგში ჩვენი კაცთა ნაკრებიც იჭიდავებს, თუმცა ისინი ამ უქმეებზე ჯერ პარიზშიც გამოვლენ. ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელს** იქ ასეთი შემადგენლობა მიჰყავს: **ნესტორ ხერგიანი** და **დავით ასუმბანი** (60), **მინდია ხომიზური** (66), **ზაზა კედელაშვილი** (73), **გრიგოლ მამრიკიშვილი** და **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** და **გიორგი ყიზილაშვილი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ადამ ოქრუაშვილი** (მძიმე). ოღონდ, ცირეკიძე პარიზში არ იჭიდავებს - მხოლოდ ტურნირისშემდგომ ერთობლივ ვარჯიშებში მიიღებს მონაწილეობას. თავიდან ხაბარელი ხერგიანისა და კედელაშვილის დასვენებასაც ფიქრობდა, მაგრამ გუშინ გვითხრა, რომ ორივე იჭიდავებს, ოღონდ კედელაშვილი - ზედა წონაში. თუმცა, არ გამორვიცხავთ, ტურნირამდე გადაწყვეტილება ისევ შეცვალოს. ვაჟთა ნაკრები პარიზში 9 თებერვალს გაფრინდება.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

## სანაკრებო ბაბალიების წინ

გუშინ ვაუ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტი ერთ-ერთი ტურნირის ფინალის დროულად დაუსრულებლობის გამო არ გამოქვეყნდა. სია დღეს იქნება მზად და ჩვენი პირველი და მეორე ჩოგანი ვაჟები სწორედ ამ რეიტინგით შეხვდებიან "დევისის თასის" მატჩს პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ, რომელიც 9-11 თებერვალს სპორტის სასახლეში გაიმართება.

ქალთა რეიტინგში ვალგარდენის ტურნირის მერვედფინალში გასვლა ორი საფეხურით შეეშველა საქართველოს პირველ ჩოგან **მაკა ჩახნაშვილს** - მაკა 209 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 144-ე ადგილზეა. ერთი საფეხურით წინ წაინია **ანა ტატიშვილმა**, ის 294-ე ჩოგანია, ანამ თავისი საუკეთესო მაჩვენებელი კვლავ გააუმჯობესა. სხვა ქართველები: 340 (-2) **სოფიო მელიქიშვილი**, 539 (+1) **სალომე დევიძე**, 687 (+2) **სოფიო შაფათავა**, 770 (+6) **ეკა გორგოძე**, 894 (+4) **მანანა შაფაქიძე**, 1108 (+6) **თეონა ცერცვაძე** და 1355 (+4) **მარიამ ქურდაძე**.

## ქვაცაბაიას და გეგიას დაბრუნება

სოფიო ქვაცაბაია

გალეარის კუნძულებზე, ქალაქ მალიორკის თიხნარზე, ქალთა 10-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს. აქ თამაშობს საქართველოს ყოფილი ჩემპიონი **სოფიო ქვაცაბაია**. ქვაცაბაია 18 წლისაა, ის შარშან რეიტინგში ათასეულის სიახლოვეს იყო, თუმცა შემდეგ სიიდან საერთოდ გავარდა. ურეიტინგო ქვაცაბაია შეჯიბრში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება. პირველ წრეში მან ბრიტანელი **ები რობერტი** დაამარცხა - 6:2, 6:2, მეორეშიში კი ბელგიელი **ფლორანს დე ვრის** მოუგო - 6:4, 6:2. ძირითად ბადეში მოსახვედრად ქართველ ჩოგბურთელს კიდევ ერთი მეტოქის დამარცხება მართებს, მისი მეტოქე ესპანელი **კრისტინა ბალა-აბელა** იქნება.

პორტუგალიაში, ვალე დე ლობოს საერთაშორისო ტურნირი ჰარდის საფარზე მიმდინარეობს. საკვალიფიკაციო ტურნირში თამაშობს 18 წლის **ნათია გეგია**, რომელსაც 2005 წლის მერე არსად უსაპარეზია. პირველ წრეში გეგიამ ფრანგ **დიენ შეიმოლი** დაამარცხა - 6:2, 6:3. ძირითად ბადეში გასასვლელად ნათიას რუსი **ირინა კოტკინას** დამარცხებაც ეყოფა.

**ნიკოლოზ ნებიერიძე**

ჩოგბური. ლეგიონერები

## შვიდული აგრძელებს

შუაში - თემურ სოხაძე (ბასტია)

**საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ფედერალურ დივიზიონში პირველი ეტაპი დასრულდა. ქართველ მორაგბეთა შვიდი გუნდი მეორე დივიზიონში გადასვლისთვის აგრძელებს ბრძოლას.**

A ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო **ვიქტორ დიდებულიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **დავით დადუნაშვილის** "მასიმ", რომელმაც ბოლო მე-14 ტურში სტუმრად დაამარცხა **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანი" 26:18. მეორე ეტაპზე გავიდა **ზურაბ მჭედლიშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** "დომონიც" - პარიზელებმა სტუმრად **სანდრო ესაკაის** "სენ ნაზერს" სძლიეს 12:16. **გიორგი კაჭარავას** "ვანს" ბოლო ტურში "რუანთან" სტუმრად გამარჯვება სჭირდებოდა, მაგრამ წააგო (9:17) და და ოთხეულს მიღმა დარჩა.

"ვანი" და "სენ ნაზერი" დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ფლეი დაუნში იასპარეზებენ, "მასი", "დომონი" და "ორლეანი" მეორე, ჯგუფურ ეტაპზე გავიდნენ. **1. მასი-33 ქულა, 2. დომონი-33, 3. ორლეანი-30, 4. რუანი-30 / 5. ვანი-29, 6. სენ ნაზერი-24,** 7. პუატიე-24, 8. ჟენევიე-20.

B ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა **კონსტანტინე ჯინჭარაძის** "ბურგ ან ბრესი". ფლეი დაუნში მოუწევს ასპარეზობა **ლევან დათუნაშვილსა** და **რეზო გიგაურის** "მონლუსონს".

C ჯგუფიდან საფლეიოფო ოთხეულში ორი "ქართული" კლუბი მოხვდა - **ელიზბარ ყუფარაძის** "ობენა" და **დავით გასვიანის** "ექსი", ფლეი დაუნში იასპარეზებს **ირაკლი მოდებაძის** "ლუნელი".

D ჯგუფში ქართველთა ორივე გუნდს ხელი მოეცარა. **სოსო ნიკოლაენკოს, გიორგი წიკლაურისა** და **ირაკლი გუნდიშვილის** "მიიო" 26 ქულით მეხუთე ადგილს დასჯერდა. ბოლო, მე-8 ადგილზე გავიდა **ირაკლი ნინიძის** "მარსელი".

E ჯგუფში **თედო ზიბზიბაძისა** და **ვანო ნადირაძის** "პერიგო" მე-3 ადგილზე გავიდა და მეორე დივიზიონში გადასვლისთვის აგრძელებს ბრძოლას.

ფედერალ 2-ში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ჯერ კიდევ 7 ტურია დარჩენილი. მე-15 ტურის შემდეგ A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდების სამეული ლიდერთა შორისაა. **დავით ბოლღაშვილის** "ლილი" 40 ქულით მე-2 ადგილზეა, **სერგო გუჯარაიძის, ოთარ ელოშვილისა** და **პალიკო ჯიმშელეიძის** "არასი" 37 ქულით - მესამეზე, მეოთხეა **ილია მაისურაძისა** და **ლევან ჯაველიძის** "ნანტი".

B ჯგუფში კვლავ დაუმარცხებელია **დიმა ხოჭოლავას** "სერჟი პონტუაზი", რომელმაც **ბესო უდესიანის** "ვილფრანში" დაამარცხა 34:6. "სერჟ პონტუაზი" 42 ქულით პირველია, "ვილფრანში" 34 ქულით მე-3.

D ჯგუფში **დიმა პავლოვისა** და **რატი ურუშაძის** "ნიცა" 35 ქულით მე-2 ადგილზეა. ამდენივე ქულა აქვს **თემურ სოხაძის** "ბასტიას", რომელმაც სტუმრად სძლია "სენ რაფაელი" 17:15. **ზვიად მათიაშვილის** "დრაგიჟანმა" 26 ქულით მე-10 ადგილზეა.

E ჯგუფში 32-32 ქულით და მეორემესამე ადგილებს იყოფენ "ფიჟაკი" (**რეზო ბელქანია, ალექსანდრე მჭედლიშვილი**) და "კონიაკი" (**ბადრი ხეხელაშვილი**).

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი. U-18

## თვრამეტწლამდელთა ჯერია

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა უკან მოვიტოვეთ და ვიდრე ფინალური ტურნირები გაიმართება, ასაკობრივი ჩემპიონატების დრო დადგა - 18-წლამდელი გოგო-ბიჭები უკვე საჭადრაკო დაფებს მიუსხდნენ. გარდა ჩემპიონობისა, აქ მეორე ადგილზე გასვლასაც დიდი ფასი ედება, რადგანაც გამარჯვებული 18-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება, მეორე პრიზიორი კი ევროპის ჩემპიონატზე დაიცავს საქართველოს ღირსებას.

გოგონათა შორის 26 მონაწილეა, ჭაბუკებში - 48, დისტანცია - 9 ტური. დღეისთვის სამი ტურია გასული. გოგონებში უდანაკარგოდ მთავარი ფავორიტი **მირანდა მიქაძე** ლიდერობს, **ქრისტინე მჭავიას** წარმატება კი ოდნავ მოულოდნელია - მასაც 3 ქულა აქვს და თუკი დღეს შავებით შეძლებს მიქაძის შეტევების უვნებელყოფას, ამბიციებს კიდევ უფრო გაიმყარებს. 2.5 ქულა მხოლოდ ერთს, **ქეთი წაწალაშვილს აქვს**, 2 ქულით კი წინწასულებს 8 მოჭადრაკე უდგას კვალში...

ჭაბუკებში ერთპიროვნული ლიდერია - რუსთაველი **ლუკა პაიჭაძე** 3 ქულით. მდევართა ჯგუფი რვაკაციანია, მთავარი აწი იწყება...

**ზვიად შათირიშვილი**

დღეს. გოგონები: **მირანდა მიქაძე (3)-ქრისტინე მჭავია (3); მადონა ბოკუჩავა (2)-ქეთი წაწალაშვილი (2.5); ნანი უნაფქოშვილი (2)-მერი ჟორჟოლიანი (2); თამარ გახოკიძე (2)-სალომე სირაძე (2); ანუკი ხაჟომია (2)-ელისაბედ ზარქუა (2); ანა თოფურიძე (1.5)-ფატი რიჟამაძე (").**

ჭაბუკები: **გიორგი მარგველაშვილი (2.5)-ლუკა პაიჭაძე (3); თორნიკე სანიკიძე (2.5)-დავით ბენიძე (2.5); შოთა აზალაძე (2.5)-დავით ჯოჯუა (2.5); დავით ლომსაძე (2.5)-ზვიად ფაცია (2.5); გაიოზ ნიგოლიძე (2)-ზურაბ ჯავახაძე (2.5); გიორგი ბარიშვილი (2)-სოფიკო გურამიშვილი (2); ნოდარ დავარაშვილი (2)-ოთარ ქოსაშვილი (2); გიორგი ლაცაბიძე (2)-ირაკლი ჯანიაშვილი (2).**

ვოლეიბოლი ქალები

## პოლონეთიდან ბურკინა-ფასოდე

**საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციას წლეულს საქმე თავზე საყრელად აქვს. რაც ფედერაცია გიორგი კანდელაკმა ჩაიბარა, ჩვენი პროფესიული კრივი საგრძნობ პროგრესს განიცდის, ქართველ მოკრივეებზე კი საზღვარგარეთიდან მოთხოვნა უფრო და უფრო ხშირდება. ამას გარდა, საქართველოშიც ტარდება პროფესიონალთა ორთაბრძოლები და მალე აქ უცხოელებიც იჩხუბებენ. გვესაუბრება საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კიკნაველიძე.**

**- უახლოეს ხანში, რომელი ქართველი მოკრივე იჩხუბებს საზღვარგარეთ?**

- 10 თებერვალს, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში იბრძოლებენ 79 კილოგრამი წონითი კატეგორიის მოკრივეები - არმენ აზიზიანი და სანდრო სიფრაშვილი. მათი ბრძოლები სარეიტინგო იქნება ევროპისა და მსოფლიო კლასიფიკაციისთვის. ამჟამად, აზიზიანს 10 ბრძოლიდან 8 მოგება და ორი მარცხი აქვს, ევროპულ რეიტინგში 58-ე გახლავთ, მსოფლიოში კი 164-ე. სიფრაშვილს 9 ბრძოლიდან 8 მოგება და ერთი წაგება აქვს, ევროპაში 28-ეა, ხოლო მსოფლიოში - 74-ე.

ვარშავაში ორივე ქართველს პოლონელი მეტოქე ეყოლება. სიფრაშვილი შეხვდება დავიდ კოსტეჩკის, რომელსაც პროფესიულ რინგზე 24 ბრძოლიდან 23-ჯერ მოუგია (17-ჯერ ნოკაუტით) და ერთადერთი წაგება აქვს. აზიზიანის მეტოქე კი პაველ კოლიძეია, ვისაც 16 ბრძოლიდან ყველა მოუგია და აქედან, 9 ნოკაუტით. როგორც ხედავთ, ორივეს საკმაოდ ძლიერი მეტოქე ერგო, მაგრამ არც ჩვენი მოკრივეები არიან ხელწამოსაკრავები და ყველაფერს გააკეთებენ, რომ მასპინძლები საკუთარი ქომაგის თვალწინ დაამოქონ.

რაც შეეხება სხვა მოკრივეებს, ვცდილობთ, ყველა ძლიერ სპორტსმენს მივცეთ საზღვარგარეთ თავის გამოჩენის შანსი. საბედნიეროდ, მოწვევები საკმაოდ მრავლად გვაქვს და თითოეულ მათგანს გულდასმით განვიხილავთ. საიდან აღარ გვეპატიჟებიან, უკრაინა, ესტონეთი, აფრიკა... ახლახან ბურკინა-ფასოდანაც კი შეგვეხმიანენ.

**- ლევან შონიას მეტოქის ვინაობა ხომ არ გარკვეულა?**

- ჯერ არა. ძველებურად, მხოლოდ ის ვიცით, რომ შონიამ მარტის დასაწყისში, ლონდონში უნდა იჩხუბოს UBO-ს ქამრისთვის. მისი მეტოქის ვინაობას მალე გავიგებთ.

**- 8 თებერვლიდან, ვერის ბაღში, ორთაბრძოლებს აგრძელებთ. ვის ვიხილავთ ამ დღეს რინგზე?**

- 54 კილოგრამში იჩხუბებენ ვარიანელი ნიკოლოზ ბერკაცაშვილი და დედოფლისწყაროელი კახა ტოკლიკიშვილი, 62-ში თბილისელი გარი აბაჯიანი ვარიანელ გიორგი გოგებაშვილს დაუპირისპირდება, ამავე წონაში თბილისელი ბესარიონ გოგლიძე გორელ გიორგი კანდელაკს შეხვდება.

ორი ბრძოლა გაიმართება 66 კილოგრამშიც. ფოთელი კობა ქარქაშაძე თბილისელ ალექსანდრე ბენიძეს გამოცდის, ხოლო კიდევ ერთი ფოთელი გიორგი უნგიაძე ასევე კიდევ ერთ თბილისელ გიორგი ზალიკალიანს შეებრძოლება.

საინტერესო ორთაბრძოლა გვექნება მძიმე წონაში. აქ მოყვარულთა შორის ოლიმპიური. თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, ფოთელი ვლადიმერ ჭანტურია გორელ პაატა ბერიკაშვილს ეჭიდება. სხვათა შორის, ჭანტურია მწვრთნელობის პარალელურად, მოკრივეობასაც ითვისებს. 4 ბრძოლა აქვს ჩატარებული პროფესიულ რინგზე და ყველა მოიგო.

სხვათა შორის, მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ აზერბაიჯანელებთან, რომ 8 თებერვალს, 72 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩამოიყვანონ მოკრივე. თუკი დაგვთანხმდნენ, აზერბაიჯანელთან ვაჩხუბებთ შალვა ჯომარდაშვილს.

**კობა ხატისაშვილი**

საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1971-1980 წლებში



დავით კვაჭაძე



ნოდარ მოდებაძე

www.sportphoto.ge

თმურ ხუბულური

1975 წლის საუკეთესო სპორტსმენად, როგორც მოსალოდნელი იყო, სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვით დასახელდა **ნონა გაფრინდაშვილი**. იმ წელს ნონამ მეხუთედ დაიდგა ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი. ათეულში სხვა რჩეული სპორტსმენები ასეთი თანმიმდევრობით შევიდნენ: 2. **ლევან თედიაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა), 3. **ვიქტორ სანეევი** (მძლეოსნობა, სამხტომი), 4. **იგორ ომელჩენკო** (ცურვა), 5. **ნანა ალექსანდრია** (ჭადრაკი), 6. **ალექსანდრე მეტრეველი** (ჩოგბურთი), 7. **ჯიბილო ნიჟარაძე** (ძიუდო), 8. **პაატა შამუგია** (ტანვარჯიში), 9. **მიხეილ ქორქია** (კალათბურთი), 10. **თამაზ იმნაიშვილი** (სასტენდო სროლა).

იმავე 1975 წელს, ქალთა საერთაშორისო წელთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტკომიტეტმა და სპორტულმა ჟურნალისტებმა კონკურსი გამოაცხადეს საქართველოს ხუთი საუკეთესო სპორტსმენი ქალის გამოსავლენად. კონკურსში მონაწილეობდნენ როგორც რიგითი გულშემატკივრები, ისე სპეციალისტები, სპორტული უწყებები და ორგანიზაციები. პირველობა აქაც **ნონა გაფრინდაშვილს** ხვდა წილად, მეორე იყო **ნანა ალექსანდრია**, მესამე **ქეთევან ლოსაბერიძე**, მეოთხე **ნინა დრონოვა**, მეხუთე **მაია ჩიბურდანიძე**.

1976 წელი მონრეალის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების წელი იყო და, ბუნებრივია, ოლიმპიადისთვის მზადების ტემპი და განწყობა ოლიმპიური წლის დადგომისთანავე სულ უფრო მაღლდებოდა. წინა წელს გამართული სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შედეგების შესაბამისად, საბჭოთა ნაკრები, სპორტის სახეობების მიხედვით, უკვე დაკომპლექტებული იყო. კანდიდატებს შორის მრავლად შეხვდებოდით საქართველოს სპორტსმენებს. 1976 წლის სპორტულ ასპარეზობებს, საკავშირო იქნებოდა ეს თუ საერთაშორისო, საბოლოოდ უნდა გაერკვია მონრეალში ოლიმპიადაზე გასამგზავრებელთა ვინაობა. გავეცნოთ მათ წარმატებებს.

ძიუდო. სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულს ეუფლებიან **ოლეგ ზურაბიანი** (63 კგ) და **რამაზ ხარშილაძე** (95), **აკაკი კიბორძალიძე** (აბსოლუტური), მეორე პრიზიორები გახდნენ **ჯიბილო ნიჟარაძე** (+95) და **დილარ ხაბულიანი** (80), ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ **ამირან ობგაიძეს** (63), **აბესალომ წიკლაურს** (80) და **ამირან მუზაევს** (+95). საქართველოს ნაკრებმა კი სსრ კავშირის თასი დაისაკუთრა. ეს გუნდი ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონიც იყო. სწორედ ამიტომ, სსრ კავშირის ნაკრები პოლონეთის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე მთლიანად ქართველი ძიუდოისტებისგან დაკომპლექტებული გუნდით წარსდგა და პირველობა არც აქ დაუთმო ძლიერ მეტოქეებს. წინ იყო ევროპის ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრებიდან ექვსი ქართველი იხვეჭს მედალს. კონტინენტზე უძლიერესის სახელს ისაკუთრებს **თემურ ხუბულური** (ქვემძიმე), ვერცხლის მედლებს იღებენ **ოლეგ ზურაბიანი, რამაზ ხარშილაძე, გივი ონაშვილი** (მძიმე), **შოთა ჩოჩიშვილი** (მძიმე, გუნდური), მესამე იყო **ჯიბილო ნიჟარაძე**. ჰოლანდიის ღია პირველობაში ამ ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ **ამირან ობგაიძე, თემურ ხუბულური** და **შოთა ჩოჩიშვილი** (აბსოლუტური).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. სსრკ პირველობა: **იოსებ მაღალაშვილი** (ქვესაშუალო) - I ადგილი; **მიხეილ სალაძე** (ქვემძიმე) - I; **ავთანდილ მაისურაძე** (აბსოლუტური) - I და II (მძიმე წონაში); ევროპის პირველობა: **იოსებ მაღალაშვილი** - II და ევროპის თასი - I.

თავისუფალი ჭიდაობა. თბილისის XV საერთაშორისო ტურნირი. სსრკ ნაკრებში ოქროს მედლები მოიპოვეს **გიორგი მაკასარაშვილმა** (68) და **ნოდარ მოდებაძემ** (მძიმე); სსრკ პირველობა: **ანდრო სულაქველიძე** (52) - III, **რაშ ხუტაბა** (100) - III; ევროპის ჩემპიონატი: **ლევან თედიაშვილი** (90) - I.

სამგრ. **იოსებ მაღალაშვილი** (მძიმე) ეუფლება სსრკ ჩემპიონატის ოქროს მედალს, **აკაკი ოქროპირიძე** (74) მეორე პრიზიორი ხდება.

ტანვარჯიში. სსრკ პირველობა: **პაატა შამუგია** (ხტომები, მრავალჭიდი) - I;

მძლეოსნობა. ევროპის პირველობა: **ვიქტორ სანეევი** (სამხტომი) - I;

კრივი. სსრკ პირველობა: **დავით კვაჭაძე** (ქვემძიმე) - I;

ცურვა. 16 წლის თბილისელი **იგორ კუშპელიოვი** თავისუფალი სტილით ცურვაში ჯერ 800 მ-ზე ამყარებს საკავშირო რეკორდს უფროსებისთვის, შემდეგ 1500 მ-ზე იმარჯვებს ჭაბუკთა საკავშირო რეკორდით; მეორე თბილისელი მოცურავე **იგორ ომელჩენკო** კი ევროპის თასს ეუფლება 100 მ-ზე გულაღმა ცურვაში.

აკადემიური ნიჩბოსნობა. სსრკ პირველობა: **გივი ნიკურაძე** (ოთხადგილიანში) - I;

ტყვიის სროლა. ევროპის პირველობა: **მარლენ პაპავა** (VI, გუნდური) - I. მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებმა მოიგო სსრკ თასი.

ჩოგბურთი. სსრკ პირველობა: **ალექსანდრე მეტრეველი** ჩემპიონის ტიტულს იხვეჭს ერთეულთა თანრიგში, ვაჟთა და შერეულ წყვილში; **თეიმურაზ კაკულია** ვაჟთა წყვილში; ევროპის პირველობა: მეტრეველი იმარჯვებს სამ პროგრამაში (ვაჟთა და შერეული წყვილი, გუნდური), მეორე ადგილზე გადის ერთეულთა თანრიგში; კაკულია კონტინენტზე პირველობას არავის უთმობს ერთეულთა თანრიგში, ვაჟთა წყვილსა და გუნდურ შეჯიბრებაში. საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა გუნდი იმ წელს სსრკ თასსაც დაეუფლა. მეტრეველისა და კაკულიას გარდა, ნაკრებში თამაშობდნენ **ვიქტორ პერეგუდოვი** და **გია ელერდაშვილი**.

მაგიდის ჩოგბურთი. სსრკ პირველობა. ბათუმელი **სარქის სარხოიანი** იმარჯვებს ერთეულთა თანრიგსა და ვაჟთა წყვილში, ეუფლება საკავშირო თასს გუნდურ შეჯიბრებაში და ევროპის პირველობის გუნდური ტურნირის ბრინჯაოს მედალს სსრკ ნაკრების შემადგენლობაში.

როგორც ზემოთ ვთქვით, წლის მთავარი სპორტული ასპარეზობა იყო მონრეალის ოლიმპიადა. **ვიქტორ სანეევმა** სამხტომში ზედიზედ მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი. **ლევან თედიაშვილს** შეეძლო, მეორედ დაედგა ოლიმპიური გვირგვინი და ეს შანსი არც გაუშვია ხელიდან. ქართველმა ფალავანმა კიდევ ერთხელ შეძგა ფეხი ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. საბჭოთა ნაკრებში ოლიმპიური ოქროს მედალი დაიმსახურა თბილისელმა ხელბურთელმა **ალექსანდრე ანპელოგოვმა**. წინა თამაშების ჩემპიონი, საბჭოთა კავშირიდან ძიუდოში ოლიმპიური ოქროს მედლის პირველი მომხვეჭელი **შოთა ჩოჩიშვილი** (აბსოლუტური) ამჯერად მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა, **რამაზ ხარშილაძე** მეორე იყო. საბჭოთა კალათბურთელთა ნაკრებიც ჩემპიონი გახდა 1972 წელს, მონრეალში კი მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა. ბრინჯაოს მედლით დაჯილდოებულთა შორის იყო **მიხეილ ქორქია**.

იმ სპორტულ სეზონში მოზარდ სპორტსმენებსაც ჰქონდათ თავისი სპორტული დღესასწაული. ლვოვში ჩატარდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა.

ქართველი მთამსვლელებისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა 1976 წელი. ჩვენმა გუნდმა, **შოთა მირიანაშვილის** ხელმძღვანელობით, პამირში გამართული სსრ კავშირის ჩემპიონატი ოქროს მედლების მოპოვებით დაასრულა. მოიერიშე ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ **აგი აბაშიძე, სერგო ბარლიანი** და **შაქრო გაბისონია**, ხელმძღვანელობდა **მიტო დანგაძე**. ჯგუფმა წარმატებით გაიარა 20 კმ საერთო სიგრძის ტრავერსი და დალაშქრა 6 000-6 500 მ-იანი 11 მწვერვალი. ამ ურთულესი გზის გავლა ქართველმა ალპინისტებმა მთაში დაღუპული თავიანთი მეგობრების, **ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძისა** და **ილიკო გაბლიანის** ნათელ ხსოვნას მიუძღვნეს. ამ ტრავერსამდე ერთი თვით ადრე, ტიანშანზე 53-დღიანი ექსპედიცია მოეწყო. გათამაშდა სსრკ ჩემპიონის ოქროს მედლები, რომელიც წილად ხვდა საქართველოს ნაკრებს. გუნდში შედიოდნენ: **გივი ქართველიშვილი** (მწვრთნელი), **დიმიტრი შარაშენიძე** (კაპიტანი), **თამაზ ბაქანიძე, მურად ჭიჭინაძე, ტარიელ ლუკაშვილი, გიორგი ზუმბაძე, თენგიზ ბერიშვილი**; დამხმარე ჯგუფის წევრები: **რომან გიუტაშვილი, ჯემალ ქელეხსაშვილი, გია თარხნიშვილი, გია საჯაია, თამაზ შარაშენიძე**. დამხმარე ჯგუფს სათავეში ედგა **ზაალ ქიქოძე**. ჯგუფში იყო აგრეთვე ლენინგრადელი ექიმი **ანატოლი გორბოვი**.

1976 წლის 26 სექტემბერს ქართული სპორტის გულშემატკივრებმა "დინამოს" განახლებული სტადიონის გახსნა იზეიმეს.

იმ წლის სპორტული სეზონი 28 დეკემბერს, თბილისის სპორტის სასახლეში ქართულ ჭიდაობაში გამართული ფალავნობით დასრულდა. ფალავანთა ფალავნის სახელი ძიუდოისტმა **თემურ ხუბულურმა** მოიხვეჭა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

რეფორმები და პრობლემები

# ახლებურად ვიაზროვნოთ, ძველებურად უეჭველოთ

იყო დრო, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (დღევანდელი უნივერსიტეტის) სტუდენტთა გუნდები ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოსა და სპორტის სხვა სახეობებში დიდ წარმატებებს აღწევდნენ. და არა მარტო გორელები, ქართული სტუდენტური სპორტის წარმომადგენლები უძლიერესნი იყვნენ საბჭოთა სივრცეში. შორს რომ არ წავიდეთ, ამ წერილის ერთ-ერთი ავტორი, როგორც უფროსი მწვრთნელი, სათავეში ედგა საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრებს ძიუდოში, რომელიც სანახევროდ გორელი სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული. არსებობდა, ვთქვათ, ძიუდოს საბჭოური სკოლა და იქვე - გორის სკოლა. ეს არ იყო ქათინაური. ოლიმპიური ჩემპიონები შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები თემურ ხუბულური, კობა კურტანიძე, ანზორ ქიბროწაშვილი, გია თენაძე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი კრივში გიორგი ანდღულაკი სწორედ გორის სკოლის წარმომადგენლები არიან. აღარაფერს ვამბობთ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონებზე.

ძიუდოს სამშობლოდან, იაპონიიდან, გორში ჩამოსული ამ საქმის სპეციალისტები, კინო და ფოტოაპარატებით აღჭურვილნი, გაფაციცებით ცდილობდნენ აღებეჭდათ, ქართული ჭიდაობის რა ილეთებით გაემდიდრებინათ მათი სათაყვანებელი და საამაყო ძიუდო...

ნურავინ იფიქრებს, რომ უმაღლეს სკოლაში ჩვენი თვითმიზანი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონების აღზრდაა. თუმცა რა არის ამაში ცუდი? მაგრამ დღეს, ყველა ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი და საფიქრალია, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჯანმაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, რათა ჯანსაღ ორგანიზმში ჯანსაღი სული ტრიალებდეს. სახელოვანი სპორტსმენები კი მოზარდი თაობისთვის ყოველთვის მისაბაძი მაგალითია. სასწავლო პროცესში, ფიზიკურ აღზრდას, ფიზიკურ კულტურას ისეთივე ღირსეული ადგილი უნდა მიეკუთვნოს, როგორც სხვა დისციპლინებს. ამას გვკარნახობს "საქართველოს კანონი განათლების შესახებ", მისი პირველი მუხლის ("სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები") "დ" პუნქტი, რომელშიც წერია შესაბამისი სამოქმედო პრინციპი: "სულიერი და ფიზიკური აღზრდის ჰარმონიულობა".

"საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ", უფრო ზუსტად, მისი მესამე მუხლის "ე" პუნქტი გვაუწყებს, რომ უმაღლესი სკოლა "ხელს უწყობს თავის ფარგლებში სპორტის განვითარებას".

თუ ასეა, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ კანონის აღსრულება მაინც მოგვიწევს, რატომაა უგულებელყოფილი და მეორეხარისხოვან დისციპლინას მიკუთვნებული, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდა? რატომ შემცირდა და, ზოგან საერთოდ გაუქმდა, უმაღლეს სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა შტატები? კი ბატონო, კათედრები გაუქმდა, შეიქმნა სპორტული ცენტრები, მაგრამ ამ ფორმების შეცვლით უკეთესობისკენ წავედით? ვფიქრობთ, და არა მარტო ჩვენ, სრულებითაც არა. უმაღლეს სკოლაში მოხვედრილ სტუდენტთა უმრავლესობა, სურვილისამებრ, და თანაც შესაბამისი თანხის გადახდით, სპორტულ სექციებში არ ჩაებმებიან, იმიტომ, რომ სპორტისადმი ინტერესი, ჩვევად და მოთხოვნილებად ვერ ჩამოყალიბდა სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური კულტურისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო. მაშ სადაა გამოსავალი? გამოსავალი ისაა, რომ ძველებურად უმაღლეს სკოლებში, სასწავლო დანესებულებებში (ამას ითვალისწინებს პარლამენტის მიერ 1996 წელს მიღებული "საქართველოს კანონი სპორტის შესახებ") უნდა აღდგეს I და II კურსებზე მეცადინეობები ფიზიკურ აღზრდაში - სავალდებულო ჩათვლებით ან სპორტში სტუდენტთა აქტიურად ჩაბმის ინტერესისთვის უნდა გამოეყოს ამ დისციპლინას კრედიტით გარკვეული რაოდენობა. თუ რა ეფექტს მოგვიტანს ამის დანერგვა, ერთ მაგალითს მოვიტანთ უახლოეს წარსულიდან, როცა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობაში, "ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების" მიზნით, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ სავალდებულო გახდა ნორმატივების ჩაბარება ფიზიკურ მომზადებაში, მოვარჯიშე ახალგაზრდებით გაივსო სტადიონები, სპორტული მოედნები და პარკები. მავანი იტყვის - "მაშინ სხვა დრო იყოო"... რაო, ახალ დროში არ უნდა ვიზრუნოთ ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე, მათ ჰარმონიულ აღზრდაზე? დროა, გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა. სანამ გვიან არ არის, მივუსადაგოთ კანონები, ჩვენი მომავალი თაობებისა და ქვეყნის საკეთილდღეო ინტერესებს.

**ალექსანდრე იაშვილი,**
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

**გურამ პაპიტაშვილი,**
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული ცენტრის უფროსი, საბჭოთა კავშირის და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

**გივი ხაჩიძე,**
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შიდა ქართლის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, დოცენტი

**სოსო ვაშაკიძე,**
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

ნაჩიდი ღელეს

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი


მიხეილ ქორქია

მოგონება

# ქორქია, სტყორცნა... ჩააგდო

ზუსტად სამი წლის წინ, 2004 წლის 6 თებერვალს ოლიმპიური ჩემპიონი მიხეილ ქორქია გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით შემოგთავაზებთ ერთ რუსულ პუბლიკაციას, რომელიც ქორქიას სიცოცხლეშია დაწერილი და ზუსტად 2004 წლის 6 თებერვალს გამოქვეყნდა - ძნელი სათქმელია, მოასწრო თუ არა მიხეილ ქორქიამ წაკითხვა...

მეტს არ გავაგრძელებთ, შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს "სოვეტსკი სპორტის" ჟურნალისტ ბორის ვალიევის ნარკვევიდან, რომლის სათაურია: "მიხეილ ქორქიასთვის ცხოვრების ნათელი წერტილი მიუნხენის ოლიმპიადაზე გამარჯვება და ციხიდან გამოსვლა იყო."

3 თებერვალს მოუთმენლად ავკრიფე მიხეილ ქორქიას მობილურის ნომერი. გაცნობისთვის მიზეზი მქონდა - მინდოდა, ქორქიას წინა თვეში გარდაცვლილ მეგობარზე, ზურაბ საკანდელიძეზე ეთქვა ორიოდ სიტყვა. **"ზურას სიკვდილს მომზადებული შევხვდი, რადგან იგი ბოლო დროს მძიმედ ავადმყოფობდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მის გარეშე ადგილს ვერ ვპოულობ - ჩემი რაღაც ნაწილი იმქვეყნად წაიღო. მუდამ ერთად ვიყავით".**

6 თებერვალს კვლავ დავურეკე თბილისში, რათა ნარკვევის გამოქვეყნების შესახებ მეცნობებინა. **"გმადლობთ, ვეტერანებზე რომ ზრუნავთ. ინტერნეტში აუცილებლად წავიკითხავ".** - დამპირდა და 7 საათის შემდეგ გულის უკმარისობით გარდაიცვალა.

2002 წლის ზაფხულში მიუნხენში მძლეოსნობის ევროპის ჩემპიონატზე მიმავლინეს. ბოლო დღეს პოლონელი კოლეგა მოვიდა და მითხრა: იცი ახლა სად ვართ? - იმ დარბაზში, სადაც 1972 წელს საბჭოთა ნაკრებმა ოლიმპიური ოქრო მოიგო.

ეს რომ დროზე გამხსენებოდა, მოედნის იმ ადგილს მოვძებნიდი, საიდანაც ივან ედეშკომ სირენამდე 3 წამით ადრე ალექსანდრე ბელოვს შედეგიანი პასი მიაწოდა. ან იმ ადგილს, საიდანაც ბელოვმა ამერიკელთა კალათში გამარჯვების ორქულიანი მოათავსა - 51:50. ედეშკო და ბელოვი ვახსენე, მაგრამ გამომრჩა მესამე გმირი, ზურაბ საკანდელიძე, რომლის ოქროს ჯარიმამაც სიტუაცია მაქსიმალურად დაძაბა.

მაგრამ ახლა მიხეილ ქორქიაზე ვაპირებ საუბარს, რომელიც გადამწყვეტ მატჩში მოედანზე დიდი ხნით არ ყოფილა - დუაიტ ჯონსთან შეხლა-შემოხლის გამო მოედნიდან გააძევეს. ქართველი მარტო არ წასულა - თან ჯონსი გაიყოლა და მატჩის შემდეგ მწვრთნელ ვლადიმირ კონდრაშინისგან კომპლიმენტიც მიიღო: "მიხეილ, ეს შენი საუკეთესო მატჩი იყო - თამაშიდან ამერიკელთა ლიდერი გამოთიშე."

**მოგვითხრობს 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი სერგეი კოვალენკო.**

- მიშას ბავშვობიდან ვიცნობდი. სსრკ ნაკრებამდე ერთად სპარტაკიადებზე ვთამაშობდით საქართველოს ნაკრებში. საბჭოეთის ჭაბუკთა ნაკრებში, 1965 წელს, ერთად მოვხვდით: ის - თბილისის "დინამოდან", მე თბილისის "ბურევესტნიკიდან". ნათლად მახსოვს 1965 წელს იტალიის ქალაქ სან ჯორჯოში მოგებული ევროპის ჩემპიონატი. რადგან უკან გამოფრენამდე დრო გვქონდა, სამხრეთის ქალაქ ბრინდიზიში უფროსების ტურნირზე მიგვიწვიეს. ეს შეჯიბრებაც მოვიგეთ - ფინალში იტალიელებს ვძლიეთ. მასპინძლებს ძალიან მოვეწონეთ და 16-17 წლის ბიჭებს კინოთეატრებსა და რესტორნებში გვეპატიჟებოდნენ. თავისი სამხრეთული ტემპერამენტის წყალობით, იტალიელებს ყველაზე უკეთ მიხეილ ქორქიამ გაუგო და ადგილობრივებიც ხშირად ხუმრობდნენ - ეს ბიჭი ჩვენიანიაო.

...მიშიკო სწრაფი კალათბურთელი იყო, შეეძლო იერიში მოედნის ნებისმიერი წერტილიდან დაეგვირგვინებინა. იბრძოდა ყველგან, იმ ბურთისთვისაც კი, რომელიც მეორე იარუსზე მიფრინავდა.

ერთ-ერთი მატჩისას მეტოქის ფარქვეშ ქორქიას შეცდომას ტრიბუნებიდან მისი მისამართით გინება მოჰყვა. კალათბურთელმა რეაგირება სწრაფადვე მოახერხა - მეშვიდე რიგში შეურაცხმყოფელს მიეჭრა და საკადრისი პასუხი მუშტით გასცა, მაგრამ ვიდრე მეშვიდემდე მიაღწევდა, ერთ უდანაშაულო ქომაგს ფეხი შემთხვევით ორგან გადაუტეხა. ცხადია, მკურნალობის თანხა თავად ქორქიამ გადაიხადა.

ოლიმპიურ ჩემპიონთან ერთი დარეკვა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა დასაახლოვებლად. თავადვე მკითხა: "სოვეტსკი სპორტის" რედაქცია ისევ ნოგინის მოედანზეა? ერთ თვეში საქმეებზე მოსკოვში ჩამოვალ, შევხვდეთ, სადმე დავსხდეთ და ვისაუბროთ.

**- მიუნხენის ფინალის შემდეგ დღესაც თვალწინ მიდგას თქვენი გახარებული სახე...**

- 1987 წლამდე მეც მეგონა, რომ ის წუთები ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი იყო, მაგრამ 87-ში ციხიდან გამოშვების წუთები ოლიმპიურ სამ წამზე ღირებული აღმოჩნდა.

**- ქართველთა გმირი ციხეში როგორ ჩაგსვეს?**

- ეგრეთ წოდებული, "ჩრდილოვანი ეკონომიკის" გამო, რომელსაც ახლა ბიზნესს ვეძახით. ეტყობა მაშინ სხვების დასაშინებლად სამაგალითო პიროვნების დასჯა სჭირდებოდათ...

**- ერთი პერიოდი, ზურაბ საკანდელიძესთან ერთად თბილისის "დინამოს" წვრთნიდით. მას შემდეგ კალათბურთში დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?**

- საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტობაზე ვიყარე კენჭი, მაგრამ არჩევნებში ვერ გავიმარჯვე.

**კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ ბოლოშევი:**

- მიუნხენის ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ ბრაზილიაში ვემზადებოდით. დიდი ენთუზიაზმით შევედით სან პაულუს გველების მუზეუმში. ვნახეთ გიგანტური პითონების ფიტულები, ხუთმეტრიანი ანაკონდების ტყავები, ცოცხალი ექსპონატებიც... დერეფანს დაძაბულები მივუყვებოდით, როცა მთავარმა ხუმარამ ვანია ედეშკომ მიშიკოს ფეხზე მოულოდნელად ხელი გაუსვა და დაისისინა. რა დაემართა მიშას, იოლი წარმოსადგენია, ხოლო როცა მიხვდა, რომ ედეშკო ეხუმრა, ქართულ-რუსული ლექსიკონიდან ყველა საგინებელი სიტყვა მოიხმო...

ხუმრობა ქორქიასაც უყვარდა: 1972 წლის ოლიმპიადის წინ, მორიგი ვარჯიშის შემდეგ მიშა საწვრთნელი ბაზის "წითელ კუთხეში" მივიდა, პოლიტბიუროს მმართველების სურათები შეათვალიერა და ჩაილაპარაკა - ერთ-ერთი მათგანი ბიძაჩემი რომ იყოს, ამდენი ოფლისღვრა ხომ არ მომიწევდაო?!

სხვათა შორის, მიხეილ ქორქიას ბიძა, ოთარ ქორქია 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა.

საბჭოეთის ჩემპიონატის თბილისური ტურები ყოველთვის მის ოჯახში გაშლილი სუფრით მთავრდებოდა. იქ გავიცანი მისი მეუღლე მანანა და შვილები - სოფიკო და თამარი. სხვათა შორის, მიშამ მეუღლე ქართული ტრადიციის ყველა ნიუანსის დაცვით შეირთო.

ერთ-ერთი შეკრებისას ქორქიამ გულისტკივილი გამანდო: **"ბოლოშ, ერთი გოგონა მიყვარს, მაგრამ მისი მშობლები ჩვენი ქორწინების წინააღმდეგნი არიან. არ ვიცი, რა ვქნა..."** სულ მალე მიშამ ის გოგონა მოიტაცა და ლენინგრადში ალექსანდრე ბელოვის ბინაში მანამ ჰყავდა, სანამ თანხმობა არ მიიღო. ქალბატონი მანანა აღიარებდა, რომ "მოტაცება" მისივე მონაწილეობითა და თანხმობით განხორციელდა.

მიხეილ ქორქიას ხელი საშა ბელოვის ბედნიერებაშიც ურევია - ბელოვის მეუღლემ, კალათბურთელმა ალექსანდრა ოვჩინიკოვამ, ჩემთან საუბარში გაიხსენა: - ლენინგრადში ოლიმპიელთა ერთ-ერთი შეკრებისას საშას მეგობარი ქორქია მომიახლოვდა და მკითხა, რა აზრის ვიყავი ალექსანდრეზე. "ძალიან მომწონს" - ვუპასუხე. მეორე დღეს ბელოვისგან წერილი მივიღე - "ჩვენ უნდა შევხვდეთ და დავილაპარაკოთ..."

**მიხეილ ქორქიას მეუღლეს, ქალბატონ მანანას მოვუსმინოთ:**

- ბოლო დროს თბილისიდან 20 წუთის სავალზე, აგარაკზე ვცხოვრობდით. მიშას დალუპვის საღამოს სტუმრები გვყავდა. როგორც მასპინძელს შეშვენის, ჩემმა მეუღლემ თამადობა იკისრა და სადღეგრძელოებს შორის შვილიშვილებთან სათამაშოდ იცლიდა. გულის მცირე ნაწილითაც ვერ ვგრძნობდი მოახლოვებულ უბედურებას. შვილიშვილები დავაძინეთ, გავისტუმრეთ სტუმრები, დასაძინებლად დავწექით და ორის ნახევარზე მიშამ მითხრა - თავს ცუდად ვგრძნობო. გულთან დაკავშირებით მისი პრობლემების შესახებ კარგად ვიცოდი და სასწრაფოში დავრეკე. 10 წუთში თანამედროვე სამედიცინო მანქანა მოვიდა, მაგრამ ველარაფერი უშველეს.

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ქართველები NBA-ში

# ზედიზედ მესამე!

დამატებითი დროის ბოლო წამზე, როდესაც **ტაირონ ლიუმ** შორეული ტყორცნით "ჰოქსს" გასვლაზე "ნიუ ჯერსი ნეთსი" დაამარცხებინა, საცოდავი უკანახაზელი მომდევნო 40-50 წამის განმავლობაში არც კი ჩანდა, გახარებული თანაგუნდელების ქვეშ მოექცა. "ჰოქსმა" ისე გაიხარა, თითქოს ეს არა რიგითი, რეგულარულის გამარჯვება, არამედ გადამწყვეტი საფლეიოფო ტრიუმფი ყოფილიყოს.

"ატლანტამ" გასვლაზე ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა და... კინაღამ წამომცდა ფლეი ოფი-მეთქი. არა, იმ სანუკვარ ზონამდე ჯერაც შორია, მაგრამ ვინ იცის, კიდევ რა სიურპრიზებს შესთავაზებს "ჰოქსი" ფანებსა და მთელ საკალათბურთო სამყაროს.

"ნიუ ჯერსიში" ფაჩულიამ თამაშიდან 7-დან 3 სროლა გამოიყენა, საჯარიმოს ხაზიდან კი ოთხივე ტყორცნა უშეცდომოდ შეასრულა. სტუმრებმა ფრთხილი ტაქტიკა აირჩიეს და უკანმოუხედავად შეტევის ნაცვლად თითქმის მთელი შეხვედრის მსვლელობისას მასპინძელთა შეცდომებზე იყვნენ ჩასაფრებულნი. "ატლანტა" არ ამწვავებდა თამაშს და ეს არც იყო საჭირო, რადგან თავის წილ ქულებს იმ დღეს სტუმართა შემადგენლობაში ყველა იხვეჭდა.

**ჯო ჯონსონის** მორიგი ცუნამი, **ჯოშ სმიტის** კიდევ ერთი ორმაგი დუბლი, ორივე **უილიამსის** ნაყოფიერება, ფაჩულიას აქტიურობა – ყველაფერი ადგილზე, წესრიგში იყო, ბოლოს კი ტაირონ ლიუმაც გაისროლა. ჰო, **სპიდი კლექსტონმა** თავისი ასპარეზზე დიდი სათამაშო დროით დაბრუნება 7 ზუსტი პასით აღნიშნა.

2000 წლის დეკემბრის მერე "ჰოქსმა" გასვლაზე პირველად მოიგო ზედიზედ სამი შეხვედრა და გუნდი კიდევ უფრო მიუახლოვდა "მაიამი ჰიტს", რომელიც სადღეისოდ აღმოსავლეთის უკანასკნელ, მერვე საფლეიოფო ადგილზე იმყოფება. მოქმედი ჩემპიონები ულაპარაკოდ მოუმატებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ "ჰოქსს" ფეხის დაცდენის უფლება თითქმის არ აქვს, ანუ ვუდსონის გუნდმა მოსაგები უნდა მოიგოს. ეს ამ სეზონში "ატლანტის" მეცხრე გასვლითი მოგება იყო, ანუ სეზონის შუაწელს გუნდმა სტუმრად უკვე იმაზე მეტი მოიგო, ვიდრე მთელ შარშანდელ სეზონში.

"ატლანტამ" ულაპარაკოდ უნდა მოუგოს ჯერ "ლეიკერსს", მერე კი ასევე შინ "ნიუ ჯერსის", რის მერეც გუნდი დასავლეთისკენ გაემართება და 4 დღეში სამ შეხვედრას ჩაატარებს – "ფინიქსთან", "გოლდენ სტეიტთან" და "იუტასთან".

ზურაბ თალაკვაძე

**ნიუ ჯერსი–ატლანტა 99:101 ო.დ.**

24:22, 18:21, 18:24, 26:19, 13:15

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (44 წთ. 27 ქ. 8 პ. 7 მ. 2 დ. 1 ჩ), კიდი (41 წთ. 13 ქ. 11 პ. 5 მ. 4 ჩ), მური (41 წთ. 13 ქ. 7 მ. 3 პ. 1 დ), ა. რაიტი (24 წთ. 8 ქ. 2 მ. 2 პ. 1 ჩ. 1 დ), ჯეისონ კოლინზი (26 წთ. 2 ქ. 5 მ. 1 პ) – მარკუს უილიამსი (26 წთ. 18 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), ნახბარი (30 წთ. 11 ქ. 3 მ), კ. რობინსონი (16 წთ. 3 ქ. 1 მ. 1 ჩ), ბუნი (5 წთ. 2 ქ. 2 მ. 1 ჩ), ე. ჰაუსი (7 წთ. 2 ქ. 1 ჩ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (49 წთ. 37 ქ. 8 პ. 5 მ. 1 დ), ჯოშ სმიტი (33 წთ. 14 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ. 1 დ), Mერვინ უილიამსი (32 წთ. 12 ქ. 4 მ. 1 პ. 1 დ), ლიუ (16 წთ. 9 ქ. 1 მ), ლ. რაიტი (18 წთ. 2 ქ. 4 მ. 1 პ) – **ზაზა ფაჩულია (27 წუთი, 10 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 შეცდომა, 6 ფოლი)**, ჩილდრესი (39 წთ. 9 ქ. 3 პ. 2 მ. 1 ჩ. 1 დ), შელდენ უილიამსი (19 წთ. 6 ქ. 6 მ. 1 პ. 1 ჩ), კლექსტონი (27 წთ. 2 ქ. 7 პ. 2 ჩ. 1 მ. 1 დ).

| I მეოთხედი | |
|---|---|
| 04:13 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 02:25 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 01:37 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 00:32 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 0:01 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (22:24) |

| II მეოთხედი | |
|---|---|
| 10:35 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 09:50 | ორქულიანი: ბუნმა დაუფარა |
| 08:34 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (30:26) |
| 07:50 | შეცდომა: 1 (კ. რობინსონმა ჩაუჭრა) |
| 07:34 | ფოლი: 1 (ბუნზე დააჯარიმდა) |
| 05:57 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 05:28 | ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა |

| III მეოთხედი | |
|---|---|
| 07:20 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 03:37 | პასი: 1 (ჩილდრესი, 2 ქ. 58:58) |
| 02:59 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 02:41 | ფაჩულიაზე მური დააჯარიმდა |
| 02:41 | საჯარიმოები: 2/2 (6 ქ. 60:58) |
| 02:06 | მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2) |
| 01:27 | მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3) |
| 00:01 | ფაჩულიაზე ნახბარი დააჯარიმდა |
| 00:01 | საჯარიმოები: 2/2 (8 ქ. 67:60) |

| IV მეოთხედი | |
|---|---|
| 09:34 | ფოლი: 2 |
| 09:28 | ფოლი: 3 (ჯ. კოლინზზე დააჯარიმდა) |
| 06:29 | ფოლი: 4 (ვ. კარტერზე დააჯარიმდა) |
| 04:22 | მოხსნა: 6 (შეტ: 2, დაც: 4) |
| 04:00 | ორქულიანი ტყორცნა: 10 ქ (79:75) |
| 03:40 | ფოლი: 5 (მურზე დააჯარიმდა) |
| 02:28 | ფოლი: 6 (კიდზე დააჯარიმდა) |
| 02:28 | ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა |

**ატლანტა ჰოქსი:** 46 მატჩი, 18 მოგება, 28 ნაგება, მეოთხე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-11 ადგილი აღ-მოსავლეთის კონფერენციაში. **მომდევნო მატჩი:** ატლანტა – ლეიკერსი (5 თებერვალი).



ლუის ორნა

ტურნირები

# მასუს შინ ჩაგზავნეს

პერუელი **ლუის ორნას** გამარჯვებით დასრულდა ვინა დელ მარის ტურნირი, რომლის ფინალშიც მან ადგილობრივი ფავორიტი, ოლიმპიური ჩემპიონი **ნიკოლას მასუ** დაამარცხა. ორნამ თავის კარიერაში ატპ-ს მეორე ტურნირი მოიგო, მასუ კი ზედიზედ მეორედ გახდა საშინაო ტურნირის ვიცე ჩემპიონი.

თამაში მასუს მცირე უპირატესობით დაიწყო და პირველ ბრეიკსაც (მეშვიდე გეიმში) მან მიაღწია, მაგრამ ამ უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება ვერ შეძლო. ამის შემდეგ, მასუს ბრეიკის შანსი აღარც ჰქონია. ეგ კი არა, როცა ის სეტზე აწოდებდა, ორნამ სწორედ მაშინ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და საპასუხო ბრეიკიც აიღო. უფრო მეტიც, აქედან მოყოლებული, პერუელმა ზედიზედ კიდევ ხუთი გეიმი მოიგო და პირველი სეტის მოგებასთან ერთად, მეორეშიც დაწინაურდა.

მასუმ თამაშის გადარჩენა სცადა, მაგრამ საპასუხო ბრეიკის აღება აღარ გამოუვიდა - დარჩენილ გეიმებში ორივე ჩოგბურთელი იოლად ახერხებდა თავის სერვისზე ქულების დაგროვებას.

აღსანიშნავია, რომ ეს ორი ჩოგბურთელი სულ მეხუთედ შეხვდა ერთმანეთს და ორნამ პირველად, ყველაზე საჭირო მომენტში იზეიმა გამარჯვება. სხვა ოთხი შეხვედრიდან, ორი ნახევარფინალში (2003 წელს, ამერსფოორტსა და პალერმოში) შედგა და ორივეს მოგების შემდეგ, მასუმ ტიტულებით მოიპოვა. ისიც საინტერესოა, რომ მასუ ვინა დელ მარის ტურნირზე პირველად გასცდა მეორე წრეს და ტურნირი ისე მოიგო, ერთი სეტიც არ წაუგია.

სხვათა შორის, ერთადერთი ჩილელი, ვისაც ვინა დელ მარის ტურნირი მოგებული აქვს, **ფერნანდო გონსალესია**, ვინც ამ ტურნირის მთავარ ჯილდოს ორჯერ (2002 და 2004 წლებში) ფლობდა. ჩემპიონობის შანსი ოთხჯერ (1995-97 და 2003 წლებში) ჰქონდა **მარსელო რიოსს**, მაგრამ ოთხივე შემთხვევაში მან ფინალში წააგო.

ავსტრალიის ღიას ფინალში წაგების შემდეგ, გონსალესმა საშინაო ტურნირზეც ითამაშა, მაგრამ მეოთხედფინალს ვერ გასცდა. სეზონში მეორე მარცხი მან ესპანელი **ალბერტ მონტანესისგან** იწვნია. მეოთხედფინალში ძნელი გამოცდა ჩააბარა მასუმ, რომელმაც არგენტინელ **სერხიო როიტმანთან** დაპირისპირებისას შვიდი მატჩ პოინტი გადაარჩინა.

■■■

წვიმის გამო ვერ მოხერხდა კიდევ ერთი, აშშ-ის ქალაქ დელრი ბიჩის ტურნირის ფინალის დასრულება. იქ ერთმანეთს ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი** და ბელგიელი **ქსავიე მალისი** ხვდებიან. პირველი სეტი ბლეიკის გამარჯვებით (7:5) დასრულდა, მეორეში კი ანგარიში თანაბარი (3:3) იყო, როცა გაწვიმდა და ბევრი ლოდინის შემდეგ, ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ფინალი დღეს დაასრულონ.

იმის გამო, რომ ფინალი დროულად ვერ დასრულდა, ბლეიკმა განაცხადა, რომ მოუწევს ჩეხეთში გამგზავრების გადადება. ცნობისთვის, ჩეხეთში აშშ-ის ნაკრებს დევისის თასის შეხვედრა აქვს ჩასატარებელი, ბლეიკი კი გეგმავდა, რომ იქ ტამპადან ფინალის დასრულებისთანავე გაემგზავრებოდა.

ისე, სანამ წვიმის გადაღებას ელოდნენ, ორივე ჩოგბურთელმა დრო სუპერბოულისწინა მატჩის ყურებით შეიქცია. ცნობისთვის, სუპერბოული ამერიკული ფეხბურთის სეზონის მთავარი მატჩია და მას მთელი ამერიკა უყურებს.

**ATP**

**მოვისტარის ღია**

ვინა დელ მარი (ჩილე). თიხა

საპრიზო ფონდი: 448 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ნიკოლას მასუ (3)** - ალბერტ მონტანესი (7) 6:1, 6:3

**ლუის ორნა (5)** - მარტინ ვასალო არგელო (8) 7:5, 6:4

**ფინალი**

**ლუის ორნა (5)** - ნიკოლას მასუ (3) 7:5, 6:3

**საერთაშორისო ჩემპიონატი**

დელრი ბიჩი (აშშ, ფლორიდა). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი (1)** - ბენიამინ ბეკერი (4) 6:3, 7:6(7)

**ქსავიე მალისი (3)** - ვინს სპადეა (8) 6:2, 6:2

**ფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი (1)** - ქსავიე მალისი (3) 7:5, 3:3 *თამაში გადაიდო*

ფედერაციის თასი

# ჟუსტინისა და კიმის გარეშე

ბელგიის ქალთა ნაკრები ფედერაციის თასის წლევანდელ გათამაშებას შესუსტებული შემადგენლობით ხვდება. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ბელგიელთა მეტოქე ამერიკის ნაკრები იქნება. როგორც ირკვევა, ევროპელთა რიგებში ვერ ვიხილავთ ვერც **ჟუსტინ ანენ-არდენს** და ვერც **კიმ კლაისტერსს**.

*"ჩემს კონსულტანტებთან ერთად გადავწყვიტე, რომ 2007 წელს ნაკრების რიგებში არ ვითამაშებ,* - განაცხადა ჟუსტინ ანენ-არდენმა. - *ეს ნაბიჯი გადატვირთული კალენდრის გამო გადავდგი".*

დღეისთვის, ანენ-არდენი მსოფლიო კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე იმყოფება. პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელის ტიტული მან რუს **მარია შარაპოვას** დაუთმო, რადგან ქმართან განქორწინების გამო, მონაწილეობა ვერ მიიღო ავსტრალიის ღია პირველობაზე. 2007 წლის სეზონში ჟუსტინის დებიუტი ამ კვირას, პარიზის ტურნირზე შედგება.

უფრო ადრე, ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა კიმ კლაისტერსმა, რომელმაც ასევე გადატვირთული კალენდარი მოიმიზეზა. გარდა ამისა, კლაისტერსს საპატიო მიზეზიც აქვს - კიმი ამ წელს ტურნირებზე პატარა პაუზის აღებას აპირებს, რადგან ქორწილი აქვს დაგეგმილი.

ფედერაციის თასის მეოთხედფინალური მატჩები 21-22 აპრილს გაიმართება. ამერიკისა და ბელგიის დაპირისპირება ქალაქ დელრეი ბიჩში შედგება.

ჟუსტინ ანენ-არდენი

რეიტინგები

**WTA-ს რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1(1). მარია შარაპოვა (რუს) | 3978 |
| 2(2). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 3311 |
| 3(3). ამელი მორესმო (საფ) | 2900 |
| 4(4). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2577 |
| 5(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2554 |
| 6(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2359 |
| 7(7). ნადია პეტროვა (რუს) | 2057 |
| 8(8). ელენა დემენტიევა (რუს) | 1908 |
| 9(9). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1708 |
| 10(10). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1626 |
| 11(11). პატი შნიდერი (შვეიც) | 1544 |
| 12(12). დინარა საფინა (რუს) | 1527 |
| 13(13). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1470 |
| 14(16). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1418 |
| 15(14). სერენა უილიამსი (აშშ) | 1269 |
| 16(15). შაარ პეერი (ისრ) | 1209 |
| 17(17). ნა ლი (ჩინ) | 1150 |
| 18(18). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 971 |
| 19(19). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 950 |
| 20(20). ანა-ლენა გრონეფელდი (გერ) | 944 |
| 21(21). ვერა ზვონარევა (რუს) | 932 |
| 22(25). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 919 |
| 23(22). კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 905 |
| 24(26). აი სუგიამა (იაპ) | 897 |
| 25(24). მარიონ ბარტოლი (საფ) | 886 |

**WTA-ს საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1030 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 895 |
| 3. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 781 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 725 |
| 5. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 575 |
| 6. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 555 |
| 7. ანა ივანოვიჩი (სერ) | 495 |
| 8. შაარ პეერი (ისრ) | 386 |
| 9. ელენა დემენტიევა (რუს) | 370 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 365 |
| 11. ნა ლი (ჩინ) | 345 |
| 12. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 265 |
| 13. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 240 |
| 14. დინარა საფინა (რუს) | 231 |
| 15. ვერა ზვონარევა (რუს) | 222 |
| 16. ამელი მორესმო (საფ) | 210 |
| 17. აი სუგიამა (იაპ) | 186 |
| 18. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) | 180 |
| 19. პატი შნიდერი (შვეიც) | 175 |
| 20. მარია კირილენკო (რუს) | 171 |
| 21. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 157 |
| 22. ტატიანა გარბინი (იტა) | 155 |
| 23. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 141 |
| 23. რობერტა ვინჩი (იტა) | 141 |
| 25. ნიკოლ პრატი (ავსტრა) | 137 |

**ფულადი მოგებარი**

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 284 715 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 693 000 |
| 3. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 408 515 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 368 018 |
| 5. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 350 283 |
| 6. ლიზელ ჰუბერი (ს.აშტ) | 244 888 |
| 7. ჯარა ბლეკი (ზიმ) | 229 958 |
| 8. შაარ პეერი (ისრ) | 196 488 |
| 9. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 191 019 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 184 115 |
| 11. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 166 923 |
| 12. ანა ივანოვიჩი (სერ) | 164 140 |
| 13. სამანტა სტოსური (ავტრა) | 160 588 |
| 14. დენა დემენტიევა (რუს) | 159 643 |
| 15. ნა ლი (ჩინ) | 134 961 |
| 16. იუნ-იან ჩანი (ტაივ) | 130 720 |
| 17. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 127 783 |
| 18. ვერა ზვონარევა (რუს) | 124 334 |
| 19. ელენა ლიხოვცევა (რუს) | 116 938 |
| 20. ჩია-იუნ ჩუანი (ტაივ) | 114 365 |
| 21. პატი შნიდერი (შვეიც) | 102 913 |
| 22. ამელი მორესმო (საფ) | 102 078 |
| 23. ჟი ჟენგი (ჩინ) | 101 340 |
| 24. დინარა საფინა (რუს) | 98 228 |
| 25. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 95 808 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

## მუნდიალი ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარდება

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **ჰასან მუსთაფა** აცხადებს, რომ მის ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს, სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატები უფრო იშვიათად, კერძოდ კი, ოთხ წელიწადში ერთხელ ჩაატაროს. დღეს, ხელბურთში მუნდიალებს შორის ინტერვალი ორი წელიწადია.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას, 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მიიღებენ.

ჰოკეი

## გრეტცკის ნაკრების მწვრთნელობა არ უნდა

"ფინიქს კოიოტზის" მთავარმა მწვრთნელმა **უეინ გრეტცკიმ** კომენტარი გაუკეთა კანადის ეროვნული ნაკრების ახალი გენერალური მენეჯერის - **სტივ აიზერმანის** სიტყვებს. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ თუ "ფინიქსი" ფლეი ოფში ვერ გავა, მაშინ გრეტცკი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს.

კითხვაზე, რამდენად არის შესაძლებელი ასეთი ვარიანტი, ლეგენდარულმა ჰოკეისტმა უპასუხა: *"ეს გამორიცხულია. მოხარული ვიქნები, თუ "ფინიქსთან" ერთად ფლეი ოფში მოვხვდები".*

## აილენდერსს პოკეისტები აკლდება

"ნიუ იორკ აილენდერსი" თავისი ერთ-ერთი წამყვანი ჰოკეისტის გარეშე დარჩა. ჩეხმა მცველმა **რადეკ მარტინეკმა** "მონრეალთან" მატჩში მარცხენა ფეხი მოიტეხა. ექიმების დიაგნოზით, მარტინეკი ექვსი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

ჩეხის გარდა, ნიუიორკულ გუნდს რუსი **ალექსეი იაშინიც** ტრავმირებული ჰყავს.

ოლიმპიზმი

## ლონდონის 2012-ის ბიუჯეტი ორჯერ გაიზარდა

სააგენტო "როიტერი" ბრიტანულ პრესაზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო ხარჯები გაორმაგდება და 9 მილიარდ ფუნტ სტერლინგს მიაღწევს.

გაზეთ "სანდი თაიმსის" ინფორმაციით, თამაშების ბიუჯეტის გადიდება ოლიმპიური პარკის მშენებლობის ფასის გაზრდამ გამოიწვია - ორგანიზატორებს ეს ობიექტი 5.1 მილიარდი ფუნტი დაუჯდებათ.

ცხენოსნობა

## რეკორდსმენი ცხენი პენსიაზე გაუშვეს

თანამედროვეობის ყველაზე ცნობილმა ბედაურმა, შვიდი წლის Silent Witness-მა ("ჩუმი მოწმე"), კვირას თავის კარიერაში უკანასკნელი რბოლა ჩაატარა. მშობლიური ჰონგ კონგის იპოდრომზე ის მეორე მივიდა ფინიშთან.

Silent Witness ზედიზედ მოგებული დოღების რაოდენობით, მსოფლიო რეკორდის მფლობელია - მას 17 ასეთი გამარჯვება დაუგროვდა. ამ წარმატებული სერიის ბოლო რბოლა ცხენმა 2005 წელს მოიგო.

Silent Witness-ის მფლობელებმა გადაწყვიტეს, რომ ის აღარ გამოიყვანონ დოღებზე, რადგან ცხენს ჩლიქებთან დაკავშირებული პრობლემები ანუხებს. ამიერიდან, "ჩუმი მოწმე" ავსტრალიის ქალაქ მელბურნის ახლოს, ჩემპიონი ცხენების საერთაშორისო სახლში იცხოვრებს.

ქალათბურთი

## ფორდი ერთ კვირაში დაბრუნდება

"ტრორონტო რეპტორზის" ტრავმირებული მცველი **ტი ჯეი ფორდი** ამ კვირის ბოლოს უნდა დაუბრუნდეს მოედანს. ტელეკომპანია ESPN-ის ცნობით, კალათბურთელი თითქმის განკურნა ხელის ტრავმისგან.

მანამდე კი, ფორდის პოზიციაზე წარმატებით თამაშობს ესპანელი **ხოსე-ლუის კალდერონი**, რომელმაც ბოლო მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა - 10 ქულა და 12 შედეგიანი გადაცემა დააგროვა.

## გასოლი ტრეიდს ადასტურებს

"მემფის გრიზლისის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **პაუ გასოლმა** ინტერვიუ მისცა ესპანურ პრესას, სადაც ის აცხადებს, რომ სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე (22 თებერვალი) მისი სხვა გუნდში გადასვლა სავსებით რეალურია.

ამასთან ერთად, ესპანელმა კალათბურთელმა დაადასტურა, რომ მისი ახალი კლუბი სავარაუდოდ "ჩიკაგო ბულზი" გახდება.

*"ჩიკაგოში" ტრეიდი მართლაც საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. ეს ქალაქი ყველას უყვარს",* - ამბობს გასოლი.

## პირსი თითქმის გამოჯანმრთელდა

"ბოსტონ სელტიქსის" ტრავმირებული ლიდერის - **პოლ პირსის** აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. მტკივნეული მარცხენა ფეხზე ჩატარებული ტესტების შედეგად ცნობილი გახდა, რომ კალათბურთელს რამდენიმე ტურის შემდეგ მოედანზე დაბრუნება შეეძლება.

*"თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და იმედი მაქვს, გუნდს მალე შევუერთდები",* - ამბობს პირსი.

ამერიკული ფეხბურთი

## სუპერბოული ინდიანაპოლისმა მოიგო

გუშინ, მაიამიში, NFL-ის ჩემპიონატის (სუპერბოული) რიგით 41-ე ფინალური მატჩი გაიმართა. ერთმანეთს "ინდიანაპოლისი" და "ჩიკაგო" ხვდებოდნენ.

ბოლო 36 წლის განმავლობაში პირველად, ჩემპიონის ტიტული "ინდიანაპოლისმა" დაიმსახურა. მან მეტოქე 29:17 დაამარცხა.

ფორმულა 1

## ექლსტოუნი 20-ეტაპიან ჩემპიონატზე ოცნებობს

ფორმულა 1-ის მფლობელი **ბერნი ექლსტოუნი** აცხადებს, რომ დიდი სურვილი აქვს მსოფლიო ჩემპიონატში 20 ეტაპი იხილოს და მათ შორის რამდენიმე რბოლა ღამის საათებში გაიმართოს.

*"უკვე დღეს, ხუთ ახალ ქვეყანას სურს საკუთარ ტრასებზე გრან-პრის მასპინძლობა. ამიტომაც, სავსებით ლოგიკურად მიმაჩნია, კალენდარი 20 ეტაპამდე გაიზარდოს. რამდენიმე წლის წინათ, რბოლების საღამოს ან ღამის საათებში ჩატარების იდეა გავახმოვანე. კარგი იქნება, თუ ჩემპიონატში ერთი-ორი ასეთი ეტაპიც გვექნება, მაგალითად ჩინეთში ან იაპონიაში",* - ამბობს ექლსტოუნი.

შეგახსენებთ, რომ დღევანდელი ფორმულა 17 ეტაპისგან შედგება და ყველა რბოლა შუადღეზე იმართება.

სატიტულო ბრძოლები

# ლეილა ალი რინგიდან დაუმარცხებელი მიდის

გასულ უქმეებზე ფლორიდაში რამდენიმე სატიტულო ბრძოლა გაიმართა, რომელთა შედეგად, ამერიკელმა **კორი სპინქსმა** ქულებით აჯობა თანამემამულე **როდნი ჯონსს** და IBF-ის ქვესაშუალო წონის ტიტული შეინარჩუნა. იმავე ფედერაციის ვერსიით, მსუბუქი წონის ტიტული დაკარგა მექსიკელმა **ხესუს ჩავესმა**, ვინც ტექნიკური ნოკაუტით მისივე თანამემამულე **ხულიო დიასმა** დაამარცხა. WBC-ს ქვემძიმე წონის საჩემპიონო სარტყელი კი დაისაკუთრა პროფესიულ რინგზე ჯერაც დაუმარცხებელმა ამერიკელმა **ჩად დოუსონმა**, რომელმაც პირველი მარცხი აგემა პოლონელ **ტომაშ ადამეკს**.

*"ამ მომენტისთვის დიდი ხანია ვემზადებოდი. ბრძოლისთვის დიდი მონდომებით ვემზადებოდი, რადგან ვიცოდი, რომ მეტად ძლიერ მოკრივესთან მექნებოდა საქმე. შედეგად, სრულად გამოვავლინე ჩემი საბრძოლო პოტენციალი"*, - ნაბრძოლევს განაცხადა ცაცია დოუსონმა, ვინც თავისი სისწრაფითა და გრძელი ხელებით აშკარად დაჩაგრა პოლონელი, თუმცა მოსაგებად მაინც მსაჯთა გადაწყვეტილება დასჭირდა.

*"ეს ბიჭი ძალიან სწრაფი ყოფილა და სწორედ მისმა სისწრაფემ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი"*, - განაცხადა ადამეკმა, ვისაც მანამდე პროფესიულ რინგზე წაგება არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ პოლონელს ბრძოლის მიწურულს მეტოქის დანოკაუტების შანსი რამდენჯერმე გაუჩნდა, თუმცა დოუსონი ყოველთვის სისწრაფის წყალობით არიდებდა თავს განსაცდელს. ეგაა, ერთხელ ნოკდაუნს მაინც ვერ გადაურჩა. ეს მეათე რაუნდში მოხდა მას შემდეგ, რაც ადამეკის (30-1) მარჯვენა მუშტი ამერიკელს სახეში მოხვდა. დოუსონი (23-0) წამოდგა და ბრძოლა გააგრძელა, ადამეკმა კი წარმატება ვეღარ გაიმეორა. არადა, მომდევნო რაუნდშიც უპირატესობა მის მხარეს იყო.

ისე, ნოკდაუნი პოლონელმაც იგემა. ეს მეშვიდე რაუნდში მოხდა მას შემდეგ, რაც მას პრეტენდენტის ცაცია მუშტი მუცელში მოხვდა. ჩემპიონმა ბრძოლის გაგრძელება შეძლო და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქემ გააფთრებით შეუტია, რაუნდის ბოლომდე მაინც გაძლო. ასე იყო თუ ისე, დოუსონს მსაჯებმა სამივე ბარათზე 9 რაუნდი მოაგებინეს.

დიასისა (34-3) და ჩავესის (42-4) ბრძოლა სულ სამი რაუნდი გაგრძელდა. ჩემპიონი რინგზე მუხლშეხვეული გავიდა, რამაც მას ცუდი სამსახური გაუწია. მესამე რაუნდში, როცა ის მეტოქის დარტყმის აცილებას ცდილობდა, ტრავმირებულ ფეხს დაეყრდნო და უცებ დაეცა. სამწუხაროდ, ტრავმა იმდენად გაუმიზეზდა, რომ წამოდგომაც ვეღარ შეძლო.

შეგახსენებთ, რომ ჩავესმა აღნიშნული ტიტული 2005 წლის 17 სექტემბერს მოიპოვა მას შემდეგ, რაც ჩემპიონი **ლევანდერ ჯონსონი** დაამარცხა. მოგვიანებით, ჯონსონი ბრძოლის დროს მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა, ჩავესს კი მას შემდეგ აღარ უბრძოლია.

უინტერესო სანახავი გამოდგა სპინქსისა (36-3) და ჯონსის (37-4-1) ბრძოლა. მაყურებელმა ერთი ნოკდაუნიც ვერ იხილა. თანაც, რინგზე მეტწილად პოზიციური ბრძოლა მიმდინარეობდა. მოგვიანებით სპინქსმა განაცხადა, როდნი ჩემზე მაღალია და ამიტომ, საზრიანობას მოვუხმე, რომ გამარჯვება მომეპოვებინაო. მოკლედ, ზემძიმე წონის ყოფილ ჩემპიონ **ლეონ სპინქსის** შვილმა კატა-თაგვობანა ითამაშა და ამ თამაშით იმდენს მიაღწია, რომ ორმა მსაჯმა ყველა რაუნდში მას მოაგებინა, ერთმა კი - ცხრაში.

დაბოლოს, მორიგი ბრძოლა მოიგო დიდი **მუჰამედ ალის** შვილმა, **ლეილა ალიმ**, ვინც ზესაშუალო წონაში მის ხელთ არსებული ორი სარტყელი (WBC-სა და WIBA-სი) გვინეელი **გვენდოლინ ო'ნილის** დანოკაუტებით დაიცვა.

ბრძოლა სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში ჩატარდა და ის პირველივე რაუნდის პირველივე წუთის მიწურულს, ნოკაუტით დასრულდა. 29 წლის ლეილას მარჯვენა მუშტი პრეტენდენტს სულ ორჯერ მოხვდა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ რეფერის რვა დათვლაზე ვერ წამომდგარიყო.

*"კარგი იქნებოდა, რომ მაყურებელს უფრო მეტი რაუნდის ხილვა დასცლოდა, მაგრამ არ გამოვიდა. ახლა გასახდელისკენ მივიჩქარი, სადაც ტელეფონი დავტოვე - მინდა მამას დავურეკო და ჩემი გამარჯვება ვახარო"*, - განაცხადა ალიმ (24-0, 21 ნოკაუტი), ვისაც ონილი (12-1-5) სამ რაუნდში 2004 წელს ატლანტაშიც დაუმარცხებია, ახლა კი ამბობს, რომ ეს მისი ბოლო ბრძოლა იყო, რადგან თავის სამომავლო გეგმებში ყველაზე მთავარი ოჯახის შექმნაა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ლეილას რინგიდან წასვლა სურს



მაიკ ტაისონი

სკანდალურად ცნობილმა ამერიკელმა მძიმეწონოსანმა **მაიკ ტაისონმა** ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილებისგან გათავისუფლება გადაწყვიტა. ამ მიზნით, ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა მკურნალობა დაიწყო. როგორც ამერიკული პრესა იუწყება, "რკინის მაიკი" ჰოლივუდ ჰიტლზში, Wonderland-ის ("საოცრებათა ქვეყანა") სამედიცინო ცენტრში იმყოფება, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ადამიანმა ამ მავნე ჩვევებზე უარი თქვას.

როგორც იცით, ტაისონს არიზონას შტატის სასამართლოსთან აქვს საქმე. მას ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მანქანის მართვა და ნარკოტიკების შენახვა ედება ბრალად. სასამართლოს მორიგი სხდომა 2007 წლის 26 თებერვალს არის დანიშნული. პროკურორი მოკრივისთვის 7-წლიანი პატიმრობის მისჯას ითხოვს.

ახალი ამბები

# გაისრით ლოთობას მკურნალობს

## TV სპორტი

### 6 თებერვალი. სამშაბათი

**SPORT 1 (უპრაინა)**

09:00 კრივი. რინგ-საიდი.
10:00 სპორტ-კლუბი.
11:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. გუარატინგეტა-კორინთიანსი.
12:50 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ავსტრალია.
15:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:25 მძლეოსნობა. შტუტგარტი. გერმანია.
20:00 ფიტნეს-პლანი.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:25 სპორტ-კლუბი.
21:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 სპორტინფორმი.
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ლევანტე.
00:45 სპორტინფორმი.
01:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ავსტრალია.
03:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
05:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-მინესოტა (LIVE).
07:35 ფიტნეს-პლანი.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
11:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. არე. შვედეთი (LIVE).
14:00 მულტისპორტი.
14:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. არე. შვედეთი (LIVE).
16:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ანტოლცი. იტალია (LIVE).
19:00 ბოულსი. უელსის ღია პირველობა. ლანელი (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. კლინგენტალი. გერმანია (LIVE).
22:00 მძლეოსნობა. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრალია-დანია (LIVE).
02:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ანტოლცი. იტალია.
03:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. კლინგენტალი. გერმანია.
03:45 მძლეოსნობა. დიუსელდორფი. გერმანია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხუვენტუდი-ხირონა.
14:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. შვეიცარია-ბრაზილია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 სუპერკროსი.
19:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხუვენტუდი-ხირონა.
20:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ბელგია-პოლონეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. შვეიცარია-ბრაზილია.
00:00 დართსი. ჰოლანდიის ღია პირველობა. ველდჰოვენი.
01:00 კრივი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხუვენტუდი-ხირონა.
03:15 ახალი ამბები.

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# პინგვინები მონრეალმა შეაჩერა

**მონრეალი-პიტსბურგი 4:3 (ო)**

0:1, 1:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ჯ. სტაალი-18 (კროსბი-58, მალკინი-32), 1:1 პლეკანეცი-11 (ლაპიერი-4, კოვალიოვი-24), 1:2 რაიან უიტნი-10 (კროსბი-59, გონჩარი-33), 2:2 პლეკანეცი-12 (კოვალიოვი-25, სურეი-25), 3:2 შტრაიტი-6 (რაიდერი-20, სურეი-26), 3:3 ულეტი-11 (რაიან უიტნი-29, მელოუნი-9), 4:3 სურეი-18 (პლეკანეცი-15).

სასწაული უნდა მოხდეს, რომ დარჩენილ მატჩებში **სიდნი კროსბის** ვინმე საუკეთესო ბომბარდირისთვის დანესებულ პრიზში შეეცილოს. "პიტსბურგის" 19 წლის ლიდერი მეთოდურად აგროვებს ქულებს და ახლა, 52 მატჩში მის ანგარიშზე 59 შედეგიანი გადაცემა და 84 ქულა მოდის.

ამჯერად, კროსბის ორმა შედეგიანმა პასმა მისი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. ამ შეხვედრამდე "პინგვინებს" ზედიზედ 6-მატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდათ. სხვათა შორის, ასეთი წარმატებით "პიტსბურგს" 2002 წლის იანვრის შემდეგ არ უთამაშია.

სულ კი, ამ გუნდმა ბოლო 10 მატჩში მინიმუმ ერთი ქულის მოპოვება შეძლო. "პინგვინზმა" 8 შეხვედრა მოიგო, ხოლო დანარჩენი ორი ოვერტაიმში წააგო, ასეთი მარცხისთვის კი, ერთი ქულაა გათვალისწინებული.

ასეთი წარმატებული თამაშის წყალობით, "პინგვინებმა" აღმოსავლეთი კონფერენციის მეექვსე ადგილზე გადაინაცვლეს, თუმცა, ფლეი ოფის ზონის გარეთ მყოფი კონკურენტებისგან ძალიან ცოტა - 2-3 ქულა აშორებთ. ასე რომ, კროსბის ოსტატობა კლუბს მომდევნო თამაშებში უნდა გამოადგეს.

სხვათა შორის, 19 წლის ჰოკეისტისთვის "მონრეალთან" მატჩი კინაღამ მძიმე ტრავმით დასრულდა. ერთ-ერთ ეპიზოდში, კროსბის ტუჩში "კანადიენსის" მცველ **ფრენსის ბუიონის** ჯოხი მოხვდა. სიდნი ყინულზე დაეცა, ცოტა ხანში დიდი გაჭირვებით წამოდგა და თავისი ფეხით გაეშურა სათადარიგოთა სკამისკენ. პიტსბურგელი გულშემატკივრების გასახარად, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და კროსბიმ თამაშის გაგრძელება შეძლო.

**ვაშინგტონი-აილენდერსი 2:1 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 პეტინგერი-12 (ზედნიკი-9, გორდონი-13), 1:1 სილინჯერი-17 (ჰანტერი-9).
**ბულიტები გაიტანეს:** სიომინი (ვაშინგტონი).

"ვაშინგტონმა" ბოლო 10 მატჩში მხოლოდ მეორე გამარჯვებას მიაღწია და ასეთი წარუმატებელი თამაშის გადამკიდე, გუნდი ნელ-ნელა ეთხოვება ფლეი ოფში მოხვედრის ოცნებას.

გუშინდელი მატჩი ერთ-ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანი იყო, როცა ამ გუნდის ლიდერმა - რუსმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა** ერთი ქულის დაგროვებაც ვერ შეძლო. როგორც წესი, ისედაც სუსტად მოთამაშე "კეპიტალზი", ასეთ შემთხვევებში ნაგებული ტოვებს ხოლმე ყინულს, მაგრამ ამჯერად, დედაქალაქელ ფანებს სასიამოვნო გამონაკლისთან ჰქონდათ საქმე.

გუშინდელი მატჩის გმირი "ვაშინგტონის" მეორე ლიდერი - გერმანელი მეკარე **ოლაფ კიოლციგი** გახდა, რომელმაც 31 დარტყმა მოიგერია, ხოლო ბულიტების სერიაში, სამივე დუელი მოუგო მეტოქე ფორვარდებს.

რაც შეეხება ოვეჩკინს, მან ამ სეზონში პირველად ზედიზედ ორი მატჩი ჩაატარა ქულის გარეშე. ორი დღის წინათ, "ვაშინგტონმა" 0:2 ნააგო "პიტსბურგ პინგვინზთან".



სიდნი კროსბი მძიმე ტრავმას გადაურჩა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**I ლიგა**

სანდერლენდი-ბრისტოლი 1:0

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

მიუნხენი-ბურგჰაუზენი 5:1

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

ბინგჰემი-სტრასბური 1:1

**ჩოგბურთი**

**WTA. პარიზი**

რადვანსკა-**პირონკოვა** 6:3, 4:6, 3:6
კანეპი-**სავაი** 4:6, 5:7
ფორეცი-**ბიჩკოვა** 3:6, 1:6
რაზანო-**კოენ ალორო** 5:7, 2:6
**საფინა**-კრაიჩეკი 6:4, 7:5

**WTA. პაჭანა**

**მოლიკი**-ბონდარენკო 6:2, 6:2
გაიდოშოვა-**სანტანჯელო** 4:6, 7:5, 2:6
**მირზა**-კასტანიო 7:6, 6:0
ტანგპონგი-**როდიონოვა** 5:7, 6:7

## კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ნ. ჯერსი-ატლანტა 99:101 (ო)**

24:22, 18:21, 18:24, 26:19, 13:15

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (28 ქ. 8 პ. 7 მ), მარკუს უილიამსი (18 ქ. 3 პ), კიდი (13 ქ. 11 პ. 5 მ), მური (13 ქ. 7 მ. 3 პ), ნახბარი (11 ქ. 3 მ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (37 ქ. 8 პ. 5 მ), ჯოშ სმიტი (14 ქ. 10 მ), მერვინ უილიამსი (12 ქ. 4 მ), **ზაზა ფაჩულია (10 ქ. 6 მ. 1 პ).**

**ტორონტო-კლიპერსი 122:110**

36:29, 30:25, 26:28, 30:28

**ტორონტო:** ბოში (27 ქ. 7 მ. 4 პ), პიტერსონი (18 ქ), გარბახოსა (17 ქ. 5 მ. 2 ჩ), ტი. ჯეი. ფორდი (17 ქქ. 7 პ), ე. პარკერი (17 ქ), კალდერონი (10 ქ. 12 პ).

**კლიპერსი:** მობლი (24 ქ), ბრენდი (21 ქ. 10 მ. 6 პ. 2 დ), ტომ ტომასი (18 ქ), კასელი (17 ქ. 8 პ. 4 მ), ლივინგსტონი (11 ქ), მაგეტი (10 ქ. 6 მ. 4 პ).

**კლივლენდი-დეტროიტი 78:90**

24:27, 19:23, 16:20, 19:20

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (21 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ), ჰიუზი (14 ქ), ილგაუსკასი (12 ქ. 11 მ. 2 ჩ. 2 დ), პავლოვიჩი (12 ქ).

**დეტროიტი:** ბილაპსი (18 ქ. 10 პ. 2 ჩ), რ. უოლასი (15 ქ. 13 მ), უებერი (15 ქ. 6 მ), პრინსი (12 ქ. 5 მ. 3 პ), მაკდაიესი (12 ქ. 7 მ), რ. ჰამილტონი (10 ქ. 4 პ).

# რუმინეთთან ფავორიტები უკვე ჩვენ ვართ!

აქსენტი გიორგაძე

**ესეც ასე! ანთიმოზ ივერიელის თასი საქართველოში დავაბრუნეთ. ამ გამარჯვებისკენ ჩვენი ნაკრები დიდი ხანია მიდიოდა. მასში აურაცხელი შრომა და ჯაფაა დახარჯული.**

თამაშამდე ხუთი დღით ადრე ჩავედით ბუქარესტში და უნივერსიტეტის სპორტულ კომპლექსში დავბინავდით. საწვრთნელად ნორმალური პირობები იყო.

ხუთშაბათს, 1 თებერვალს, დილის მოთელვის შემდეგ მწვრთნელებმა გუნდი შეკრიბეს და თამაშისთვის ტექნიკური და ტაქტიკური ხასიათის მითითებები მოგვცეს. რუმინელებთან მწვრთნელებმა განსხვავებული სქემით არჩიეს თამაში: სტატიკური სიტუაციების შემდეგ ბურთი მესამე ზონაში, ანუ ბოლომდე უნდა ჩაგვეთამაშებინა და შეტევა იქიდან დაგვეწყო. ადრე ასე არ ვაკეთებდით - მაგალითად დერეფნის მოგების შემდეგ, იქვე, ჯერ ერთ, მერე მეორე დარტყმას ვაკეთებდით და შეტევა ვითარებიდან გამომდინარე გრძელდებოდა. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან რუმინელები ჩვენ შეტევებს სწორედ მოედნის შუაში ელოდნენ, ჩვენ კი ბურთი ბოლომდე ჩაგვქონდა. ცხადია, ამან მათი სათამაშო ტაქტიკა არია.

ყველაზე თვალშისაცემი ის იყო, რომ ჩვენი გუნდი თამაშისთვის მშვიდად, თავდაჯერებულად ემზადებოდა. ნერვიულობა, დაბნეულობა არავის ეტყობოდა. ეს გასაგებიცაა - მსოფლიო თასის საგზური მოპოვებული გვაქვს და ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნილი გვქონდა. ახლა ჩვენი მიზანი ერთა თასის მოგებაა, ხოლო ამ კონკრეტულ მატჩში ანთიმოზ ივერიელის თასის საქართველოში დაბრუნება იყო.

საბრძოლო განწყობა და მაქსიმალური მობილიზაცია მატჩისწინა მოთელვაზეც აშკარად იგრძნობოდა. თამაშამდე ერთი საათით ადრე ინდივიდუალურად დავიწყეთ მოთელვა, ბოლო 20 წუთი კი გუნდმა ერთად ივარჯიშა. ყველას საბრძოლველად ჰქონდა ანთებული თვალები.

დაწყებამდე ათი წუთით ადრე გასახდელში დავბრუნდით. მწვრთნელებმა ბოლო მითითებები მოგვცეს. ამის შემდეგ კი ილია ზედგინიძემ წარმოთქვა კაპიტნის სიტყვა: **"ამ თამაშს მხოლოდ ერთი დატვირთვა აქვს, ანთიმოზ ივერიელის თასისთვის უნდა ვიბრძოლოთ. დასაკარგი არაფერია. რაც შეიძლება თავისუფლად, ლაღად და ლამაზად ვითამაშოთ. ბურთი მაქსიმალურად დიდხანს შევინარჩუნოთ. ვითარებიდან გამომდინარე, თუ გამწვავებაზე წასვლა და შეტევა იქნება საჭირო, თამამად შევუტიოთ."**

ყოველი თამაშის წინ, მოედანზე გასვლამდე ტრადიციულად "მამაო ჩვენოს" ვკითხულობთ ხოლმე. ასე იყო ახლაც, ვილოცეთ და მერე საბრძოლველად წავედით.

საქართველოს ჰიმნის შესრულებისას ტრიბუნებზე ქართული დროშა აფრიალდა. ათიოდე ქართველი მოსულიყო საქომაგოდ. თამაშს რუმინეთში საქართველოს კონსულიც ესწრებოდა, რომელიც მოთელვის დაწყებამდე მივიდა გუნდთან, გვესაუბრა, გაგვამხნევა. ქართულმა შეძახილებმა ტრიბუნებიდან კიდევ უფრო მეტი ძალა შეგვმატა.

თამაშის დაწყებამდე წრე შევკარით, ბევრი არაფერი გვითქვამს. ვთქვით, რომ უკვე დროა, რუმინეთი დავამარცხოთ. ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ჩვენი ძალა ვაჩვენოთ. ბევრად უკეთესი იქნება, თუ რუმინელებს მისსავე მოედანზე მოვუგებთ!

თამაში ჩვენთვის კარგად დაიწყო. საწყისი დარტყმა ცენტრიდან მერაბ კვირიკაშვილმა შეასრულა. მეკომ, ისევე როგორც ყველა, ოცდაორივე მორაგბემ, იმ დღეს ყველაფერი გაიღო გამარჯვების მოსაპოვებლად. ყველამ ძალიან კარგად ითამაშა. მეკოს დარტყმული რუმინელებმა აუტში მოიგერიეს. დერეფანი მოვიგეთ და მოლით მივაწექით. მეტოქის ლელომდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი - რუმინელები მიხვდნენ, რომ თუ მოლს არ ჩააქცევდნენ, ლელო გარდაუვალი იყო. დაარღვიეს კიდეც წესი. მსაჯმა საჯარიმო ჩვენს სასარგებლოდ დანიშნა და მეკომაც ანგარიში გახსნა. მალევე რთული პოზიციიდან კიდევ ერთხელ შესანიშნავად დაარტყა საჯარიმო და ექვსი ქულით დავწინაურდით.

მართალია, მალე შეგვიმცირეს ანგარიში საჯარიმოდან, მაგრამ იმავე წუთს ისეთი საჭირო ლელო გავუტანეთ, რომელმაც რუმინელთა გუნდი თითქმის გატეხა. მართალია, თამაშის ბოლომდე დიდი დრო რჩებოდა და ყველაფერი შესაძლებელი იყო მომხდარიყო, მაგრამ უკვე იგრძნობოდა, რომ რუმინელები ამ თამაშის მომგებები აღარ იყვნენ.

ლელო ასე გავიტანეთ. ცენტრიდან თამაში კვირიკაშვილმა განაახლა. მეტოქე ოცდაორმეტრიან ზონასთან ჩავხურეთ. რაკი წარმოიქმნა. იქიდან ბურთი ცხრა ნომერმა ლუჩან სირბუმ ფულბეკ ფლორინ ვლაიკუს გაუტანა, ამას კი ხელიდან გაუვარდა და წინ თამაშისთვის ჩვენ სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა.

დამუშავებული გვაქვს ეს კომბინაცია, შერკინებიდან მოლში გადასვლა. ამჯერადაც ყველაფერი ზუსტად გავაკეთეთ. თამაში მოლში გადავიყვანეთ. ბურთი მე მქონდა, მოლი დავატრიალეთ და მოწინააღმდეგის დაცვაში ღრიჭო შეიქმნა. მოლს უმალვე მოვწყდი და ლელოში გადავხტი. მეკოს გარდასახვა არ გასჭირვებია 13:3. ტაიმის ბოლომდე მეტოქემ ანგარიშის შემცირება მაინც მოახერხა საჯარიმოდან 6:13.

**შარშან, მსოფლიო თასის შესარჩევი შეხვედრა რომ წავაგეთ, რუმინეთის ნაკრების კაპიტან სორინ სოკოლს უთქვამს: "ჩვენ ვცდილობთ დავეწიოთ იტალიას, თქვენ, ქართველები კი ცდილობთ, დაგვეწიოთ ჩვენ, რუმინელებს." ვფიქრობ, ამ ჯიგარს საკადრისი პასუხი გავეცით. დღეს საქართველოს ნაკრები უფრო ძლიერია, ვიდრე რუმინეთი. რუმინელებმა ადრე რაც მოგვიგეს, ყველა ჩვენი ტექნიკური შეცდომების ხარჯზე. ახლო მომავალში რუმინეთს რამდენჯერაც არ უნდა ვეთამაშოთ, ყველა შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება. მე ასე ვფიქრობ. თუ, ცხადია, წინა შეცდომები არ გავიმეორეთ...**

პირველი ტაიმი ასე დასრულდა. ჩვენ არაფრის დამთმობი არ ვიყავით. რუმინელები თავიდანვე ძალიან აგრესიულად იყვნენ განწყობილნი. აგრესიას ჩვენც აგრესიითვე ვპასუხობდით, არაფერი არ უნდა დაგვეთმო! ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მეორე ტაიმში მარცხს შეეგუენ, თან დაჯერებაც უჭირდათ, რომ აგებდნენ. ცხადია, ძნელი შესაგუებელი ამბავია. ამიტომაც იყო, ისევ ჩხუბზე რომ გადმოვიდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში რაკში თამაშისას ილია მაისურაძეს დაარტყეს, იმანაც უპასუხა და ჩხუბი ატყდა. ამ დროს წაქცეულ გიორგი ელიზბარაშვილს ვილაცამ წიხლი ჩასცხო. სამწუხაროდ, ვერ დავინახე, ვინ იყო. ისე გამოვიდა, რომ ვერც ვერავინ შენიშნა, მსაჯებმაც კი. ელიზბარაშვილი ნოკაუტში აღმოჩნდა.

თამაშის დასრულებას ათი წუთი აკლდა, სამი ქულით ვიყავით წინ, თანაც კაცნაკლულნი ვთამაშობდით. რუმინელებს, თუ არ ჩავთვლით ფერკუს შეტევას, რომელიც გოშა შკინინმა შეაჩერა და ლელოსგან სასწაულებრივად გვიხსნა, არც არაფერი გაუკეთებიათ. სხვა სახიფათო შეტევა არც ჰქონით.

ამ თამაშიდან გამომდინარე, შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: საქართველოს ნაკრებმა დასძლია რუმინეთის ნაკრების კომპლექსი. ბარიერი გადალახულია. ადრე ჩვენთან თამაშში რუმინეთი ფავორიტად ითვლებოდა, აწი ასე აღარ იქნება. ჩვენ შეგვიძლია არა მარტო სამი ქულით, არამედ, 10-15 და მეტით დავამარცხოთ "მუხის ფოთლები"!

შარშან, მსოფლიო თასის შესარჩევი შეხვედრა რომ წავაგეთ, რუმინეთის ნაკრების კაპიტან სორინ სოკოლს უთქვამს: *"ჩვენ ვცდილობთ დავეწიოთ იტალიას, თქვენ, ქართველები კი ცდილობთ, დაგვეწიოთ ჩვენ, რუმინელებს."* ვფიქრობ, ამ ჯიგარს საკადრისი პასუხი გავეცით.

დღეს საქართველოს ნაკრები უფრო ძლიერია, ვიდრე რუმინეთი. რუმინელებმა ადრე რაც მოგვიგეს, ყველა ჩვენი ტექნიკური შეცდომების ხარჯზე. ახლა, ჩვენი მორაგბეების უმრავლესობა საფრანგეთში, კარგ გუნდებში თამაშობს და ტექნიკურად ოსტატდება, უფრო თავდაჯერებული ხდება. ასე რომ, ახლო მომავალში რუმინეთს რამდენჯერაც არ უნდა ვეთამაშოთ, ყველა შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება. მე ასე ვფიქრობ. თუ, ცხადია, წინა შეცდომები არ გავიმეორეთ...

თამაშის შემდეგ უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით. ჩვენ სიხარულს ქართველი გულშემატკივრებიც შემოუერთდნენ და ანთიმოზ ივერიელის თასი ერთად შევმართეთ. ძალიან დიდი სიხარული განვიცადეთ. ჩვენს გუნდში ბევრი ისეთი ახალგაზრდა მორაგბეა, რომლებსაც რუმინეთთან არასდროს მოუგიათ. ბევრი ისეთიც იყო, ნაკრებში დიდი ხანი არ ეთამაშა და დაბრუნება გამარჯვებით, თანაც რუმინეთის წინააღმდეგ გამარჯვებით აღნიშნა.

თამაშის მერე ტრადიციულად მესამე ტაიმი გაიმართა. მოსაყოლი არაფერი მომხდარა - როგორც ყოველთვის, სუვენირების გაცვლა, მილოცვები და მორჩა. სასტუმროში დაბრუნებულებმა კი რესტორანი დავხურეთ. კაი მამა-პაპური ქეიფი გავმართეთ. ქართული სიმღერებით, ცეკვებით. აგერ რამდენი წელია ნაკრებში ვთამაშობ და ასე მხიარულად არც ერთი გამარჯვება არ აღგვინიშნავს.

ახლა ჩვენი მიზანია, ერთა თასის დარჩენილი თამაშებიც მოვიგოთ. ყველაზე რთული შეხვედრა ალბათ 24 მარტს, რუსეთთან გვექნება თბილისში. თუ მოვახერხეთ და პირველი წრე პირველ ადგილზე დავასრულეთ, მსოფლიო თასის წინ ეს თავდაჯერებულობას შეგვმატებს. თანაც, მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად გაცილებით მეტი დრო გვექნება.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტე ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა